მ. ხელთუბნელი

საბავშვო ლიტერატურის მოამაგე

საქართველო

მიხ. ხელთუბნელი

15. IV. 41

საბავშვო ლიტერატურის მოამაგე

ანასტასია თუმანიშვილი—წერეთლის ცხოვრება
და მოღვაწეობა

(1849 - 1932)
25 აპრილი 7 თებ.
42 57
ეროვნ. ბიბლ.
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-ნუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტგამომცემლობა
თბილისი — 1941

ანასტასია თუმანიშვილი-ფერეთელი

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთელი თითქმის მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მუშაობდა.

მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო წარსული საუკუნის 80—90-იანი წლების შავბნელი რეაქციის ეპოქაში. 1903—1905 წლების საზოგადოებრივი აღტყინება ძალიან მალე შეიცვალა უფრო მძაფრი რეაქციით, რომელიც თრგუნავდა ყოველგვარ საზოგადოებრივ თაოსნობას.

ლენინურ-სტალინურ ეპოქაში ანასტასია შემოვიდა უკვე მხცოვან, 72 წლის, ჯანგატეხილ ადამიანად. მაინც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე იგი ჩააბეს საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მუშაობაში, რომელიც აგებული იყო სულ სხვა, ახალ საწყისებზე. იგი გულითადად გამოეხმაურა ამ მოწოდებას. მან გადასცა ხელთ ახალ თაობას თავისი საყვარელი პირმშო „ჯეჯილი“ და კვლავ განაგრძო მასში მუშაობა უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

იმ დროსა და იმ წრეში, ანასტასია რომ ცხოვრობდა და მუშაობდა, მის მოღვაწეობას აშკარად პროგრესული ხასიათი ჰქონდა. ანასტასია იყო ერთი არამრავალთაგანი XIX საუკუნის საქართველოს ქალთა შორის, რომელიც დაადგა საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზას. მან გადაჭრით უარჰყო თავისი წრის ყალბი შეხედულებანი და, წინააღმდეგ არსებული შეხედულებისა ქალის დანიშნულებაზე, თავისი ცხოვრების ამოცანად დაისახა საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ურყევი ნებისყოფა, მტკიცე პრინციპები და მედგარი ხასიათი. ეს თვისებები ანასტასიას მართლაც რომ უხვად ჰქონდა. სწორედ ამ თვისებათა მეოხებით მან შესძლო დიდი საქმის გაკეთება თვით იმ ვიწრო ფარგლებშიაც კი, რასაც მეფის მთავრობა ჰქმნიდა ლეგალური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

თვით ამ წიგნის სიმცირით და მისი დანიშნულებით, როგორც პოპულარული ბიოგრაფიული ნარკვევისა, რამოდენადმე აიხსნება თხრობის ერთგვარი სქემატურობა. ამას გარდა, სხვადასხვა კერძო პირთა ხელში და ზოგიერთ ორგანიზაციაში ქონებული ანასტასიას მიერ და მისადმი მიწერილი წერილების კოლექცია, ზოგიერთი გარემოების გამო, საკმარისი არ აღმოჩნდა ბიოგრაფიის ფართოდ გაშლისათვის.

ბიოგრაფიულ ნარკვევს საფუძვლად დაედვა საგვარეულო არქივის ცნობები, რომლებიც ნაწილობრივ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია, ცოტა რამ ნაბეჭდი წყაროები და პირადი მოგონებები.

თ ა ვ ი I

ბავშვობისა და ყრმობის წლები

ოჯახი. ბავშვობა. ფავრის პანსიონი. ქალთა ინსტიტუტი. ქალის მდგომარეობა საქართველოში XIX საუკუნეს. ანასტასიას დაბრუნება ოჯახში. სულიერი გარდატეხა.

წარსული საუკუნის ნახევარს თბილისში, ინჟენერთა ქუჩაზე,[1] იდგა მომცრო ორსართულიანი სახლი. ქუჩა ჩამოუდიოდა პროსპექტიდან, რომლის არემარეც ის-ის იყო შენდებოდა, და ეგრეთწოდებული მადათოვის კუნძულისაკენ მიიმართებოდა. ალექსანდრეს ბაღი, რომელიც შემდგომ გააშენეს, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო. ამ სახლს ქაშვეთის ეკლესიიდან ჰყოფდა საკმაოდ ფართო უშენი ადგილი.

შენობა ინჟენერთა ქუჩაზე ახალი იყო, ევროპულ ყაიდაზე აგებული. მის გვერდით მეორე შენობა იდგა, უფრო მოდიდო. ეზო და სხვა მინაშენები—ფარდული, საჯინიბო და სხვა მისთ.—ამ ორ სახლს საერთო ჰქონდა და ეს ორივე სახლი ეკუთვნოდა ერთ მფლობელს.

მომცრო სახლში ცხოვრობდა ოჯახით მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილი, ლიტერატორი და პოეტი, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა საზოგადოებრივ საქმეში. მის სახლში თავს იყრიდა ერთმანეთთან შესახვედრად მაშინდელი თბილისის ინტელიგენცია. მწერლები, პოეტები, ისტორიკოსები, უპირატესად ახალგაზრდობა, იკრიბებოდნენ მასთან მეგობრული საუბრისათვის სალიტერატურო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე. ამ უბრალო და სადა ბინის ხშირი სტუმრები იყვნენ მეოჯახის სკოლის ამხანაგები ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლევან მელიქიშვილი, იასე ანდრონიკაშვილი და მომავალი დრამატურგი, ქართული თეატრისა და ჟურნალი „ცისკრის“ ორგანიზატორი გიორგი ერისთავი. ამაზე უფრო გვიან აქ შეხვდებოდით ისტორიკოს დიმ. ბაქრაძეს, გაზ. „კავკაზის“ თანამშრომლებს (თვითონ რედაქცია მოთავსებული იყო მიხ. თუმანიშვილის სახლის შორიახლო, საპიორთა ქუჩაზე, ახლა ძნელაძის ქუჩა) და ბევრ სხვას.

აი ამ სახლში 1849 წლის 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) მიხეილ თუმანიშვილს შეეძინა ქალი, რომელსაც ანასტასია დაარქვეს. იგი ოჯახში მეორე ქალი იყო, თუ სათვალავში არ მივიღებთ ჩვილობაში გარდაცვალებულ მის დას ნინოს.

ანასტასიამ ბავშვობა განსაკუთრებით ბედნიერ გარემოში გაატარა, საყვარელ მშობლებსა, დასა და ძმებს შორის, კულტურულ წრეში. მისი ოჯახი მით განსხვავდებოდა მაშინდელი თავადაზნაურული საზოგადოების სხვა ოჯახებისაგან, რომ ამ ოჯახში ძლიერი იყო ინტელექტუალური ინტერესები და ლიტერატურული ტრადიციები. ბავშვები პატარაობიდანვე ისმენდნენ მამისა და მასთან მოსიარულე მეგობრებისაგან მსჯელობას ლიტერატურაზე, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე. სახლში ჰქონდათ ფართო ბიბლიოთეკა, რომელსაც ყოველთვე ემატებოდა ახალ-ახალი წიგნები. არ გამოჩნდებოდა თბილისში ისეთი იშვიათი რამ წიგნი, რომელსაც მაშინვე თავი არ ამოეყო ამ ბიბლიოთეკაში. ანასტასიას მამა იწერდა აგრეთვე რამდენსამე ჟურნალსა და გაზეთს. წიგნის კულტი ამ ოჯახის დამახასიათებელი იყო. ამ გარემოებამ თვალსაჩინოდ განსაზღვრა ბავშვების მიდრეკილება—ყველანი იმაზე ოცნებობდნენ, რომ ემსახურათ საზოგადოებრივი იდეალებისა და ლიტერატურისათვის. სხვათა შორის, ისინი ერთობოდნენ საბავშვო წარმოდგენებითა და კონცერტებით, რომლებშიაც თვით იღებდნენ მონაწილეობას. მოზარდთა კამათში თვალსაჩინო ადგილი დათმობილი ჰქონდა დავას წაკითხულ წიგნებზე. ანასტასიას ძმა—გიორგი 9 წლის ასაკიდან „სცენდა“ ხელნაწერ ჟურნალს ქართულ ენაზე.

სასაუბრო ენა ოჯახში ქართული ენა იყო, ამიტომ ანასტასიას ჯერ ქართული წერა-კითხვა შეასწავლეს და შემდეგ კი რუსული. როდესაც იგი ცოტათი წამოიზარდა, აღიძრა საკითხი სასწავლებლის თაობაზე. იმ დროს თბილისში სულ ორი კერძო პანსიონი იყო. ერთი ამ პანსიონთაგანი სოლოლაკში იყო, იასამანოვის სახლში, და ვინმე გაკეს ეკუთვნოდა, ხოლო მეორეს უძღვებოდა „ტიტულიარნი სოვეტნიკის ქვრივი“ ევგენია იაკობის ასული ფავრი. ეს უკანასკნელი წინათ თბილისის ქალთა ინსტიტუტის „კლასის დამა“ (კლასის დამრიგებელი) იყო და იმ პირობათა კარგი მცოდნე, რასაც მაშინ „კეთილშობილ ქალიშვილთა“ აღზრდისაგან მოითხოვდნენ. ამასთანავე, ამ მანდილოსნის პანსიონი თუმანიშვილის სახლის ახლო იყო, გოლოვინის (ახლა რუსთაველის) პროსპექტზე, ვინმე მოხელე სტელეცკის სახლში. ამიტომ ანასტასიას მამის არჩევანი „მადამ ფავრის“

პანსიონზე გაჩერდა. აქვე იზრდებოდა ანასტასიას უფროსი და—ბარ-ბარე, რომელიც ერთი თვით ადრე პანსიონში ანასტასიას შესვლამდე ამ პანსიონიდან ქალთა ინსტიტუტში გადავიდა.

ფავრი იღებდა ბავშვებს აღსაზრდელად, წერა-კითხვის, არითმეტიკისა და სხვ. ელემენტარული საგნების, აგრეთვე ენების სწავლებისათვის. თვითონ იგი ასწავლიდა ფრანგულ ენას, მანერებსა და ესთეტიკას. აქ იზრდებოდნენ ევროპულ ყაიდაზე შეძლებული თავად-აზნაურებისა, მოხელეებისა და წარჩინებული მოქალაქეების ბავშვები. პანსიონის ხელმძღვანელის მთავარი ყურადღება მიქცეული იყო მანერებსა და გარეგან ზრდილობიანობაზე. ქალიშვილებს ამზადებდნენ ეგრეთწოდებული „მაღალი საზოგადოების“ ზერელე და ფუჭი ცხოვრებისათვის. იმდენად სწავლით არა ტვირთავდნენ, რამდენადაც „წვრთნიდნენ“, როგორც მომავალ მანდილოსნებს. სწავლება საკმაოდ ხშირად წყდებოდა: ხან მშობლები მოითხოვდნენ ბავშვი შინ გაეშვათ რაიმე საოჯახო ზეიმის გამო, ხან კი ესათუის გოგონა ისე მოიქანცებოდა გაძლიერებული წვრთნით,რომ თვით პანსიონის პატრონი ნებას აძლევდა მას ორ-სამ დღეს ოჯახში დაესვენა.

ერთერთი ისეთი პანსიონის პატრონი, როგორიც მადამ ფავრის პანსიონი იყო, შემდეგი სიტყვებით განსაზღვრავდა ქალთა აღზრდის ამოცანებს[2]: „ქალიშვილი უნდა იყოს მოკრძალებული, ჩუმი, თავაზიანი და გულუბრყვილო, ვით უცოდველი ბავშვი, ვით არა ამქვეყნიური არსება. მისი რევერანსი, მისი ღიმილი ან მოულოდნელად ღაწვებზე აგზნებული სიწითლე—ყოველივე ეს ძვირად ფასობს. ქალიშვილმა რომ არ იცოდეს სად არის ქალაქი სტოკჰოლმი ან დაივიწყოს გამრავლების ტაბულა—ეს მას ეპატიება. მაგრამ თუ იგი სადა და უბრალო იქნება ქცევით, თუ ვერ მოახერხებს ფრანგულად ლაპარაკს ან ისე ჩაცმას, თმების დავარცხნას და დაკულულებას, როგორც მის სახესა და გარეგნობას უხდება—ეს მას თავის დღეში არ ეპატიება. ასეთი ქალიშვილი ძალიან იოლად შეიძლება დარჩეს სულ გაუთხოვარი; თუხდაც მდიდარი იყოს...“

1858 წლის 16 (28) თებერვალს, როდესაც ანასტასია $7^1/_2$ წლის იყო, მშობლებმა იგი მადამ ფავრს მიაბარეს, ხოლო მისი პანსიონი ინსტიტუტში შესასვლელი კარიბჭე იყო.

„რა ტირილი მქონდა! ხუმრობა კი არ იყო, შვიდი წლით უნდა მოვშორებულიყავ ჩემს სახლობას“, — აღიარებს იგი შემდგომ[3].

ვაკანსია გაიხსნა თუ არა, მადამ ფავრის პანსიონიდან ანასტასია გადაიყვანეს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში, რომელიც მოთავსებული იყო, ისე როგორც მადამ ფავრის პანსიონი, მისი მშობლების ბინის

შორიახლო, არა გავაკებულ და სწორ პროსპექტზე, არამედ ერმოლოვის ქუჩის (ახლა შიო ჩიტაძის ქუჩა) ციცაბო ალმართზე.

საველე აუდიტორიატის თავმჯდომარემ ისაკ თუმანიშვილმა,— ირაკლი II ეპოქის სახელმწიფო მოღვაწის სულხან თუმანიშვილის შვილიშვილმა,—ააგო უშველებელი შენობა, რომელიც დღესაც არსებობს[4]. ამ სახლში ინსტიტუტი გადმოვიდა 1857 წელს სოლოლაკიდან, ბაღის ქუჩიდან, სადაც შადინოვის სახლში იყო მოთავსებული[5].

თბილისის ქალთა ინსტიტუტი წარმოიქმნა ნახევრად კერძო პანსიონიდან, რომელიც დაარსებული იყო ოცდაათიან წლებში მთავარმართებელ პასკევიჩის მიერ. ორმოციან წლებში პანსიონი, რომელშიაც მხოლოდ სამოდე ათეული ქალიშვილი იზრდებოდა, რეორგანიზებულ იქნა ინსტიტუტად. 1841 წლის 9 აგვისტოს ოფიციალურ გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკ"-ში დაბეჭდილი იყო ცნობა, რომელიც იუწყებოდა, რომ საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორმა მისწერა ადგილობრივ უფროსებს „შეატყობინონ თავიანთ საგამგებლოებს, რომ 1841 წლის 1 სექტემბრიდან იხსნება ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი „60 მოწაფე-ქალისათვის სახელმწიფო ხარჯით და 20 მოწაფე-ქალისათვის საკუთარი ხარჯით". სახელმწიფო ხარჯით მისაღებ 60 მოწაფიდან 40 ქალიშვილი უნდა ყოფილიყო „რუსეთის ქვეშევრდომ ამიერკავკასიის მხარის მფლობელ პირთა და მათი ნათესავებისა, შთამომავლობით ადგილობრივ თავადთა და სხვადასხვა სახელწოდების აქაურ აზნაურთა ქალიშვილები და აგრეთვე იმ აზიელთა ქალიშვილები, რომელთაც რუსეთის მთავრობის მიერ მინიჭებული ჰქონდათ სამოქალაქო შტაბ-ოფიცრობა და სამხედრო შტაბ და ობერ-ოფიცრობა და ორდენები, ხოლო 20 ქალიშვილი ამიერკავკასიის მხარეში მოსამსახურე ან სამსახურში გარდაცვალებული რუსი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებისა.

საკუთარი ხარჯით მოსწავლეთა რიცხვში შეიძლება თავისუფალი წოდების საერთოდ ყოველი პირის ქალიშვილის მიღება".

დროთა განმავლობაში რიცხვობრივი თანაფარდობა ცალკეულ ჯგუფთა შორის რამოდენადმე შეიცვალა, ხოლო მოწაფე-ქალთა კლასობრივი შედგენილობა შემდგომაც ისეთივე დარჩა, ე. ი. თავადაზნაურულ-მოხელეობრივი.

არამცთუ სამოციან წლებში, როდესაც ანასტასია სწავლობდა, არამედ უფრო გვიანაც ამ სასწავლებელში გამეფებული იყო ყაზარმული წესები. ბავშვები არავითარ კეთილგანწყობილებას არ გრძნობ-

დნენ თავიანთი სკოლისადმი, სიყვარულზე ხომ ლაპარაკიც მეტია. პირიქით, იგი მათ პირდაპირ სძაგდათ. კაჭკაჭური გაზეპირება საგნებისა, ,,კაზიონური'' სულისკვეთება, რომელიც გაბატონებული იყო სასწავლებელში, ასეთივე ურთიერთობა ადმინისტრაციასა და მოსწავლეთა შორის, გრძნობაგამოფიტული, მშრალი, გულხმიერებას მოკლებული და ჩინოვნიკური დამოკიდებულება უმეტეს წილ პედაგოგებისა ბავშვებისადმი ასახიჩრებდა მოსწავლეებს ზნეობრივადაც და გონებრივადაც.

სწავლების ფარგალი ფორმალურად ფრიად ვრცელი იყო: ,,სამღვთო სჯული'', ისტორია და გეოგრაფია, რუსული ენა და სიტყვიერება, ფრანგული ენა და სიტყვიერება, ბუნებისმეტყველება, ქართული ენა და სიტყვიერება, მათემატიკა და პედაგოგიკა, სუფთაწერა, ხატვა, მუსიკა, სიმღერა, ცეკვა და ხელსაქმიანობა. თუმცა სასწავლო საგნები შედარებით საკმაოდ მრავალგვარი იყო, მაგრამ ცოდნის დონე ელემენტარულ საწყისთა ფარგალს არ სცილდებოდა. აქ, ისე როგორც პანსიონშიაც, მოწაფე ქალთაგან ამზადებდნენ ,,დიდი საზოგადოების'' თოჯინებს, რომელთაც ჩაცმა-დახურვის უნარი შესწევდათ, კარგი მანერები ჰქონდათ, შეეძლოთ ცოტათი ფრანგულად ეჟღურტულათ, როიალი ეჟღარუნებინათ.

ინსტიტუტის გარდა, თბილისში 1846 წლიდან არსებობდა მეორე პრივილეგირებული ქალთა სასწავლებელი, სახელდობრ ,,წმინდა ნინოს სასწავლებელი''. მაგრამ ინსტიტუტის მოწაფეებს აგონებდნენ, რომ ისინი განსაკუთრებულ მდგომარეობაში არიან. ინსტიტუტის საპატიო მზრუნველი იყო მეფის-ნაცვლის მეუღლე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარე—ჩვეულებრივ მეფის-ნაცვლის თანაშემწე. ანასტასია რომ სწავლობდა, საბჭოს თავმჯდომარედ გრიგოლ ორბელიანი იყო.

თბილისის ინსტიტუტის მოსწავლეთა შორის, რასაკვირველია, ისეთებიც იყვნენ, რომელნიც არ ეგუებოდნენ, არ ნებდებოდნენ ადამიანის პიროვნების შემლახველი ,,კაზიონური'' სკოლის ატმოსფეროს. ამ თითო-ოროლათა შორის უეჭველად ანასტასიაც იყო. უმრავლესობა კი შორს იდგა ინტელექტუალურ ინტერესებზე და უხმოდ ეგუებოდა ინსტიტუტურ წვრთნას. ზოგიერთის პროტესტი ინსტიტუტის რეჟიმის წინააღმდეგ ხანდახან სრულიად მოულოდნელ ფორმებში გამოიხატებოდა. 1875 წლის 2 (14) მაისის წერილში ანასტასია უამბობდა თავის ძმას გიორგის ასეთი პროტესტის ერთერთ შემთხვევას (წერილი რუსულადაა):

,,ჩვენში მხოლოდ იმაზე-ღა ლაპარაკობენ, ინსტიტუტში რომ პატარა ხანძარი მოხდა. ერთმა, თითქმის პაწია გოგონამ,

ვინმე შენგერტმა, ცეცხლი წაუკიდა და თვითონ კი მამადავითისაკენ გაიქცა, რათა იქიდან ეყურებინა (როგორც თვითვე თქვა), როგორ აგიზგიზდება საძაგელი ინსტიტუტიო. ჯერ აპირებდნენ ავადმყოფად გამოეცხადებინათ იგი, მაგრამ, როგორც ამბობენ, თურმე ისე ჭკვიანურად უპასუხებდა, რომ საქმე გამომძიებლისათვის გადაუციათ. ბარონესაც (გახსოვს, კოჯორში ჩვენს გვერდით რომ გაიარა) ჩარეულია. თუმცა ცეცხლი მალე ჩააქრეს, მაგრამ ცეცხლის წაკიდების საბაბი ყველას აინტერესებს. ამბობენ, უფროსს[6] შემოუღია სასტიკი დასჯა და ამ ამბის წინ ეს გოგონა მეტად ბარბაროსულად დაუსჯია: თავი გაუპარსვინებია, რაღაც ბლუზა ჩაუცმევინებია (ისე, როგორც პაპმა გრიგოლმა ჰენრიხი დასაჯა)[7] და სამი თუ ოთხი დღით პატარა მყრალ საკუჭნაოში დაუმწყვდევია ცარიელ პურსა და წყალზე. თუ ამ საქმეს არ მიაფუჩეჩებენ და მართლა საოლქო სასამართლოს გადასცემენ, ალბათ, მოსალოდნელია ინსტიტუტის რეფორმა, რადგანაც ეს საკითხი ყველას უნდა ეგულისხმებოდეს''.

თითქმის შვიდი წლის განმავლობაში პანსიონსა და ინსტიტუტში ყოფნის შემდეგ დადგა ანასტასიასათვის თავისი მშობლების სახლში დაბრუნების მომენტი. 1865 წლის 13 ივნისს ,,მეცნიერებათა კურსი'' დამთავრებული იყო და ახლა მომავალზე უნდა ეფიქრა.

სამოციან წლებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ქალიშვილის წინ გადაშლილი ჰორიზონტი შემოზღუდული იყო შინაური საქმიანობით, ოჯახითა და ეგრეთწოდებულ ,,საზოგადოებაში'' გართობით. არც სამეცნიერო, არც საზოგადოებრივი მუშაობა მისთვის ხელმისაწვდენი არ იყო. რუსეთში ზოგიერთი მათგანი როგორც იყო კიდევ ახერხებდა უმაღლეს სასწავლებელში შესვლას, უმთავრესად სამედიცინო ფაკულტეტზე ან საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე და შემდეგ ეძლეოდა სამედიცინო და საპედაგოგო მუშაობას. ზოგიერთი არალეგალურ წრეებშიაც იღებდა მონაწილეობას. მაგრამ ასეთი ქალების რიცხვი იქაც სულ მცირე იყო. თვით ეგრეთწოდებულ ,,პროგრესისტებს'' შორისაც გავრცელებული იდეები ამახინჯებდნენ პედაგოგიკის ელემენტარულ ამოცანებსაც კი. ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ნ. ი. პიროგოვის „Вопросы жизни" პროგრესისტი პედაგოგების დროშად იყო გადაქცეული, მაგრამ თვით პიროგოვსაც კი მიაჩნდა, რომ აღზრდას თავის საბოლოო მიზნად აქვს ბავშვის უგუნური ნებისყოფის აღმზრდელის გონიერ ნებისყოფად შეცვლა. გამოჩენილი კრიტიკოსი ნ. ა. დობროლუბოვი, რომელიც ბევრს

მუშაობდა პედაგოგიკის საკითხებზე, მხურვალედ ეკამათებოდა პიროგოვს. დობროლუბოვს მიაჩნდა, რომ პიროგოვის პრინციპი ზღუდავს ახალი თაობის უფლებას და იგი მოითხოვდა, რათა აღმზრდელებს გამოეჩინათ მეტი პატივისცემა „ადამიანის ბუნებისადმი“. ხოლო როდესაც ლაპარაკი ქალთა უმაღლეს განათლებაზე ჩამოვარდებოდა, ამ განათლების მოწინააღმდეგენი ისეთ თვალსაჩინო ძალას შეადგენდნენ, რომ მათთან ბრძოლა მეტად გაძნელებული იყო. „ქალთა განათლებისა და ქალთა შრომის დიად იდეაზე“[8] ლაპარაკს მხოლოდ თითო-ოროლა თუ ბედავდა.

საქართველოში ქალისათვის საზოგადოებრივი საქმიანობის ერთადერთი ასპარეზი ლიტერატურა იყო, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ლიტერატურული წრეების შექმნა. ისეთ ქალებს, როგორიც მანანა ორბელიანი იყო, უნარი ჰქონდათ მოესმინათ და წაეხალისებინათ პოეტები და მწერლები, მაგრამ თვითონ კი ლიტერატურულ შემოქმედებას ვერა ბედავდნენ. სხვებმა თუ სცადეს ლიტერატურული შემოქმედების გზას დასდგომოდნენ, როგორც ბარბარე ქობულიშვილმა, ბატონიშვილმა თეკლემ, ბარბარე ჯორჯაძემ, ნინო ორბელიანმა,—მაინც ეს ცდა ქალის საერთო მდგომარეობას არა ცვლიდა. თავადაზნაურული წოდების ქალისათვის დახშული იყო თვით სცენის კარიც კი. მართალია, ცალკეული მოყვარულნი „მაღალი საზოგადოებიდან“ მონაწილეობას იღებდნენ გიორგი ერისთავის ორმოცდაათიანი წლების პირველ წარმოდგენებში, მაგრამ ეს ის პერიოდი იყო, როდესაც სცენაზე გამოსვლას სრულიად შემთხვევითი არაპროფესიონალური ხასიათი ჰქონდა და როდესაც ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად აქეზებდა პოლიტიკური მოსაზრებებით მეფის-ნაცვალი ვორონცოვი.

70-იანი წლების ბოლომდე სცენაზე ქართველი ქალის გამოსვლა იმდენად ძნელი იყო, რომ ისტორიაში ცნობილი მდივანი ომან ხერხეულიძის შვილიშვილის ბარბარეს (შემდგომ ავალიშვილისა) და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ქალის ქართულ სცენაზე პროფესიონალ არტისტებად შესვლა თითქო რაღაც სასწაული იყო, იშვიათი გამონაკლისი საერთო წესიდან. ჯერ კიდევ 70-იან წლებში ქალის როლებს ახალგაზრდა მამაკაცნი თამაშობდნენ. ის შეხედულება, რომ არტისტი ქალი უეჭველად ხნედაცემული ადამიანია, ქართველი საზოგადოების მაღალი ფენიდან საშუალო ფენაშიაც გადავიდა, და დიდი ზნეობრივი სიმწარე განიცადა 70-იანი და 80-იანი წლების იმ თითო-ოროლა ქალმა, ვინც

დასძლია მშობლების წინააღმდეგობა ან ვინც სრულიად გაეყარა თავისიანებს, რათა სცენაზე შესულიყო.

ინსტიტუტის დამთავრებამ გაუღო ანასტასიას იმ ცხოვრების კარი, საითკენაც მოუწოდებდა მისი წრე, მისი საზოგადოება. იგი აღტაცებული დაბრუნდა შინ ინსტიტუტის „ტყვეობიდან განთავისუფლების გამო.

„რა ლხინი, რა სიამოვნება მომელოდა შინ! ჩვენისთანა ნასწავლი აღარავინ გვეგონა... მართლაც, ახალი გამოსული, თითქო ძილისაგან დაბნედილი, ვეცემოდი აქეთ-იქით, დილით და საღამოთი სულ იმ ფიქრში ვიყავი—დრო როგორ გავატარო და შვიდი წლის ჯავრი ამოვიყარო ამ ერთ წელიწადს. ზოგჯერ მორთულს, მხიარულს ხალხში შემომესმოდა შემდეგი სიტყვა: „ჩვენო გამართობელო!“—რათ იციან ამ დალოცვილმა კაცებმა დაცინვა...“ [9].

მალე მასში გარდატეხა მოხდა:

„მალე მომბეზრდა ამნაირად დროს გატარება და მას აქეთია ვკითხულობ სხვადასხვა წიგნებს, ვკითხულობ და მგონია, მთლად ჩემი სიცოცხლე რომ ამაში გავატარო, მაინც ბევრი არა გამოვა-რა. ერთ ნაცნობს ვკითხე რჩევა, რომელი წიგნების კითხვა ემჯობინება-მეთქი: საქმეც ის არის, მიპასუხა იმან, რო შენ თითონ დააფასო ავი და კარგიო... ზოგჯერ რამდენი წიგნის გადაკითხვა მომინდება, სანამ მივაგნებდე იმისთანა აზრს, რომელიც სრულიად გამიტაცებს შორს, შორს... ამ დროს დედაჩემი თითქო მიხვდება ჩემ აზრებს და შიშით წამოიძახებს:

„შვილო, განა შეიძლება მაგდენი კითხვა? სახელმწიფოს ხომ შენ არ გაბარებენ! ადექ, მიიხედ-მოიხედე, დროა, დახე შენ ტოლებს... თუ ჩემგან ამორჩეულ საქმროს არ ნდომულობ, შენ თითონ მაინც ამოირჩიე. ლამაზი არა ხარ თუ! შეძლება თუ გვარიშვილობა გაკლია?!“

ის კი არ იცის დედაჩემმა, რომ დიდი ხანია ჩემ გულს ამორჩეული კიდეცა ჰყავს...“

და არჩევანი მოხდა: ანასტასიამ მტკიცედ გადაწყვიტა დასდგომოდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზას და იწყო ამისათვის მზადება. ოფიციალური განათლება დამთავრებული ჰქონდა, მაგრამ ინსტიტუტიდან გამოტანილი გონებრივი „ავლადიდება“ ძალიან მჭლე აღმოჩნდა... „ვაი ამ სწავლას... არც ქართული, არც რუსული

ლაპარაკიც კი არ ვიცოდი, ოუმცა ხუთი წელიწადი ოთხ კედელშუა ვიყავი დამწყვდეული“ [10].

აგზნებითა და სიმტკიცით, რაც მისი ხასიათის თანაარსი იყო, შეუდგა ანასტასია თავისთავზე მუშაობას უფროსი დის ბარბარეს ხელმძღვანელობით. ბარბარეს ანასტასიაზე ორი წლით ადრე ჰქონდა ინსტიტუტის კურსი დამთავრებული. მათი წრისა და ხნის ქალიშვილები კი მხოლოდ ბალებზე, საღამოებზე, ტანსაცმელზე და საზოგადოებაში გართობაზე ოცნებობდნენ.

„ჩემი ტოლები თითო-თითო თხოვდებიან, თითქო პირობა შეუკრავთ—ვინ ვის დაასწრებსო. სუყველანი მარტო იმაზე ფიქრობენ, რომ შეძლებული ქმრები იშოვონ. ერთმა სიცილით მითხრა, როცა იმას ჩამოვუგდე სიყვარულზე ლაპარაკი:

— სიყვარული ფუჭი კაკალია! საცა შეძლება იქნება, მხიარულებაც იქ არის, და საცა მხიარულებაა, ბედნიერებაც იმას მოსდევს!

ერთმანეთს არა ზოგვენ. დღე-ღამ სულ იმ ფიქრში არიან, როგორ იშოვონ საქმროები. განა მერე ძიძა და გამდელი არ გაუზრდის იმათ შვილებს? ან იმდენი არ ეცოდინებათ, რომ ბეზიკი ითამაშონ? ხშირად მეუბნებიან:

— რა არი, ქალო, ეგრე გამოცვლილხარ, აღარ გვეკარები, ან ავი თქვი, ან კარგი! ხომ გაიგონებდი, რომ მაიკოს დაუთხოვნია ქმარი, ველარ ვიცხოვრებ შენთანაო, არ მიყვარხარო. გესმის, ექვსი წლის შემდეგ იწუნებს!

ზოგჯერ ვერ მოვითმენ, დავიწყებ აღტაცებით გამოსარჩლებას:

— მაიკო ხომ თითქმის ბავშვი ძალდატანებით გაათხოვეს... ხასიათით ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს და სხვ...

დამიწყებენ დაცინვას, მკითხავენ—რომელ წიგნში ამოგიკითხავს ამისთანა ამბებიო? მეც გავებუტები და სიტყვას ვაძლევ ჩემს თავს, რომ მეორედ ესე აღარ ველაპარაკო“ [11].

ანასტასია და ბარბარე წიგნებს ჩაუსხდნენ. მაგრამ სულაც არ ეწეოდნენ განდგომილ ცხოვრებას, დადიოდნენ თეატრში, კონცერტებზე, საცეკვაო საღამოებზე. ხოლო ეს გართობა მათთვის მარტოოდენ გართობა იყო და არა ცხოვრების საგანი, როგორც სჩვეოდათ თავადაზნაურული წოდების სხვა ქალიშვილებს.

„სამჯერ-ოთხჯერ ვიყავ კრუჟოკში. ქალები ისეთი მორთული და ლამაზები არიან, თითქო ერთი მეორეს ეჯიბრებაო. ერთმა ნაცნობმა კაცმა სიცილით მითხრა:—მზე რას მოგკიდებიაო,

ეგრე გაშავებული ხარო.—ძალიან გამიკვირდა, ჩავიხედე სარკეში, მზისგან დახრუკულს მიმიგვანდა სახე. მერე იმ ნაცნობმა დაუმატა:—საცა წავა კაცი, იქაური ქუდი უნდა დაიხუროსო. ამ ბრჭყვიალა ვარაყიან სახლში რომ მოსულხარ, ფერუმარილიც კარგა უნდა გაგეგლისაო. არ იცი, რომ აქ ღიმილიც კი ნათხოვარი აქვთო?!

დავუწყე ყურისგდება, სულ ამას ლაპარაკობდნენ: „ეს ქალი როგორ ჰშვენის! იმას რა კარგი კაბა აცვია! დღეს როგორღაც მხიარულობა არ არის! რა კარგად ტანცაობს ის დრაგუნი! რა სასიამოვნოა ამ კაცთან ცეკვა, რომელსაც ხვალ თავსაც არ დაუკრავ? დედაჩემიც მოწყენილია. არა, სომხების კლუბში უფრო მხიარულობა იქნება, იქ სჯობია წასვლა“.

მართლაც რომ ,,სობრანიეში'' უფრო მხიარულობაა. იქ ლეკური იციან, საზანდარი უკრავს. ხალხი თუმცა უფრო მდიდარი დადის, მაგრამ უბრალო ტანისამოსი აცვიათ. დიდ ზალაში ფანჯრების თანასწორივ სკამებზე სხედან თავდახურული ქალები, კრიალოსანს ათამაშებენ. ზოგიერთს ბრილიანტის ვარსკვლავები აქვს თავსაკრავებში გაკეთებული,—ეტყობათ, მდიდარი ვაჭრის ცოლები არიან. ამათ წინ ბოლთას სცემენ ამათი ახალგაზრდა ქალები, კაცები ცოტა მოშორებით ჯგუფ-ჯგუფად დგანან და ქალებს სინჯავენ.

ეს კაცები თითქოს სულ ნაცნობები არიან, სადღაც მინახვანან; მართლა, მაღაზიებში დახლთან...

მე მაინც მოწყენილი ვარ. რა უნდა იყოს მიზეზი? მე სულ სხვა დროსგატარება მომწონს. მხიარულება იქ არის, საცა ორიოდ ქალი და კაცი შეიყრებიან, თავიანთ მდგომარეობაზე, სხვადასხვა საზოგადო საქმეებზე და წიგნებზე ლაპარაკობენ. აი ჩემ მეგობარ ნინოსთან კი არ მივდივარ, მივფრინავ ხოლმე“ [12].

თ ა ვ ი II

თ ვ ი თ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

დედ-მამა. დის გავლენა. უკმაყოფილება გარემომცველი წრის მიმართ. თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრება წარსული საუკუნის 60-70-იან წლებში. პედაგოგიური იდეები. ევროპაში გამგზავრება.

იმ ხანად ანასტასიას მამა ისეთ შრომას ეწეოდა, რაც მოითხოვდა მთელი ძალ-ღონის დაძაბვას. მას დაკისრებული ჰქონდა ჯერ—კავკასიაში საგლეხო რეფორმის მომზადების საქმე, ხოლო 1864 წლიდან არა ნაკლებ მძიმე და პასუხსაგები სამუშაო—ამ რეფორმის პრაქტიკული განხორციელება. მაინც იგი დროს პოულობდა, რათა ხელმძღვანელობა გაეწია ქალიშვილების მეცადინეობისათვის. იგი კეთილშობილი და სათნო კაცი იყო, მაგრამ ამასთანავე პასუხისგების გრძნობის პატრონი და ამას მოითხოვდა როგორც თავისთავისაგან, ისე სხვებისაგანაც. თვითონ იგი ადევნებდა თვალყურს ქალებისათვის წიგნებისა, მასწავლებლებისა და თვით სასწავლო საგნების შერჩევას. შვილების აღზრდა-განათლება მისი დიდი ყურადღების საქმე იყო. იგი ამოწმებდა მათ ცოდნას და ესაუბრებოდა როგორც დიდებს. მამის მომკითხველობა აიძულებდა შვილებს მუდამ გულხმიერად და მზად ყოფილიყვნენ სათანადო პასუხისათვის. ამ თვისებამ მიაჩვია ანასტასია თავისთავის კონტროლს, თავისი საქმიანობისა და ქცევისათვის ანგარიშის გაწევას. ამის მეოხებით მასში განვითარდა ხასიათის სიმტკიცე, კეთილსინდისიერება და მუყაითობა საქმისადმი, განვითარდა პასუხისმგებლობა თავისი სიტყვისა და მოქმედებისათვის, ე. ი. ის თვისებანი, რაც ახასიათებდა მას საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მთელი სიცოცხლის მანძილზე.

მამის გავლენა ეხებოდა ქალიშვილების მეცადინეობის უფრო გარეგან მხარეს. ამ მეცადინეობაში დედა არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, ხოლო ანასტასიას აზრების მიმართულებაზე მოქმედებდა მისი უფროსი და ბარბარე. ორმოცი წლის შემდეგ ინსტიტუტის გათავებიდან ანასტასია იგონებს[13]:

,,დედაჩემი იყო გამჭრიახე, კაი მეოჯახე ქალი, თავის შრომით და ყაირათით გამოჰყავდა თავისი წვრილშვილი. თუმცა შეძლებული ოჯახის ქალი იყო და მის მამას შეეძლო მიეცა დროის შესაფერი სწავლა, მაგრამ ქალების სწავლის წინააღმდეგი იყო და არც გასაკვირვებელია, რადგან ჯერ ჩემ დროსაც უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა აგრეევე ფიქრობდა. თუმცა ჩემ ტოლ-ამხანაგებში ინსტიტუტში კაი მოსწავლეთ ვითვლებოდი, მაგრამ მე და ჩემ განვითარებული დის შუა დიდი განსხვავება იყო. ორი წლის წიგნების კითხვამ, საზოგადოების ცხოვრებაზე დაკვირვებამ ის ჩემთვის ნამდვილ მასწავლებლათ გახადა. მისმა გავლენამ ისე სწრაფათ წამიყვანა წინ, რომ მალე მას მხარში ამოვუდექი და ყველა მის კეთილი და კაი მისწრაფებების თანამოზიარე გავხდი. მამაჩვენიც ხელს გვიწყობდა თავისი ლიტერატურის ცოდნით ქართულისა და რუსულისა და იქამდის მიახწია საქმემ, რომ სპენსერი და სხვა ფილოსოფოსების ნაწარმოებები თუმცა ჩემი დის ხელმძღვანელობით შემეძლო გამეგო".

ოჯახში კონფლიქტი მწიფდებოდა:

,,მამაჩემის აზრები ჩვენ შესახებ ნათლად გამოირკვა. ყმაწვილი ქალები უნდა კარგად განვითარებული იყვნენ, იცოდნენ მუზიკა, სხვადასხვა ქვეყნების ენები, ლიტერატურისა და ოჯახის გარეთ კი არ გავიდნენ, მეტადრე როდესაც შეიძლებს დედ-მამა უზრუნველყოფილი გახადოს ისინი. აზრები კი თანდათან წინ გარბოდნენ, უსწრობდნენ ერთი მეორეს; დღეს რომ სამოქმედოთ ერთი გზა მიგვაჩნდა და ამ გზით გასვლაზე ვოცნებობდით—სხვაგან პრაქტიკული მოქმედება სულ ახალ-ახალ გზას გვიჩვენებდა. ჩემ ბრძოლაში იხარჯებოდა ძალღონე. ის იყო ჩემი და რომ ზოგიერთი აზრების განხორციელებას შეუდგა, მაგალითად, უნდა გამოჩენილი კაცების ცხოვრების აღწერით შეეგნებინა ხალხისათვის კაი საქმეების მიბაძვა და ამ მიზნით დაამზადა გიორგი სტეფენსონის ბიოგრაფია, რომელიც მერე იქნა ჩემგან გამოცემული [1876 წ.]" [14].

„...როგორც თავადის ქალისაგან,—ამბობს ანასტასია ერთ თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში [15],—საზოგადო წრე ჩვენგან სხვას მოელოდა და ამიტომ ბრძოლა დაგვჭირდა მე და ჩემ დას. ის იყო სუსტი აგებულებისა და მგრძნობიერი—ვერ აიტანა—და გარდაიცვალა".

მართლაც, ის წრე, რომელიც ანასტასიას გარშემო იყო, არ აკმაყოფილებდა მას და იგი ცდილობდა, რაც ძალი და ღონე ჰქონ-

და, თავიდან აეცილებინა თავისი წრის ქალიშვილის ხვედრი და არ ჩაფლულიყო უფერული ყოველდღიურობის ინტერესების ჭაობში. მან წერაც კი სცადა, მაგრამ პირველი ცდა მარცხით დამთავრდა. მისი ძმა გიორგი ოხუნჯობდა უფროსი დის ცოდვილობაზე და ანასტასია პასუხად სწერდა გიორგის 1871 წლის 15 (27) დეკემბერს (დედანი რუსულადაა):

„რად დასცინი ჩემს სამწერლო ნიჭს? დამიჯერე, პრეტენზიაც არა მაქვს მასზე, და განა მარტო ამით შეიძლება საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა? ესეც არის, მე ჩემს თავზე როდი ვლაპარაკობ: როდესაც გარშემო ასეთი სიცარიელეა, საჭიროა ძლიერი ხასიათი და გონება, რათა არ აჰყვე მათ“.

60-70-იანი წლები რუსეთში საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლების წლები იყო. ბელინსკი, დობროლუბოვი, ჩერნიშევსკი დაეუფლნენ მოწინავე ინტელიგენციის აზროვნებას. გერცენი შორიდან აგუგუნებდა თავის ჟურნალს „კოლოკოლს“. კაპიტალისტურ ურთიერთობათა სწრაფმა განვითარებამ და რუსეთის განმათავისუფლებელი იდეების გავლენამ გამოიწვია ახალი ინტელიგენციის აღორძინება საქართველოშიაც. ძველი ტრადიციებისა და ვიწროწოდებრივი ინტერესების მიმდევარ მემამულეთა და ხელისუფალთა ძველი თაობა, რომელმაც სულიერადაც და გონებრივადაც თავისი თავი უკვე მოჭამა, წააწყდა წინააღმდეგობას თვით თავადაზნაურული ახალგაზრდობის მხრით, იმ ახალგაზრდობისა, რომელმაც შემოიტანა საქართველოში ახალი იდეები. ეს ახალგაზრდობა გამომხატველი იყო ქ ა ლ ა ქ ი ს თავად-აზნაურობის ინტერესებისა. ლიბერალ ახალგაზრდა თავად-აზნაურთა გვერდით გამოჩნდა აგრეთვე დემოკრატიულად განწყობილი ახალგაზრდების ჯგუფი წვრილფეხა მემამულეთა წრიდან, რომელიც შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია. ამავე დროს, 1864 წლის საგლეხო რეფორმის შემდეგ, საქართველოში სოფლად წარმოიშვა წვრილი ბურჟუაზია და მალე თვით წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია. რუსეთში ძლიერად განვითარებული ნაროდნიკული იდეები და ეგრეთწოდებული „ხალხში გასვლა“ საქართველოსაც მოევლინა. ქართველი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეოლოგიაში მორიგ საკითხებად გახდა არტელები, კოოპერაცია, გლეხთა კულტურა. სწორედ მაშინ პოლიტიკურ ნიადაგზე დადგა ნაციონალური საკითხი და ერთბაშად წარმოიშვა რამდენიმე გაზეთი და ჟურნალი პოლიტიკური პროგრამებით[17].

თბილისის საზოგადოებრივ ცხოვრებას იმ დროს დიდი გამოცოცხლება დაეტყო, გამოიცა რამდენიმე ახალი გაზეთი: „დროება“, „კრებული“, „ტიფლისკი ვესტნიკი“, „მშაკი“ და სხვ. სკანდელმა (ნ. ი. ნიკოლაძემ), ლოლობერიძემ, გიორგი წერეთელმა, „მემკვიდრეობით პოეტმა“ („Наследственный поэт“ — დავით ერისთავი) და სხვ. თავიანთი წერილებითა და ფელეტონებით შექმნეს ჟურნალისტიკაში ალტყინება და ბრძოლის სულიერი განწყობილება. „ახალგაზრდათა“ პარტია, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა, მძაფრად უტევდა „ბებრებს“, რისთვისაც მან, სხვათა შორის, ხელზე დაიხვია თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნისა და სათავადაზნაურო ბანკის დაარსების საკითხები. ასეთივე ბრძოლა ძველ და ახალ თაობათა შორის გაჩაღებული იყო ქალაქის თვითმართველობაში. ხოლო აქ ეს ბრძოლა გართულებული იყო კლასობრივი და ნაციონალური ინტერესებით. მუდმივი ქართული სცენა ჯერ კიდევ არ არსებობდა (იგი წარმოიქმნა 1878—79 წლების სეზონში) და ქართულ წარმოდგენებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. რუსული დრამატიული დასისა და ოპერის თეატრის საქმე კი კარგად მიდიოდა. ანტრეპრენიორები, განსაკუთრებით იაბლოჩკინი, ახერხებდნენ ისეთი შსახიობების შერჩევას, რომელნიც თავიანთი თამაშით თბილისის თეატრს სხვა პროვინციულ თეატრებზე უფრო მეტ სახელს უხვეჭდნენ. თამამშვილის ქარვასლის მშვენიერი თეატრის დაწვამ, მართალია, დიდი ვნება მიაყენა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს, მაგრამ ეს ვნება იმდენად ძლიერი არ იყო, რომ ჩაეხშო თეატრალური ცხოვრება. იმავე წლებში იმართებოდა მრავალი კონცერტი, ხოლო თბილისის არტისტული ჯგუფი, რომელიც შემდგომ „თბილისის კრუჟოკად“ გადაკეთდა და რომელიც აერთიანებდა ყველა ეროვნების ინტელიგენციას, აწყობდა საჯარო ლექციებს. ამ ლექციების დანიშნულება იყო—გაეწია რამოდენადმე უმაღლესი სასწავლებლის მაგიერობა, რაც იმ დროს არ არსებობდა. ლექციებს კითხულობდნენ უმეტეს წილ ადგილობრივი სასწავლებლების მასწავლებლები და ჩამოსული მეცნიერები— ქიმიაზე, ლიტერატურაზე, ფიზიოლოგიაზე, პოლიტიკურ ისტორიაზე, პოლიტიკურ ეკონომიაზე, ერთი სიტყვით, ისეთ საგნებზე, რაც მოდად იყო გავრცელებული იმდროინდელ რადიკალურად განწყობილ ინტელიგენციაში. 1871 წელს დაიწყო ლექციები ახალგაზრდა და ნიჭიერი მეცნიერის, მედიცინის დოქტორის ი. რ. თარხან-მოურავისა, რომელსაც ბრწყინვალე მომავალი მოელოდა და რომელიც შემდგომ აკადემიკოსი გახდა. შესანიშნავი ფიზიოლოგის სეჩენოვის მოწაფე ი. რ. თარხან-მოურავი კითხულობდა ლექციებს ცოცხალი სხეულის

სხვადასხვა ორგანოების აღნაგობასა და ფუნქციებზე. მისი კითხვის მანერა—მარტივი და ცოცხალი, ლექციების დროს ცხოველებზე ცდების წარმოებასთან შეთავსებული, აუარებელ მსმენელს იზიდავდა. ანასტასია დადიოდა ლექციებზე თავის დასთან ერთად, ხანდახან მამასთანაც, და აღტაცებას გამოთქვამდა ლექტორზე თავის წერილებში ძმისადმი. ბარბარეც, თავისი მხრით, სწერდა მასვე 1871 წლის 7 (19) ნოემბერს: „ამჟამად თბილისს სხვა საქმე აღარა აქვს, გარდა თარხნიშვილის ლექციებისა. ყველამ გაიღვიძა და ლექციების მოსასმენად მიაშურა—ახალგაზრდამაც და მოხუცმაც. მე უკვე გწერდი პირველ ლექციაზე, რომელზედაც 200 კაცმა მოიყარა თავი, ხოლო უნდა გენახა, რა ხდებოდა უკანასკნელ ლექციებზე. ყველანი ბილეთების საყიდლად მიაწყდნენ, მაგრამ მსურველი იმდენად მრავალი იყო, რომ ბილეთების გამოშვება აღარ უნდოდათ. მაინც, ღმერთმა უწყის რა გზით, 600 მსმენელი მოგროვდა. რაღა თქმა უნდა, მანდილოსნები სჭარბობდენ“. 22 ოქტომბერს (3 ნოემბერს) იგი ატყობინებს ძმას: „ტასო აღტაცებულია ლექციებით და სიხარულისაგან დაფრიალებს“ (დედანი რუსულადაა).

თარხნიშვილის ლექციების გამარჯვება აიხსნება არა მარტო მისი კითხვის მანერით. ლექტორი მისდევდა ახალ იდეებს, რომლებიც ისის იყო გზას იკვლევდნენ ფიზიოლოგიაში და მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული იმ საუკუნის მოწინავე იდეებთან. იგი აღნიშნავდა, რომ მოძღვრება ადამიანის თავისუფალ ნებისყოფაზე, რომელი მოძღვრებაც მანამდე ფილოსოფიაში სჭარბობდა, თანდათან ადგილს უთმობს სხვა მოძღვრებას და ეს ახალი მოძღვრება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ყველა მოქმედება წარმოიქმნება გარეგანი გარემოს გავლენით. ამიტომ თავისი ლექციების თემად მან აირჩია მოძრაობის დამოკიდებულება ნერვული ცენტრებისა, ნერვებისა და კუნთებისაგან. აი ეს იყო ახალი თბილისის ინტელიგენციისათვის და აი რატომაც ახალგაზრდობა—მესხი, გიორგი წერეთელი და სხვანი, რომელთაც თითქო ფიზიოლოგიასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდათ, ეხმარებოდნენ ცდებში, ხოლო ანასტასიამ, რომელიც თარხნიშვილის არც ერთ ლექციას არ აკლდებოდა, ლექციების დამთავრებისას ხელი მოაწერა თავის დასთან ბარბარესთან ერთად 120 მსმენელის განცხადებას, ლექციების განგრძობას რომ ითხოვდნენ. თარხნიშვილის ლექციები ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ მათი გავლენით ქალიშვილთა ჯგუფი, რომელთაც ინსტიტუტი და წმინდა ნინოს სასწავლებელი ჰქონდათ გათავებული, ციურიხში (შვეიცარია) გაემგზავრა უმაღლესი სწავლის მისაღებად[18].

საზოგადოების გამოფხიზლების ასეთ ატმოსფეროში ანასტასიას მუშაობა თვითგანათლებისათვის წარმატებით და განსაზღვრული გეგმით მიმდინარეობდა. შინ მეცადინეობა და „კრუჟოკის“ ლექციები ერთი მეორეს ერთვოდა. პედაგოგიკა, ნერვული სისტემა, ზოოლოგია, სახეთა და ადამიანის წარმოშობა, თავის ტვინის რეფლექსები, ზრდის პროცესების ფიზიოლოგია, ლოგიკა, ფილოსოფია—აი, ანასტასიას და იმ წრის სწავლის საგნები, რომელშიაც იგი მეცადინეობდა. პანსიონმა და ინსტიტუტმა ძალიან სუსტი ცოდნა შესძინა ფრანგული ენისა. ხოლო მამას მიაჩნდა, რომ ევროპული ენების ცოდნა აფართოებს ახალგაზრდობის ჰორიზონტს და ამისდა მიხედვით—

„... გულმოდგინედ ვსწავლობ ფრანგულ ენას, ვწერ ამბებს და ვთარგმნი,—ატყობინებს ანასტასია თავის ძმას გიორგის 1871 წლის 15 (27) დეკემბერს,—ჰო და, მალე უნდა შევისწავლო, თორემ სირცხვილია; სავარჯიშოდ, რამოდენიმე ხნის შემდეგ, შეგვიძლია ერთმანეთს ფრანგულად ვწეროთ“ (დედანი რუსულია).

რადგანაც დები, წინანდელი მასწავლებლის, მადამ კიკანდოს, კმაყოფილი არ იყვნენ, 1871 წლის ბოლოდან მათ მეცადინეობა შენიესთან დაიწყეს. იგი ყოფილა „ახალგაზრდა ქალი არაჩვეულებრივი წითელი თმებით“ (ბარბარეს 1871 წლის 4 (16) დეკემბერის წერილიდან გიორგისადმი). მან შესძლო, თურმე, გაეტაცა ისინი თავისი ნიჭიერი სწავლებით და ის ორი გაკვეთილი კვირაში, რომელიც ჰქონდათ შენიესთან, პირდაპირ ნამდვილი დღესასწაული ყოფილა მათთვის. 1873 წლის შემოდგომიდან ანასტასია შეუდგა შინ გერმანული ენის სწავლასაც თავისი უმცროსი ძმის ვასილის შემწეობით. ამასთანავე მუსიკასაც სწავლობდა. შინაური მიწერმოწერიდან ჩანს, რომ 1873 წელს ანასტასია როიალზე დავით ერისთავის პატრიოტულ სიმღერებს იზეპირებდა.

ანასტასიას ოჯახს აბონიმენტი ჰქონდა ივანოვის ბიბლიოთეკაში. ვიხმანის წიგნის მაღაზიასთან 1872 წელს ახალი წიგნების ბიბლიოთეკა გახსნილა. ანასტასიას მამა ამ ბიბლიოთეკის აბონენტი ყოფილა. 1873 წლის შემოდგომაზე ანასტასიაც ჩაწერილა ამ ბიბლიოთეკაში და თურმე თავს იკლავდა ახალი წიგნების კითხვით. შინაურ ბიბლიოთეკასაც ამ წლებში თვალსაჩინოდ ემატებოდა ბუნებისმეტყველებისა, ფიზიოლოგიისა და პოლიტიკური ეკონომიის შინაარსიანი წიგნები, მაგრამ ჰუმანიტარულ მეცნიერებასაც საპატიო ადგილი

ეჭირა ამ ბიბლიოთეკაში. ამნაირად, თვითგანათლებისათვის ანასტასიას ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. იგი მაინც ხშირად შესჩიოდა მახლობლებს—თბილისის ცხოვრება ფუჭია და უფერულია. რაც უფრო ნაკლებ სიამოვნებას აგრძნობინებდა ანასტასიას ეს ცხოვრება, მით უფრო აღრმავებდა იგი თავის მეცადინეობას. მიხეილ თუმანიშვილის ერთერთი წერილი შვილისადმი (1874 წლის 12 (24) თებერვლის თარიღით) ცოცხლად გვიხატავს, როგორ ატარებდა დროს ანასტასია 70-იან წლებში: „... ტასო ზის გარსშემოხვეული ერთის მხრით ახლად მიღებული „პეტერბურგსკიე ვედომოსტებით", „ოტეჩესტვენიე ზაპისკებით" და „ნედელიებით", ხოლო მეორეს მხრით „დროებით" (ჩვენ უკვე გამოვიწერეთ ამ წლისთვის იგი და „კრებული")[19] და ხარბად ათვალიერებს, თუმცა ამასთანავე დროს უწილადებს გეტნერსაც[20] და თავის საყვარელ გერმანულ ენასაც. მე ვუთხარი, წერილი მოეწერა, მაგრამ ამ რიგობაზე ამის გაგონებაც კი არ უნდოდა, გადასდო გემის შემდეგ გამოსვლამდე;[21] ამას გარდა, ერთი საათის შემდეგ ლექციაზე მივდივართ „კრუჟოკში"; წაიკითხავენ მასწავლებლები: ბოკიჰ—ქიმიაზე (სპექტრალური ანალიზი, ცდებით) და გორძიევსკი—სიტყვიერებაზე (ბავშვები და ზღაპრები)" (დედანი რუსულადაა).

„ჩვენ [ე. ი. ანასტასია და ბარბარე],—სწერდა თვით ანასტასია გიორგის 1872 წელს, — იმასღა ვაკეთებთ, რომ ვსხედვართ და ვკითხულობთ მთელი დღეობით. მე წავიკითხე დობროლუბოვი — I ტომი, რამდენი ცოდნა აქვს და რა სერიოზული ჰუმორი; მაგრამ ბევრი მისი იდეა უკვე საანბანო გახდა, რასაც, ალბათ, დიდად ხელი შეუწყეს მისმა მიმდევრებმა, რომელნიც განმარტავდნენ მის სიტყვებს, თუმცა ეს საჭიროც არ იყო, ვინაიდან იგი ისე მარტივად წერდა; თვით იასეც კი [ანდრონიკაშვილი] აღტაცებაში მოვიდა, როდესაც მან ერთი პატარა სტატია მოისმინა".

„ამასწინათ წავიკითხე დობროლუბოვის „Темное царство,"— აღუობინებდა ანასტასია თავის ძმას ამაზე უფრო გვიან,—არ ვიცი, უფრო მეტს მოველოდი, თუ ეს იდეები უკვე ჩემთვის საანბანო ხდება, მაგრამ ეს სტატია აგრერიგად არ მომეწონა. ან იქნება მე თვითონ ვიყო დამნაშავე: უზომოდ მოვიხიბლები ხოლმე და უზომოდვე მალე გულს გავიტეხ ხოლმე. ვნახოთ, რას გვეტყვის „Луч света в темном царстве..."

„ძალიან მომეწონა დობროლუბოვის სტატია „Когда же

придет настоящий день", — სწერდა ანასტასია 1875 წლის 27 აპრილს (9 მაისს).—სამი ტომი წავიკითხე მისი და ყველაზე მეტად ეს სტატია მომეწონა, თუმცა იგი ორიგინალობით არ ირჩევა, მაგრამ ცოცხლად და გონივრულად არის დაწერილი. მე მგონია, პისარევი არ ეთანხმებოდა მას და სხვა აზრისა იყო რომანზე „Накануне". მინდა ამ დღეებში გადავათვალიერო მისი სტატიებიც ამაზე" (დედნები რუსულადაა).

ადამიანის აღზრდის იდეა აინტერესებდა ანასტასიას უკვე 70-იანი წლების დასაწყისში. ეს იყო პერიოდი, როდესაც მისი გული დრამას განიცდიდა. ანასტასია გატაცებული იყო ერთი ნიჭიერი ყმაწვილი კაცით, რომელსაც ბრწყინვალე მომავალი მოელოდა. ეს გრძნობა გაზიარებულ არ იქნა. ყმაწვილი შთანთქმული იყო საზოგადოებრივ ინტერესებში, სატახტო ქალაქისკენ ისწრაფოდა უმაღლესი სწავლის მისაღებად და მალეც წავიდა. ანასტასიამ დიდი სულიერი დეპრესია განიცადა. სასომოხდილმა კინაღამ სიცოცხლეც კი მოისწრაფა. იგი იხსნა იმ აზრმა, შეიძლება საზოგადოებისათვის სასარგებლო ვიყოო. რუსეთში წასვლა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ისეთ საშუალებად ეჩვენა, რომელიც მოამზადებდა მას საზოგადოებრივი და პედაგოგიური მუშაობისათვის. მაგრამ დედა წინააღუდგა იმ შიშით, რომ ჰავა დამღუპველ გავლენას იქონიებდა ანასტასიას ჯანმრთელობაზე—ოდესღაც ანასტასიას ძალუა და ბიძა (მამით) ჭლექს უმსხვერპლია. რათა რუსეთში წასვლა გადაეთქმევინებინა, დედამ წაახალისა მისი პედაგოგიური მიდრეკილებანი:

„დღეს ჩემისთანა მხიარული, მგონი, არავინ არ უნდა იყოს! დედაჩემმა დამითმო ერთი ოთახი და დღეს დავუწყე სწავლება ბავშვებს. კოლა დიდის გულმოდგინებით მეხმარება. ჯერ ექვსის მეტი შაგირდი არა მყავს; მაგრამ იმედია ჩვენი უბნები შემეჩევიან და გამომიგზავნიან თავიანთ შვილებს" („ინსტიტუტკას დღიურიდან")[22].

„შენ რომ იცოდე, გიორგი, მეც სწორედ იმაზე ვფიქრობდი. ურიგო არ იქნებოდა მოეწყოთ ჩვენში გამასწორებელი დაწესებულება მცირეწლოვან დამნაშავეთათვის,—სწერდა ანასტასია 1873 თუ 1874 წელს,—მაგრამ მე მეგონა, რომ ეს მხოლოდ გატაცებაა, „ნედელიას" კითხვით გამოწვეული. ჩვენში ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ყაჩაღობაა. ნუთუ საზოგადოება და მთავრობა ასე გულგრილნი იქნებიან, რომ არ მოისურვებენ დაეხმარნეს თავიანთსავე სასარგებლოდ საზოგადოებრივ უბედურებას? გეთაყვანე, მომწერე დაწვრილებით, რას

ფიქრობ ამაზე, რა წაგიკითხავს და რას კითხულობ, მე ძალიან მაინტერესებს და ურიგო არ იქნებოდა გვენახა ეს დაწესებულებანი როგორც რუსეთში, ისე სხვა ქვეყნებში" (დედანი რუსულადაა).

ანასტასია გამალებით ეცნობა ლიტერატურას რუსეთში სასკოლო საქმისა და სწავლების სისტემის მდგომარეობაზე, სთხოვს თავის ძმას შეატყობინოს დაწვრილებითი ცნობები მისი დისერტაციის შესახებ ამ თემაზე და 1875 წლის 14 (26) იანვარს ატყობინებს:

„წავიკითხე ლევ ტოლსტოის სტატია. ესე დამაჯერებლად აკრიტიკებს ახალ პედაგოგებს, რომ სურვილი აღმეძრა ახლო გავეცნო მის მეთოდს და ამიტომ ვაპირებ მისი ანბანის ყიდვას და უშინსკის ანბანთან შედარებას, მისი ასოთწყობის მეთოდისას—ბგეროვანთან. მგონია, გამოცდით ადვილად შევნიშნავთ ყველა ნაკლს ერთის მეთოდისასაც და მეორისასაც" (დედანი რუსულადაა).

გულში დარდით ანასტასია დარჩა ბაბილისში და მუდმივ გრძნობდა თავის მუშაობაში, რომ მომზადება აკლია.

„რა სასიხარულო ამბავია! კიდევ ერთ ქალს მშვენივრათ გაუთავებია უმაღლესი სწავლა. წარჩინებული ქალები ჯერ ცოტანი არიან; მაგრამ მომავალი ბევრს გვიქადის... ესე მხურვალეთ ვეკიდები ჩემს საქმეს და იმის მეათედსაც ვერ ვაკეთებ, რასაც მცოდნე ისე ადვილად გააკეთებს"[23].

ანასტასიას გონებრივ განვითარებასა და მის პედაგოგურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში თვალსაჩინო როლი ითამაშა ალფონს ესკიროსის[24] წიგნმა ,,XIX საუკუნის ემილი'', რუსულად თარგმნილმა და 1871 წელს პეტერბურგში გამოცემულმა მწერალი ქალის მ. ცებრიკოვას [25] სტატიითურთ სპენსერის თეორიაზე აღზრის შესახებ [26]. გამოსვლისთანავე ეს წიგნი ანასტასიას მამის ბიბლიოთეკაში მოექცა. 1871 წლის 21 სექტემბერს (3 ოქტომბერს) ანასტასია სწერდა თავის ძმას გიორგის:

,,ახლა მე ვკითხულობ XIX საუკუნის ემილს და საერთოდ ძალიან მომწონს სპენსერის თეორია (რომელიც დანართშია), ხოლო ესკიროსის აზრები არ შეეგუება ჩვენს სიღარიბესა და ვითარებას. ესეც არის, ჯერ არ გამითავებია''.

ესკიროსის წიგნი, რომელიც განასახიერებდა სოციალურ-პედაგოგიურ რომანს, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო მაშინ პედაგოგიკაში. თავის პედაგოგიურ თეორიებში ჟან-ჟაკ-რუსო [27] ქადაგებდა, რომ ბავშვის აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს საზოგა-

დოების რაიმე გავლენის გარეშე და უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ მის ბუნებრივ თვისებებს. რუსოს, საერთოდ, მიაჩნდა, რომ ყოველივე ის კარგია, რაც ბუნებას მოუცია; ის, რასაც იძლევა ბუნება, შემდეგ ადამიანის ხელში იხრწნებაო. თავის დროზე მისმა თეორიამ პროგრესული როლი შეასრულა, როგორც პროტესტმა დრომოჭმული საშუალო საუკუნეების ყოფაცხოვრების ცრუაზროვნების წინააღმდეგ, პროტესტმა, რომელიც მოუწოდებდა ყველას—ვიხსნათ ბავშვები ბუნების სარეცელზე სარწმუნოებისა და საზოგადოების სიმყაყისაგანო. ხოლო შემდგომ რუსოს იდეები გამოყენებულ იქნენ ცალმხრივი აღზრდის(მხოლოდ ფიზიკურად) მახინჯ ფორმებში. რუსოს თეორიის უკიდურესობათა საწინააღმდეგოდ XIX საუკუნის შუახნის ევროპის საზოგადოებაში წარმოიქმნა ადამიანის იდეალი არა როგორც ბუნების სანტიმენტალური და ყოვლად კეთილი შვილისა, არამედ როგორც ენერგიული მებრძოლისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ პატიოსნად მომუშავისა [28]. ესკიროსმა ამოცანად დაისახა—ეჩვენებინა, როგორ ზრდიან ასეთ ადამიანს — მებრძოლს. დარვინის[29] მიყოლით ესკიროსი ამტკიცებდა, რომ ბრავალსაუკუნიან ცივილიზაციას უნდა დაეტოვებია თავის კვალი ბავშვის ორგანიზმზე და განათლებული ხალხის ბავშვი იბადება ისეთი მიდრეკილებებით, რაც არ შეიძლება ჰქონდეს ველური ადამიანის ბავშვს. ეს მიდრეკილებანი შეიძლება განვითარდნენ მასში ან ჩაიხშნენ გარემოებათა წყალობით. სპენსერი შენიშნავს, რომ ეს მიდრეკილებანი იმდენად სუსტია, რომ ცივილიზებული ხალხის შვილები თავიანთი ცხოვრების პირველ წლებში ძალიან ახლო დგანან ველურ ადამიანებზე. ყველა მათი მოთხოვნილება, სურვილი, გრძნობა არა სცილდება პაწაწკინტელა წერტილს—პირად მ ე ს. ესკიროსის აზრით, აღმზრდელის ამოცანას ის უნდა შეადგენდეს, რათა ბავშვი ამ პაწაწკინტელა წერტილიდან შეიყვანოს მსოფლიო ცხოვრების თვალუწვდენ წრეში და ამასთანავე ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს ბავშვის ბუნებასაც და პიროვნებასაც. სპენსერი, რომელსაც ესკიროსი ბევრ რამეში ეთანხმება, ადამიანის განვითარებას მთლად კაცობრიობის განვითარებას ადარებს. აღზრდამ უნდა გაატარებინოს ბავშვს ყველა ის საფეხური, რაც კაცობრიობამ გაიარა თავისი უსუსურობიდან დღევანდელ განვითარებამდე. გონება და ხასიათი, სპენსერისა და ესკიროსის აზრით, უნდა ვითარდებოდნენ დამოუკიდებლად, ხოლო აღმზრდელის როლი შემოიფარგლება მით, რომ იგი აწვდის ბავშვის გონებრივ და ზნეობრივ ძალებს საჭირო საზრდოს. ბავშვის გონება გადაამუშავებს ამ საზრდოს თავისი ბუნების კანონთა მიხედვით, სწორედ ისე, როგორც კუჭი გადაამუშავებს ხოლმე

მიცემულ საჭმელს. ესკიროსის მოძღვრებაში აშკარად რეაქციონური ხასიათის დებულებებთან ერთად (მაგალითად, იგი წინააღმდეგი იყო საზოგადოებრივი აღზრდისა), იყო უდაოდ შესაწყნარებელი მხარეებიც: სპენსერის მსგავსად, მან უთხრა საზოგადოებას, რომ ბავშვი დამოუკიდებელი პიროვნებაა. ამას გარდა, მან თავის იდეალად აღიარა საზოგადოების სამსახურისათვის პატიოსანი მოქალაქის აღზრდა. როგორც უნდა ჰქონოდა მას შეგნებული ეს სამსახური, მაინც თვით მის მიერ წამოყენებული იდეალი აღზრდისა შლიდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის პედაგოგიკის წინაშე ახალ ჰორიზონტებს.

სპენსერისა და ესკიროსის იდეების გავლენა ანასტასიას პედაგოგიურ შეხედულებებზე აშკარად გამოიხატა შემდგომ „ჯეჯილში". ამ ჟურნალის დამახასიათებელია სწორედ ის იდეა, რომ საბავშვო ლიტერატურა ჩამოუშორებელია საერთო ლიტერატურისაგან, მაშასადამე, ბავშვი—საზოგადოებისაგან.

ანასტასია ოცნებობდა ევროპაში წასვლაზე იქაური ვითარების გასაცნობად და იქ შეძენილი ცოდნის საქმობლოში გამოსაყენებლად. მაგრამ ოჯახობრივი მდგომარეობა ხელს უშლიდა ამ ოცნების განხორციელებას. მამა აპირებდა თან გაჰყოლოდა, რადგანაც თითონაც დიდი ხანი იყო ისწრაფოდა ევროპის ნახვას. მაგრამ საქმით შეტის-შეტი დატვირთულობა აიძულებდა მუდამ სხვა დროისათვის გადაედო ეს მოგზაურობა.

1873 წელს ანასტასიას ნათესავი ოლიკო გურამიშვილი [30] ციურიხში წავიდა სასწავლებლად, მშობლებისაგან ფარულად, ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძის ხელშეწყობით. ანასტასიას და ბარბარეს წერილებიდან გიორგისადმი ჩანს, თუ რა დიდი ინტერესითა და თანაც შურით უყურებდნენ ისინი თავიანთ მახლობელ და ნაცნობ ახალგაზრდებს (ოლიკო გურამიშვილს, ეკატერინე მელიქიშვილს, ნიკო ნიკოლაძეს და სხვ.), რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ ევროპაში წასულიყვნენ.

60—70-იან წლებში შვეიცარიის პატარა ქალაქი ციურიხი რუსეთისა და ევროპის ემიგრაციის ერთერთი ცენტრი იყო. აქაურ უნივერსიტეტში ბევრი სტუდენტი სწავლობდა, რუსეთიდან ჩამოსული, აქ აქტიურად მუშაობდნენ რუსეთის რევოლუციური წრეები. ციურიხის სტუდენტობის წრეებში შექმნილი რევოლუციური ატმოსფერო, შვეიცარიის ინტელიგენციის ერთი ნაწილის სიმპათიები რევოლუციური მოძრაობისადმი, საერთოდ ამ პატარა ნეიტრალური

სახელმწიფოს მთელი ვითარება და ტრადიციები იზიდავდა თავისაკენ ქართველ ახალგაზრდობასაც. 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისს ციურიხში შეიქმნა საკმაოდ თვალსაჩინო კავკასიური კოლონია, რომლის დიდ უმეტესობასაც ქართველები შეადგენდნენ. კოლონია სულდგმულობდა იდეური ინტერესებით. ქართველმა სტუდენტებმა 1873 წლის მარტში მოაწყეს საზოგადოება „ულელი". ციურიხელი ქართველი სტუდენტების მიერ სამშობლოში გამოგზავნილი წერილები, შვეიცარიიდან დაბრუნებულ ახალგაზრდათა პირადი შთაბეჭდილებანი (მათ შორის ნიკო ნიკოლაძის გარდა იყვნენ აგრეთვე გიორგი წერეთელი, სერგო მესხი, პეტრე მელიქიშვილი და სხვ.) აფორიაქებდა, აღვიძებდა იმათ გონებასა და გრძნობას, ვინც მათსავით ისწრაფოდა საზღვარგარეთ წასვლას და ვისაც საამისო შესაძლებლობა არა ჰქონდა.

დადგა მომენტი, როდესაც ეს შესაძლებლობა ანასტასიასთვისაც შეიქმნა. დის სიკვდილმა (1873 წელს) ისეთ ვაებასა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო იგი, რომ ექიმებს ეშინოდათ—ესეც თან არ გადაჰყვესო. მალე მამაც მოუკვდა (1875 წელს). სხვა გზა არ იყო, ანასტასია დედას უნდა შეშველებოდა ოჯახის საქმეებში, რადგანაც შვილებს შორის უფროსი იყო. ხოლო როდესაც ძმა (გიორგი) უნივერსიტეტიდან დაბრუნდა 1875 წელს და დედის დატოვება მის ხელთ შეიძლებოდა, ანასტასიამ საბოლოოდ გადაწყვიტა ევროპაში სასწავლებლად წასვლა. იგი გაემგზავრა ერთი ნაცნობი უცხოელი ქალის თანხლებით. ამასთანავე, თავისი გადაწყვეტილება უკანასკნელ წამამდე მეგობრებისა და ნაცნობებისათვის არ გაუმხელია. საყვარელი დისა და მამის სიკვდილმა ისეთი მძიმე სულიერი განწყობილება შეუქმნა, რომ გზაში ყველას თითქმის სულით ავადმყოფი ეგონა [31].

ეს იყო 1876 წელს. ანასტასიამ ინახულა შვეიცარია (კერძოდ ჟენევა, სადაც იმ დროს ოლიკო გურამიშვილი იმყოფებოდა) და საფრანგეთი—ეს ორი ქვეყანა, რომლებიც განსაკუთრებით იზიდავდა მას. შვეიცარია იზიდავდა როგორც ქვეყანა, რომელმაც ჰშვა ჟან-ჟაკ რუსო, როგორც ქვეყანა, რომელიც ახორციელებდა შესანიშნავი პედაგოგის პესტალოცის (1746—1827) მეთოდებს, სახელდობრ, ბავშვის ინდივიდუალურ თვისებებთან შეგუებულ ზნეობრივ აღზრდას თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე, რასაც შემდეგ მოსდევდა განყენებული ცოდნა. პარიზში მას უნდოდა გაეცნო ახალი პედაგოგიური იდეები, რომლებიც იქიდან მთელ კულტურულ ქვეყანას ეფინებოდა. აქ ორ ქვეყანაში ანასტასია ეცნობოდა არა მარტო არსე-

ბულ პედაგოგიურ თეორიებს, არამედ აგრეთვე იმას, თუ როგორ იყო იქ აღზრდის საქმე პრაქტიკულად დაყენებული. ინახულა ზოგიერთი სკოლა, შეისწავლა სკოლამდე აღზრდის მეთოდები, გაიცნო ადგილობრივი პედაგოგები. პედაგოგიკის ხანგრძლივად, სისტემატურად შესწავლისა და ამისათვის უნივერსიტეტში შესვლის განზრახვა ანასტასიამ განუხორციელებლად დატოვა. ამიტომ მისი საზღვარგარეთ ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა. ანასტასია ისწრაფოდა მალე დაბრუნებულიყო სამშობლოში, რათა პრაქტიკულ საქმიანობას შესდგომოდა.

„როცა წავედი (საზღვარგარეთ) ვიგრძენ, ავადმყოფ დედის მიტოვებას ვერ შევსძლებ და არც იმედი მქონდა, რომ ექვს წელს შევსძლებდი იქ უმოქმედოდ ყოფნას, და ისიც ისეთი სწავლის შეძენას, რომელიც უფრო ჯიბეს გამოადგებოდა“ [32].

თ ა ვ ი III

საზოგადოებრივი მუშაობის დასაწყისი

პირველი სალიტერატურო ნაბიჯები. მთარგმნელ ქალიშვილთა წრე: ანასტასია, ეკატერინე თარხან-მოურავი, ეკატერინე მელიქიშვილი, ელენე ყიფიანი. წერაკითხვის საზოგადოება. ხელთუბნის სკოლა. მასწავლებელ ქალთა საზოგადოება.

დაბრუნდა რა თბილისში, ანასტასია მაშინვე შეუდგა მუშაობას და მონაწილეობას იღებდა ყველა კულტურულ საქმეში. 1879 წელს იგი პირველად გამოვიდა ბეჭდვითი ნაშრომით—ვალტერ სკოტის „ჰირლანდელი ქვრივის“ თარგმნით ფრანგულიდან („მოთხრობანი“, წიგნი II, გამოც. ქუთაისში ქართველ მთარგმნელ ქალთა მიერ). გაზ. „დროებაში“, ვიდრე იგი დაიხურებოდა, იბეჭდებოდა მისი პატარ-პატარა თარგმანები ფრანგულით და რუსულით, ორიგინალური ამბები და წერილები. „1880 წელს მან მოათავსა „დროებაში“ სამი ორიგინალური ნაწარმოები, სხვათა შორის „მამის მსხვერპლი“. ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა მისივე მოთხრობა „რძალ-მული“, 1881 წელს იმავე გაზეთში დაბეჭდა მისი „ინსტიტუტკას დღიური“ (№№ 65 და 66) და საყოფაცხოვრებო ხასიათის ამბავი „მოლოდინი“—ქართველი მოხელის ცხოვრებიდან (№№ 222 და 223). „დროებაში“ მუშაობას იგი შემდგომაც განაგრძობდა—1884 წელს (№ 23) მეთაურ წერილში იგი მიესალმა ხელსაქმის ახალ პროფესიულ სკოლას და წინადადებას იძლეოდა ესწავლებინათ ქალიშვილებისათვის ადგილობრივი ხელნაქნარობა და მუშაობის დროს ეწარმოებინათ კითხვა. 1885 წელს იქვე დაბეჭდა (№ 135) ანდრეევ-ბულაკის მოთხრობის თარგმანი „უბედურ კაცს ქვა ალმართში მოეწევა“.

შემდეგ ანასტასიამ გამოუშვა საბავშვო წიგნები—„მოლაღური“, „ხუთი ამბავი“, „ხატაური“ (წ.-კ. საზოგ. გამოც.), „რობინზონ კრუზო“, (წ. კ. საზ. გამოც.) „ტრონი“, „გუსტავ ვაზა“, „თეთრი და ზანგი“, „ტახტის მემკვიდრე“ და „მათხოვარი“, „ცხოველების გამჭრი-

ახობა“, „საბავშვო თეატრი“, გადათარგმნა ფრანგულით ლაბიშის კომედიები „ბაქიბუქი“*, „ჯერ თავო და თავო“, „ცოლო და შვილო“ და სხვ.

ანასტასიას საბედნიეროდ, იგი სულ მარტოდ-მარტო არ იყო ამ თავის საქმიანობაში, თბილისის მცირერიცხოვან ინტელიგენციაში გამოჩნდა კიდევ რამდენიმე ქალიშვილი, რომელთაც გაწყვიტეს კავშირი თავიანთი საზოგადოების წრესთან და თავიანთ საქმიანობად საზოგადოებრივი მოღვაწეობა აირჩიეს. ზოგიერთი მათგანი შვეიცარიაში წავიდა, ხოლო იყვნენ ისეთებიც, რომელნიც სამშობლოში დარჩნენ, რათა ეკეთებინათ პატარა, მაგრამ სასარგებლო საქმე. ანასტასიას ოჯახს თავიდანვე ახლო ნაცნობობა ჰქონდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის [33] ოჯახთან. ანასტასიას მამა და დიმ. ყიფიანი მეგობრულად იყვნენ დაკავშირებულნი ახალგაზრდობიდანვე, ერთად იღებდნენ მონაწილეობას საზოგადოებრივ და სალიტერატურო საქმეებში, თუმცა პოლიტიკური შეხედულებებით განსხვავდებოდნენ. დიმიტრის შვილები, ისე როგორც მიხეილის შვილებიც, ასე თუ ისე საზოგადო მოღვაწეობისათვის ამზადებდნენ თავიანთ თავს. დიმიტრის ერთერთი ქალი—ელენე ყველაზე მეტად დაუახლოვდა ანასტასიას. ისინი ერთმანეთს თანაუგრძნობდნენ და შეგნებითაც თანაზიარნი იყვნენ. მათ მიემხროთ პეტრე მელიქიშვილის (შემდგომ პროფესორი და თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი) და ეკატერინე [34], რომელიც მალე ციურიხში წავიდა, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა. 1872 წელს გორის მაზრიდან თბილისში გადმოსახლდა ეკატერინე თარხან-მოურავიც (შემდგომ ცნობილი მწერალი ეკატერინე გაბაშვილი) [35], რომელიც სწავლობდა იმავე ფავრის პანსიონში, სადაც იმაზე ადრე იზრდებოდა ანასტასია. თბილისში გადმოსვლისას იგი გაეცნო ანასტასიას, „რომელსაც—მისი სიტყვით—სულით და გულით უნდოდა მოქმედება, საზოგადო საქმეში თავის წვლილის შეტანა“. ისინი ძალიან მალე დაახლოვდნენ და შეუდგნენ „ქალთა საქმის პროპაგანდას“ სიტყვითაც და კალმითაც. ეკატერინე, იგონებს რა 70-იან წლებს, სხვათაშორის ამბობს: „აბა, კატო, მეტყოდა [ტასო], დღეს ბანკის წლიურ მოგებას ანაწილებენ საზოგადო კრებაზე, წავიდეთ, ვნახოთ, გავიგოთ, ვინ რას იტყვის ქალების სასარგებლოდ. წავედით,

*) „ბაქიბუქი“ ანუ „თვალთმაქცობა“, კომ. 2 მოქ. თხზ. ლაბიშისა, ფრანგ. ანასტ. თუმანიშვილისა, ხელთნაწ. 1882 წ. პირველად დაიდგა 1886 წლის 12 ოქტომბ. ვ. გუნიას რეცენზიიდან ჟურნ. „თეატრში“ (№ 42)“: პიესის ენა საღია და მსუბუქი, თუმცა ხშირად იხმარება სიტყვა „მაგრამ“, რომელიც ყურს ძლიერ ეჩოთირება—**ი. გრიშაშვილი**

ვისხედით, ვოელავდით, გვინდოდა ჩვენი აზრი, გულისტკივილი გვეთქვა, მაგრამ ვერ ვბედავდით. სამაგიეროთ, იმავე ხანებში ჩვენ კალმით გამოვესარჩლეთ ქალის ხვედრს, რასაც, სასიხარულოდ, გამოეხმაურნენ არა მარტო მაშინდელი ქართული გაზეთები, არამედ რუსული პრესაც".

1872 წელს ანასტასიამ და დიმ. ყიფიანის ქალიშვილებმა შეადგინეს ქალიშვილთა წრე, რომელმაც განიზრახა გამოეყენებინა ლეგალური შესაძლებლობა პატრიოტული იდეებისა და მონობისაგან ქალის განთავისუფლების იდეის პროპაგანდისათვის. ამ მიზნით მათ დააპირეს მიეწოდებინათ საზოგადოებისათვის ცნობილი ევროპელი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმნები პატარ-პატარა წიგნებად, რომლებიც გაუღვიძებდნენ საზოგადოებას სამშობლოსადმი სიყვარულს. ასეთი წიგნები უფრო ადვილად გამოეპარებოდა ცენზორთა „ფხიზელ" თვალს, ვიდრე მოთხრობები და ამბები ქართული ცხოვრებიდან.

ეკატერინე მაშინვე მიემხრო ამ წრეს, იმას მიჰყვა ეკატერინე მელიქიშვილიც. „რაგვარი ენერგიით და როგორი ხალისით შევუდექით საქმეს!—ამბობს ეკატერინე გაბაშვილი,—როგორი გამჭრიახობით გვხელმძღვანელობდა ტასო, როგორ გვაჩქარებდა და რა თავდადებას იჩენდა თარგმნების გამოცემაში! შემდეგ დავიწყეთ „სახალხო საკითხავი წიგნაკების", საბავშვო წიგნაკების, სამეცნიერო პოპულარული წიგნაკების და სხვათა გამოცემა, რაც ისე საჭირო და დროული იყო მაშინ".

მაშინდელი გულითადი მეგობრობა ანასტასიასა, ეკატერინე თარხანმოურავსა და ეკატერინე მელიქიშვილს შორის არ დარღვეულა შემდეგშიაც, როდესაც ისინი მისთხოვდნენ—პირველი: გიორგი წერეთელს, მეორე—გაბაშვილს, ხოლო მესამე—ცნობილ პუბლიცისტს, „დროების" რედაქტორს სერგი მესხს. ჯერ კიდევ „ჯეჯილის" დაარსებამდე,—ეკატერინე გაბაშვილის სიტყვით,—ანასტასია ეთათბირებოდა მას ყველა თავის სათარგმნზე, ყველა თავის საზოგადოებრივ საქმეზე. ხოლო ანასტასიამ რომ „ჯეჯილის" გამოცემა დაიწყო, ორივე ეკატერინემ აქტიური მონაწილეობა მიიღო — ერთმა (გაბაშვილმა) თავისი მოთხრობებით, ხოლო მეორემ (მესხმა) უპირატესად თარგმნებით. სამი მოღვაწე ქალის მეგობრობა მათ სიკვდილამდე გაგრძელდა.—ჯერ ეკატერინე მესხი გადაიცვალა (1928 წელს), შემდეგ ანასტასია (1932 წელს) და ბოლოს ეკატერინე გაბაშვილი (1938 წელს).

მათ აკავშირებდა არა მარტო საზოგადოებრივი ინტერესები, არამედ აგრეთვე პირადი კეთილგანწყობილებაც, გულითადი მეგობრობაც. ეკატერინე გაბაშვილი სიამოვნებით მოგვითხრობს თავის მო-

გონებებში („მნათობი“, 1938 წ. № 8) თავის მოგზაურობას 1888 წლის შემოდგომაზე ანასტასიასთან და ეკატერინე მესხთან ერთად საერთოდ კახეთში და კერძოდ „ალავერდობაზე“.

ელენე ყიფიანი მალე ანტონ ლორთქიფანიძეს მისთხოვდა, ცნობილ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, და ქუთაისში გადასახლდა. ძას აქაც არ დავიწყებია განზრახული საქმე. ქუთაისში მან გულმოდგინედ მიჰყო ხელი მოწინავე ქალთა წრის მოწყობას და მათი დახმარებით დააარსა 1883 წელს ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“. ამავე დროს მას მუდმივი კავშირი ჰქონდა ანასტასიასთან და ეკატერინე მესხთან. იგი მოითხოვდა სათარგმნელ წიგნებს, აცნობებდა, რას აკეთებს და რას აპირებს. უჩიოდა ცენზურისაგან შევიწროებას (ქუთაისის ცენზორი მოწინააღმდეგე იყო „ქალთა ჟურნალებისა“ და ყოველი ღონისძიებით ზღუდავდა „ქართულ ბიბლიოთეკას“), სთხოვდა მონაწილეობა მიეღო ჟურნალში, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ ამას თვით მკითხველი ქალები მოითხოვენო. რაკი იგრძნო, რომ უძლურია ებრძოლოს მატერიალურ და ცენზურულ სიძნელეებს, ელენემ 1885 წელს გადაწყვიტა, რათა ჟურნალი დალუპვისაგან გადაერჩინა, გადაეტანა იგი თბილისში და გადაეცა ანასტასიასა და ეკატერინე მესხის ხელთ[37].

ამასობაში არც ანასტასია იჯდა გულხელდაკრეფილი. „დროებაში“ მონაწილეობისა და წიგნების გამოცემის გარდა, იგი შველოდა თავის ძმას გიორგის თეატრის საქმეებში და, როგორც ჩანს, იმდენად აქტიურად, რომ ამ საქმეზე მას პროვინციიდანაც მიმართავდნენ ხოლმე. ასე, მაგალითად, 1880 წლის თებერვალში ნინო ერისთავი — ნიკოლოზ დიასამიძის და — სთხოვდა მას გორიდან მოეწყო ახლადჩამოყალიბებულ დასში ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელსაც სასცენო გამოცდილება აქვსო[38].

1882 წლის დასაწყისს ანასტასია მიემხრო თბილისში შედგენილ სალიტერატურო წრეს. ამის გაგება იყო და ელენე ლორთქიფანიძე სწერდა მას 1882 წლის 15/27, თებერვალს: „რატომ იმას არა მწერ, რომ თქვენ თურმე ყოველ შაბათს იკრიბებით და ლიტერატურული საღამოები გაქვთ, ვინა და რას ჰკითხულობთ, შომწერე...“

1879 წელს, დიმიტრი ყიფიანისა და სხვების ენერგიის მეოხებით, მოხერხდა მაშინდელ დუხჭირ პირობებში საფუძველი ჩაეყარათ დიდი კულტურული საქმისათვის, სახელდობრ შეექმნათ „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“; ანასტასია მაშინვე მიემხრო ამ საზოგადოებას. ის და ეკატერინე გაბაშვი-

ლი პირველი ქალები იყვნენ, რომელნიც არჩეულ იქნენ შემდგომ ამ საზოგადოების გამგეობის წევრებად და მრავალი წლის განმავლობაში თავი არ დაუნებებიათ გამგეობის წევრობისათვის. ამავე საზოგადოების დახმარებით ანასტასიამ მოახერხა 1884 წელს სკოლის გახსნა სოფ. ხელთუბანში, საიდანაც მისი ოჯახი იყო, და შემდეგ ამ სკოლისათვის სპეციალური შენობის აგებაც. სოფლად სკოლის გახსნა და მისთვის შენობის აგება ა ხ ლ ა ძნელი საქმე არ არის, მაგრამ მ ა შ ი ნ? რამდენი დაბრკოლება უნდა გადაელახა, რამდენი ენერგია და შრომა უნდა დაეხარჯა ადამიანს, რათა დაეძტკიცებინა მაშინდელი გლეხებისათვის სკოლის სარგებლობა. ჩამოაგდო თუ არა ანასტასიამ სიტყვა სკოლაზე, მყის ინტრიგები დაიწყო. სამღვდელოებამ დარაზმა მთლად თავისი ძალები ანასტასიას წინააღმდეგ. სოფლის მამასახლისმა მხარი დაუჭირა ხუცებს, გლეხებში გავრცელდა სულელური ხმები. რაკი გლეხები ვერ დაარწმუნა, ანასტასია დროებით ხელთუბნიდან თბილისს დაბრუნდა, სადაც დედა იბარებდა. აქ ანასტასია მძიმე ავადმყოფი შეიქმნა და ბიძა ეუბნებოდა დედას: „აკი გაფრთხილებდით, თავი დაანებეთ ამ საქმესა-მეთქი (სკოლას), თორემ ხუცები ერთ ვაივაგლახს დაგიწევენ“. მაგრამ, მოკეთდა თუ არა ანასტასია, კვლავ სკოლაზე ზრუნვას შეუდგა, მან მაინც თავისი გაიტანა. სკოლის გახსნა დანიშნული იყო 1 ოქტომბრისათვის. ანასტასიამ სთხოვა ნიკო თუმანიშვილს[39], ზეიმის მოწყობაში დამეხმარეო. შეუდგნენ სტუმრებისათვის სადილის მზადებას. დილით გორიდან ატყობინებენ ანასტასიას, ნიკო დიასამიძე[40] მოდის აუარებელი სტუმრითაო, იქნებიან აკაკი წერეთელი და სხვანიო. ანასტასიას ელდა ეცა. როგორ მოვუაროთ ამოდენა ხალხსა?—ეკითხება ნიკო თუმანიშვილს. —რა გვეშველება, გავწვდებით თუ არა ჩვენი სადილით აქაურებსაც და მოსულებსაცაო. ის კი იცინის და ხუმრობით ეუბნება: „ნუ გეშინიან, აი ვნახოთ, რამდენი იქნებიან... თითო ფაიტონზე თითო კოკა წყალს მოვამატებინებ პომიდორის წვენსაო“... ყველაფერი რიგზე გამოვიდა. ჩააცვეს ბავშვებს ახალი ხალათები, ანასტასიას მიერ შეკერილი ულარიბესთათვის, და გამოვიდნენ სტუმრების დასახვედრად. აღელვებული ანასტასია ერთ ფაციფუცში იყო და არევ-დარევით განკარგულებას იძლეოდა. აი ფაიტონებიც გამოჩნდა, სტუმრები მობრძანდნენ, აკაკიმ მიულოცა ანასტასიას დღესასწაული; პოეტმა იოსებ დავითაშვილმა მიართვა სკოლას თავისი ხელით გაკეთებული სახაზავები (იგი ხელობით ხარატი იყო). დაიწყო სიტყვები, მილოცვები, კეთილი სურვილის გამოთქმები და სხვა მისთ., სკოლა გაიხსნა. გაზეთებმაც მოათავსეს ზეიმის აღწერა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ჯერ კიდევ ბევრი საზრუნავი და დავიდარაბა მოელოდა ანასტასიას. მასწავლებელი გამოუცდელი, შეუფერებელი აღმოჩნდა. დააწყებინა ბავშვებს უდიერი ფიზკულტურული ვარჯიშობა. ასე რომ გლეხებს გულები დაუსკდათ, ომში ხომ არ უპირებენ ბავშვებს თავი უკრანო?

საჭირო იყო სხვა მასწავლებლის გამოძებნა. მაგრამ საკმაო დრო გავიდა, ვიდრე ხელთუბნის სკოლას თედო რაზიკაშვილი მოევლინებოდა, პოეტის ვაჟა-ფშაველას ძმა, თვითონაც პოეტი და შესანიშნავი მომთხრობი, რომელსაც ბავშვები უყვარდა და უნარიც ჰქონდა, როგორ მოპყრობოდა მათ.

ნიკო თუმანიშვილის და მარიამი (მაშო) ეხმარებოდა ანასტასიას და ბავშვებს ხელსაქმეს ასწავლიდა. გამოჩნდნენ სხვებიც, რომელნიც შეძლებისადაგვარად ეხმარებოდნენ ანასტასიას. სკოლის არსებობა უზრუნველყოფილი არ იყო, ვიდრე მას საკუთარი შენობა არ ექნებოდა. 1886 წელს მიიღო რა წერაკითხვის საზოგადოების დაპირება დახმარების გაწევაზე, ანასტასიამ იყიდა საკუთარი სახსრით მიწის ნაკვეთი მეჯვრისხევის გზის პირად. ამ საქმეში მას ნიკო დიასამიძე დაეხმარა. მიწის ნაკვეთი ისეთი ვარაუდით იყო ამორჩეული, რომ მასზე შესაძლებელი ყოფილიყო ბაღისა და საფუტკრის გაკეთება. შენობა ისეთი უნდა აეგოთ, რომ მასში მოთავსებულიყო აგრეთვე საერთო საცხოვრებელიც სხვა სოფლების ბავშვებისათვის, რომელნიც ხელთუბნის სკოლაში სწავლობდნენ. სკოლის შენება ძნელი საქმე იყო, მას სჭირდებოდა მტკიცე ზედამხედველობა:

> „აშენებას დიდი ძალღონე მოუნდა. ყველას ვეღრიჯებოდი და ვისაც მოვატანინებდი ტივებს, უსათუოდ საუკეთესოს თვითონ მიმალავდნენ, ქვიშის და ქვის მოსატანად ფარაჯები უნდა მეყიდნა. საძირკვლის მოსათხრელათ ღვინო უნდა დამელევინებინა. კალატოზი, რომელსაც ფული წინდაწინ წაღებული ჰქონდა—უცბათ მოკვდა. მაგრამ სახლი მაინც მოვათავე და გადმოვიტანე...[41]“

სკოლის მოწყობისას და შენობის აგებისას (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შენობა ძალიან დაზიანდა 1905 წელს, შიგ რომ კაზაკები ჩააყენეს) ანასტასიამ იკისრა სკოლის მზრუნველის მოვალეობა. ეს მოვალეობა შემდგომაც მარტო საპატიო წოდება არა ყოფილა. როგორც კი გარემოება ხელს შეუწყობდა, ანასტასია მიაშურებდა სოფელს. იქვე ადგილობრივ აძლევდა განკარგულებებსა და მიფითებებს და არკვევდა სკოლის საჭიროებას, აგრეთვე ობოლთა თავშესაფარისას, რომელიც გაიხსნა მისი ენერგიის

წყალობით არა მარტო ხელთუბნის ბავშვებისათვის, არამედ აგრეთვე მომიჯნავე სოფლების ბავშვებისათვისაც. თბილისში ყოფნის დროსაც ანასტასიას მუდმივი მიწერ-მოწერა ჰქონდა თავის ხელთუბნელ მეგობრებთან, ზრუნავდა ქალაქში მატერიალურ სახსარზე სკოლისათვის, სასწავლო წიგნებსა და სახელმძღვანელოებზე და სხვა მისთ. 1890 წლიდან მთელი 15 წლის განმავლობაში ანასტასიას ჰყავდა ისეთი საქმიანი და მცოდნე თანამშრომელი, როგორც თედო რაზიკაშვილი. მას ანასტასია სწერდა სხვადასხვა ამბებს სკოლის თაობაზე[42] და სთხოვდა ანგარიშებს სკოლის ცხოვრების ყოველ წვრილმანზედაც კი. იმათთვის, ვინც სკოლას ათავებდა, ანასტასიას მიჰქონდა ხოლმე საჩუქრები და სთხოვდა თედოს, ისეთ დროს დაენიშნა სკოლიდან მოწაფეთა გამოსაშვები აქტები, რომ მას შესძლებოდა დასწრება. თვალყურს ადევნებდა იმას, რომ სკოლისათვის თავის დროზე მიეწოდებინათ საწერი მასალა და სხვა მისთანა საგნები. როდესაც წერა-კითხვის საზოგადოებამ თავის სასარგებლოდ ლატარია მოაწყო, ანასტასიამ თედოს მეშვეობით გამოითხოვა ხელთუბნის სკოლის მოწაფე ქალთა საუკეთესო ხელნაქნარობა ლატარიაში გასათამაშებლად, რათა ამით დახმარებოდა საზოგადოებას, რომელიც სახსარს აძლევდა სკოლას. საქმიანობა თბილისში, ზრუნვა ქმრის მამულზე იმერეთში, რაც მის კისერზევე იყო, იმოდენა დროს ართმევდა ანასტასიას, რომ იგი დიდის გაჭირვებით ახერხებდა ხელთუბნისაკენ პირის მიქცევას, რის გამოც სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.

„ჩემი მტერი იყოს ისე შეწუხებული, როგორც მე ვარ,— სწერდა იგი თედოს 1897 წლის 30 ოქტომბერს (12 ნოემბერს).— კაცმა მოინდომოს სულით და გულით ერთი-ორი დღით წასვლა თავის სოფელში და ვერ მოახერხოს, ამაზე უარესი რაღა იქნება. ჯერ ხომ ზაფხულს მინდოდა მანდ ამოსვლა და რაკი კაცი იმერეთში წავა, იქიდან ძნელია თავის დახწევა... მერე ერთი თვით სონა ციციშვილისა გავისტუმრე სოფელში და მე არ შემეძლო აღარსად წასვლა“.

ეკითხება რა სკოლის მდგომარეობაზე, იგი დასძენს: ჩემ თავს არ ვეკუთვნი და ამიტომ არც შემიძლიან შევასრულო ის, რაც დასახული მაქვს ხელთუბნის სკოლისათვისო. ასე იქნება 1898 წლის იანვრამდეო, როდესაც, იმედი მაქვს, უფრო თავისუფალი ვიქნები, ვინაიდან „კვალის“ საქმეში დახმარებას გამიწევს ერთერთი მთავარი თანამშრომელთაგანიო. არც ერთი წერილი თედოს სახელზე—თედოს კი იგი ძალიან ხშირად სწერდა როგორც სკოლისა, ისე „ჯეჯილის“

ვამო — უიმისოდ არ არის, რომ სკოლის ამბებს არ გამოჰკითხავდეს ან არ ჩიოდეს იმაზე, რომ ვერ ახერხებს ხელთუბანში ხშირად ყოფნას.

1883 წლის ბოლოს პედაგოგიურ წრეებთან დაახლოებულ ქალთა ერთ ჯგუფს აზრად დაებადა ისეთი საზოგადოების მოწყობა, რომელიც თავის მიზნად დაისახავდა გაჭირვებულ მასწავლებელ ქალთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ განზრახვის უახლოესი მიზეზი ის შემთხვევა იყო, რომ ერთმა ქართველმა მასწავლებელმა ქალმა თავი მოიკლა[43]. ამ საზოგადოების დაარსების ყველაზე აქტიურ ინიციატორთა რიცხვში ანასტასიაც იყო. 1883 წლის 9 ნოემბერს „დროებაში" (№225) დაიბეჭდა მეთაური წერილი ა [ნასტასია] თ [უმანიშვილი] ინიციალებით და შემდეგი სათაურით „საზოგადოების საყურადღებოდ". ამ წერილში ანასტასია აღძრავს საკითხს მშრომელ ქალთა არსებობის მძიმე პირობების თაობაზე. ეს ქალები უმეტეს წილ მასწავლებლები არიან, რომელთა შორის ბევრი თავისი შრომით მთელ ოჯახს ინახავსო და ასეთი ქანცგამომცლელი მუშაობისათვის 15 მანეთზე მეტ სასყიდელს ვერა შოულობსო. განსაკუთრებით გასაჭირი მათ ზაფხულში ადგებათ, როდესაც სკოლები უმეტეს წილ შრომის წელფასს არ იძლევიანო.

> „რა საშუალებით შეიძლება მშრომელს ქალს ხელი ისე გავუმართოთ, რომ ერთი ორი თვე შეეძლოს თავის დარჩენა, ვიდრე შრომის ნახევარ ფასს მაინც შეაძლევენ? ავადმყოფობის დროს და გაჭირვებაში როგორ იშოვოს იმან სესხით ფული ცოტა ხნობით მაინც, როგორ გაუადვილონ საზოგადოებას მასწავლებლის შოვნა და მასწავლებლებს გაკვეთილებისა, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს და არ მოუნდეთ კარდაკარ სიარული?!"

ანასტასია მხურვალედ მოუწოდებდა „დროების" მკითხველთ, გამოხმაურებოდნენ საზოგადოებას, რომელიც ამ მიზნით არსდებაო, და დახმარებოდნენ მას. მაგრამ განზრახული საზოგადოება საბოლოოდ გაფორმებულ იქნა მხოლოდ 1886 წელს. მისი დაარსების მომენტიდან ანასტასია აირჩიეს საზოგადოების თავმჯდომარედ და ამ თანამდებობაზე დარჩა თითქმის მის დახურვამდე (1919 წელს), ე. ი. 33 წლის განმავლობაში.

ამ ახალ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ეწოდა ოფიციალურად „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება", მონური მდგომარეობიდან ქალთა განთავისუფლების

იდეას საქართველოში 80-იან წლებში თვალსაჩინო წარმატება დაეტყო. ქალისათვის ჯერ კიდევ საძნელო იყო ცხოვრებაში გზის გაკვლევა, მაგრამ მისი განთავისუფლების მომხრეთა რიცხვი ყოველ წლობით მატულობდა. პედაგოგიური მუშაობა სწორედ ის ასპარეზი იყო, რომელზედაც ქალს შეეძლო თავისი შრომის გამოყენება ასეთუისე ნაკლებ დაბრკოლებათა გადალახვით. და ამ მუშაობისაკენ ისწრაფოდნენ იდეურად განწყობილი ქალები საქართველოში, ისე როგორც რუსეთშიაც. პედაგოგთა წრე 70—80-იანი წლების ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ასრულებდა ქალთა განთავისუფლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რაზმის როლს და, სრულიად ბუნებრივია, რომ ეს რაზმი ლიბერალური ინტელიგენციისათვის ერთერთი მიმზიდველი ცენტრი იყო. თბილისის „მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას“—ასეთი იყო ამ ორგანიზაციის შემოკლებული სახელწოდება—ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა არა მარტო თავისი შედგენილობით, არამედ საქმიანობითაც. თბილისის ყოველმა მასწავლებელმა ქალმა იცოდა, რომ აქ იგი ჰპოებდა თანაგრძნობასა და დახმარებას. დახმარებას მოკლებულნი არ იყვნენ ჩამოსული მასწავლებელი ქალნიც. საკმარისი იყო რომელიმე ჩამოსული მასწავლებელი ქალი გამოცხადებულიყო ამ საზოგადოებაში, რომ იგი მიეღოთ გულითადი ყურადღებით. ანასტასია მაშინვე შეუდგებოდა შემოწირულებათა შეგროვებას და მოითხოვდა თავის თანამშრომელთაგან არაფერი დაეზოგათ გაჭირვებული მასწავლებლისათვის დახმარების გასაწევად. იშვიათი არ იყო ისეთი შემთხვევა, ჩამოსული და უცხო ქალაქში უსახსროდ და უნაცნობებოდ დარჩენილი მასწავლებელი ქალი სტოვებდა საზოგადოების სადგომს ან პირადად ანასტასიას არა მარტო ფულით ხელგამართული, არამედ აგრეთვე ტანისამოსითა და ფეხსაცმლითაც: ანასტასია აძლევდა თავის ნივთებსაც და მის თანამშრომელთა მიერ შეწირულ ნივთებსაც—ზოგი ხალათს იძლეოდა, ზოგი ქვედატანს და სხვა ამისთ[44].

„მასწავლებელ ქალთა საზოგადოებაში“ მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო პედაგოგები, არამედ ექიმებიც, იურისტებიც, მწერლებიც, რომელნიც თავის მოვალეობად სთვლიდნენ დახმარებოდნენ საზოგადოებას ლექციების კითხვით და მატერიალურადაც. ჩამოყალიბდა თუ არა, საზოგადოება შეუდგა ლექციების მოწყობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე. ხოლო საზოგადოების წევრთა შორის იყვნენ ვიწრო პროფესიული თვალსაზრისის მომხრენიც, რომელნიც მოითხოვდნენ, რომ საზოგადოება აერთიანებდეს სწორედ პროფესიონალ-პედაგოგებს. საზოგადოების შიგნით აღიძრა ბრძოლა ამ ორ მი-

მართულებას შორის. მაგრამ ამ ბრძოლას მწვავე ხასიათი არ მიუღია და ხელი არ შეუშლია გამგეობის ენერგიული მუშაობისათვის.

1893 წელს საზოგადოებამ გახსნა თბილისში სამაგალითო სკოლა, რომელშიაც შემოღებული იყო იმ დროისათვის სწავლების საუკეთესო მეთოდები*. რადგანაც გამგეობამ, ანასტასიას თავმჯდომარეობით, არა დაზოგა რა ამ საქმის სრულყოფისათვის, სკოლა დიდად პოპულარული ორგანიზაცია იყო და არსებობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

სამაგალითო სკოლა მასწავლებელ ქალთა საზოგადოების ერთადერთი ნაყოფი როდი იყო: ერთიერთმანეთზე მიყოლით მოწყობილ იქნა საკვირაო სკოლა, საბავშვო ბაქანი, საბავშვო ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკა მოზრდილთათვის, რომელიც საფუძვლად დაედო ამჟამად არსებულ განათლების მუშაკთა სახლის დიდ ბიბლიოთეკას. მთელი რიგი პროექტები, უმთავრესად ანასტასიას მიერ წარდგენილი, ზოგი ხორციელდებოდა, ზოგიც პროექტადვე რჩებოდა. ანასტასიას დამახასიათებელია შემდეგი: ვიდრე „მისი“ მასწავლებელი ქალები ახალგაზრდები იყვნენ, იგი იგონებდა მათთვის სკოლებს, ბიბლიოთეკებს და სხვა მისთ.; მაგრამ დრო მიდიოდა, საქმე სიბერეს უახლოვდებოდა, საჭირო იყო მათთვის მშვიდი, წყნარი დასვენების უზრუნველყოფა მძიმე ხანგრძლივი შრომის შემდეგ. ასე წარმოიქმნა მოხუც მასწავლებელ ქალთა თავშესაფარი, რომელიც აშენდა კაიდანოვას მიერ შეწირულ მიწაზე საბურთალოში.

---

* ანასტასია ამ დროს იყო აგრეთვე საკვირაო სკოლის მასწავლებლად და დროებით განაგებდა მას (იხ. ანასტასიას არქივი—ხელნაწ. კონა №—436).

თ ა ვ ი IV

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

„ჯეჯილის“ წარმოშობა. რედაქცია და თანამშრომლები. ჟურნალის ხასიათი, მისი პროგრამა. „ჯეჯილის“ მოწინააღმდეგენი და თანამგრძნობნი. აკაკი წერეთელი. „ჯეჯილის“ როლი ქართულ საბავშვო ლიტერატურაში. ანასტასიას საბავშვო გამოცემანი „ჯეჯილის“ პერიოდში.

სალიტერატურო მუშაობა და საქმიანობა წერაკითხვის საზოგადოებაში, მასწავლებელ- ქალთა საზოგადოებაში და სხვ. არ აკმაყოფილებდა ანასტასიას. მისი ენერგიული ბუნება მოითხოვდა საფუძვლიან, მუდმივ საქმეს, რომელსაც ექნებოდა ფართო გასაქანი და სიახლის იერი—მოკლედ მოვჭრით, მას უნდოდა შეექმნა ისეთი საქმე, რომელსაც იგი მოახმარდა მთელ თავის ცოდნას და დამოუკიდებლად გაუწევდა ხელმძღვანელობას.

ევროპაში დიდი ხანია არსებობდა სპეციალურად საბავშვო პერიოდული გამოცემები. ისეთი პოპულარული ფრანგული ჟურნალი, როგორც „Saint-Nicolas“, ფართოდ იყო ცნობილი 80-იან წლებში თვით საფრანგეთის ფარგლებს გარეშეც, ვრცელდებოდა რუსეთშიაც და კავკასიაშიც.

ევროპულმა ჟურნალებმა და რუსულმა საბავშვო „Библиотека для воспитания“-მ აღუძრეს ანასტასიას აზრი დაეარსებინა ასეთივე ჟურნალი საქართველოშიაც. სათანადო ობიექტური პირობების უქონლობამ კარგახანს დააბრკოლა მისი გეგმის განხორციელება.

ქართულ საბავშვო ლეტერატურას 1883 წლამდე შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ამას გარდა, იგი შედგებოდა თითქმის მხოლოდ ნათარგმნი წიგნებისაგან. ხალხიდან გამოსული ინტელიგენციის კადრები მეტად მცირერიცხოვანი იყვნენ, თავადაზნაურული მასა კი გარუსების გზას ადგა და აბუჩად იგდებდა სამშობლო ენას (იმ მცირე ჯგუფების გარდა, რასაკვირველია, რომლებიც დაკავშირებულ იყვნენ არსებულ ჟურნალ-გაზეთებთან). იგი ისწრაფოდა მიეცა თავისი შვილებისათვის მარტოოდენ რუსული განათლება.

1883 წელს პირველი ცდა იყო საბავშვო ჟურნალის გამოშვებისა „Библиотека для воспитания“-ს მიბაძვით. ეს იყო ჟურნალი „ნობათი“. ამ ცდამ, იმავე ობიექტური პირობების გამო, გამარჯვება ვერ ჰპოვა. ჟურნალი ცდილობდა გაეღვიძებინა ბავშვებში სიყვარული სამშობლოსადმი, დედა-ენის მიმართ. მან მოუმზადა ნიადაგი საბავშვო პერიოდიკას და აღუძრა მწერლებს ერთგვარი ინტერესი ბავშვებისათვის საკითხავ ნაწარმოებთა შექმნისა. მაგრამ ჟურნალის არსებობა ხანმოკლე გამოდგა, ვინაიდან მას არა ჰყავდა მუდმივ თანამშრომელთა და მკითხველთა კადრი. იგი დაიხურა 1885 წელს.

ანასტასიამ მონაწილეობა მიიღო ,,ნობათში'', დაბეჭდა რა კარმენ სილვას (ამ ფსევდონიმით წერდა რუმინეთის დედოფალი ელისაბედი) ზღაპრის თავისი თარგმანი ,,ომული''.

„ნობათის'' დახურვის შემდეგ გაიარა თითქმის ხუთმა წელიწადმა, მაგრამ ახალი ჟურნალი, რომელსაც მისი მაგიერობა უნდა გაეწია, არსად ჩანდა. ეს იმას როდი მოასწავებდა, ვითომც მოთხოვნილება არა ყოფილიყოს ასეთი ჟურნალისადმი. პირიქით, ამ ხნის განმავლობაში საბავშვო ჟურნალის წარმატებით არსებობისათვის ნიადაგი თითქო მომწიფდა კიდეც: საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარებამ საქართველოში ფეხი აიდგა და სწრაფის ტემპით წავიდა წინ. ამასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენებში დაიბადა ბავშვებისათვის შინ საკითხავი ლიტერატურის მოთხოვნილება. ბავშვებს ხელთ უნდა ჰქონოდათ ისეთი საკითხავი მასალა, რაც პერიოდულად და სისტემატურად მიაჩვევდა მათ დედა-ენაზე წერა-კითხვას, ვინაიდან ამას ისინი მოკლებულნი იყვნენ სკოლაში, და მოამზადებდა ქართული წიგნობრივი ლიტერატურისათვის. მაგრამ საქმე ის იყო, რომ პერიოდული გამოცემის ნებართვის მიღებას მეტისმეტი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. „ნამესტნიკობის“ (მეფის-ნაცვლობის) გაუქმების შემდეგ 80-იანი წლების დასაწყისში ასეთ ნებართვას ფორმალურად იძლეოდა ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო, რომელიც არსებობდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან პეტერბურგში. ფაქტიურად კი ნებართვა დამოკიდებული იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტზე, რომელიც თავის დასკვნას ცენტრს ატყობინებდა. ნებართვის მისაღებად აუცილებელი იყო (ბევრ სხვა პირობებთან ერთად), რომ კომიტეტს პირადად სცნობოდი და გქონოდა ჟანდარმთა სამმართველოს ხელსაყრელი დასკვნა შენს პოლიტიკურ კეთილსაიმედობაზე. ამას გარდა, ნებართვა ეძლეოდა მხოლოდ ისეთ პირს, რომელსაც უკვე წინასწარ გამოევლინა ლიტე-

რატურაში თავისი მიმართულება. მეფის მთავრობას სრულიადაც არ ეპრიანებოდა საბავშვო ლიტერატურა სამშობლო ენაზე და ყოველ ხელსაყრელ საბაბს ხელზე იხვევდა, რათა უარი ეთქვა შუამდგომლობაზე.

1882 წელს კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლად დონდუკოვ-კორსაკოვისა, საქართველოს ეგზარქოსად იოანიკიისა და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად იანოვსკის დანიშვნასთან ერთად ამიერკავკასიასა და საქართველოში დამყარდა მთავრობის მძვინვარე რეაქციის ხანა. ყველა ესენი წარმოგზავნილი იყვნენ რეაქციული პარტიის მიერ, ხოლო იანოვსკი, ამას გარდა, ყოვლადშემძლე პობედონოსცევის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. იანოვსკის პროგრამა მოთხრობილია თვით მის მიერ წერილში. „სასწავლო გეგმა დაწყებითი სკოლისა ადგილობრივ მოსახლეობას შორის და ამ სკოლაში რუსული ენის დაყენება“. იგი წინადადებას იძლეოდა, რომ დაწყებითს სკოლაში სწავლება ყოფილიყო რუსულ ენაზე, ხოლო დედა-ენაზე—მარტოოდენ პირველი წლის პირველ ნახევარში. იმავე წლის მეორე ნახევარში უნდა დაწყებულიყო პატარ-პატარა ამბები რუსულ ენაზე, ხოლო მეორე წლიდან სწავლება მთლად რუსულ ენაზე გადასულიყო[45]. იანოვსკიმ თავისი მრწამსი ერთბაშად როდი გამოავლინა, პირველხანს იგი თითქო სამშობლო ენის მომხრედ გამოდიოდა. იგი ყოველი ღონით ცდილობდა ჩაეგონებინა ინტელიგენციისათვის, რომ თანაუგრძნობს მის მისწრაფებებს. იანოვსკი ხუმრობით თურმე იტყოდა ხოლმე: „რატომ მთვლიან მე ადგილობრივი მოსახლეობის მოძულედ,—მე ხომ პირველ ყოვლისა სომეხი ვარ (იან), მერე უკვე რუსი (ოვ) და, ბოლოს, პოლონელი (სკი)“.

რუსიფიკაციამ და რეაქციამ დონდუკოვ-კორსაკოვის დროს იქამდე მიაღწია, რომ თვით თავად-აზნაურობაც პროტესტით გამოვიდა (1885 წელს).

ასეთ პირობებში იაკობ გოგებაშვილმა, ივანე როსტომაშვილმა, ეკატერინე გაბაშვილმა და სხვებმა, რომელნიც ცდილობდნენ საბავშვო პერიოდული გამოცემის ნებართვა მოეპოვებინათ, ერთიერთმანეთზე მიყოლით, უარი მიიღეს.

ანასტასია უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო, და სრულიად ბუნებრივია, რომ ყველა მოღვაწე, ვინც კი ნებართვა ვერ მოიპოვა, მის ირგვლივ შემოკრბა. ანასტასიას მამას მიხეილ თუმანიშვილს პასუხსაგები თანამდებობა ეჭირა სამსახურებრივ იერარქიაში. მისი სიკვდილის შემდეგ ოჯახმა შეინარჩუნა კავშირი და ნაცნობობა უმაღლესი ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. იანოვსკი ამ ოჯახის

ნაცნობთა შორის ირიცხებოდა. მას დიდი გავლენა ჰქონდა და შეეძლო დახმარებოდა ანასტასიას ამ საქმეში. ამას გარდა, ანასტასიას ძმას გიორგის ჯერ კიდევ თავი არ დაენებებინა სამსახურისათვის მთავარმართებლის კანცელარიაში. იმასაც ჰყავდა ნაცნობები ადმინისტრაციიდან. ანასტასიას იცნობდნენ საცენზურო კომიტეტში იანოვსკის რეკომენდაციით. მისი „პოლიტიკური კეთილსაიმედობა“ ჯერ კიდევ „შეზღალული“ არ იყო ეჭვით. ამასთანავე, მას ჰქონდა ათი წლის სალიტერატურო სტაჟი. ამრიგად, ანასტასიას ხელთ ჰქონდა ყველა მთავარი პირობა ნებართვის მისაღებად. ასე რომ, როდესაც 1889 წელს ანასტასიამ შუამდგომლობა აღძრა ქართულ ენაზე საბავშვო ჟურნალის გამოცემის ნებართვის მიცემის შესახებ და იგი იმით დაასაბუთა, ჩემს წიგნებს მინდა პერიოდული გამოცემის ხასიათი მივცეო,—მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა და საქმის გაჭიანურებისა, ნებართვის მიღება მაინც მოხერხდა 1889 წლის 3 (15) ოქტომბერს ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოსაგან[46]. სწორედ ამ დღეს შინაგან საქმეთა მინისტრმა პლევემ დაამტკიცა „ჯეჯილის“ პროგრამა ამ სახით: I. მოთხრობები, ამბები, ზღაპრები, მოგზაურობა, ბიოგრაფიები, პოემები, ეტუდები. II. ლექსები. III. მეცნიერება და ხელოვნება. IV. ნარევი. V. წვრილმანი. VI. საბავშვო, პედაგოგიკური, საჭადრაკო და სხვ. თამაშობანი, რებუსები, მათემატიკური ამოცანები, ანეკდოტები, გამოცანები, იგავები, ანდაზები. VII. ილუსტრაციები. VIII. სიმღერები ნოტებით, პასუხები და განცხადებანი.

იგდო რა ხელთ სანებართვო ქაღალდი, ანასტასიამ ხელი მიჰყო გამოცემის ორგანიზაციას. ყველაფერი უკვე წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდა, თანამშრომლები შერჩეული ჰყავდა, მატერიალური სახსარიც ნაშოვნი (ჯერჯერობით საკუთარი ჯიბიდან). 1890 წლის 1 იანვარს ახალი ჟურნალი უნდა მოვლენოდა ქვეყანას.

ვიდრე „ჯეჯილის“ გამოცემას შეუდგებოდა, ანასტასიამ მოიწვია მწერლები და საზოგადო მოღვაწეები თათბირზე და განუცხადა მათ თავისი განზრახვა. ყველამ, მოხუცმაც და ახალგაზრდამაც, გადაწყვიტა მხარი დაეჭირა ანასტასიასათვის[47]. ეს თათბირი მოხდა სათავადაზნაურო სკოლის სადგომში, სწორედ იმ შენობაში, სადაც მოთავსებული იყო ინსტიტუტი, როდესაც იქ ანასტასია სწავლობდა. ამრიგობაზე ანასტასია შედიოდა ამ შენობაში არა ვით „ინსტიტუტკა“, არამედ როგორც ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი. დამსწრეთა შორის ყვნენ იაკობ გოგებაშვილი (რომლის წინადადებითაც ჟურნალს „ჯეჯილი“ უწოდეს), ეკატერინე მესხი, ეკატერინე გაბაშვილი, ისტორიკოსი დიმ. ბაქრაძე, პოეტი ვახტანგ ორბელია-

ნი და სხვ.[48], უმეტეს წილ ის პირნი, რომელთაც თავიანთი სახელი სამუდამოდ „ჯეჯილს“ დაუკავშირეს.

გამოცხადდა ხელის მოწერა და პირველმა ხელი მოაწერა ოლღა ჭავჭავაძემ—ილიას მეუღლემ, იგი ამასთანავე დაჰპირდა, რომ ეცდება ილიასაც მიაღებინოს მონაწილეობა ჟურნალში. ანასტასია ამ დაპირებას არ დასჯერდა და თვითონ მიმართა ილიას „ივერიის“ ერთ-ერთი თანამშრომლის იაკობ მანსვეტაშვილის[49] მეშვეობით მოეცა რაიმე „მასალა“ ჟურნალისათვის. ილიამ, მართლაც, გადასცა ჟურნალის პირველი ნომრისათვის თავისი ცნობილი ლექსი „ბაზალეთის ტბა“, რომელიც თუმცა რამდენიმე წლით ადრე იყო დაწერილი, მაგრამ ილიას ჯერ არსად დაებეჭდა.

1890 წლის დამდეგისათვის პირველი ნომერი უკვე მზად იყო. იგი არ შეიცავდა პროგრამულ სარედაქციო წერილს, რაც ჩვეულებრივი საგზურია ყველა ჟურნალის პირველი ნომრისა. დაბეჭდილი იყო მხოლოდ შეტყობინება:

„ორ თვეში ერთხელ გამოვა საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი, სადაც დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ კაცთა ცხოვრების აღწერანი, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო თამაშობანი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებზე“.

შემდეგ „მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა“.

ნომერი იწყებოდა შიო მღვიმელის სიმბოლური ლექსით—„ჯეჯილი“.

ამ ლექსში პოეტი აღნიშნავდა ჟურნალის მნიშვნელობას, როგორც საბავშვო ლიტერატურის გამოსაცოცხლებლად მოწოდებულისას:

აქამდის იყო თოვლის ქვეშ
დაფარულ-დამალულია,
ახლა კი მზისა სხივებზე
გადაუშლია გულია.
პოეტი ამბობდა, რომ ჟურნალი
ჯერ პატარაა, ქორფაა,
თანდათან გაიზრდებაო,
დაისხავს ოქროს თავთავსა,
ზღვასავით აღელდებაო.

შემდგომ მკითხველნი გაიზრდებიან ჟურნალთან ერთად, გამოვლენ ცხოვრების ასპარეზზე და იმათ შრომით

დადგება წითლად ხვავია
და გაიხარებს გულითა
იმათი დამთესავია.

ეი ის საჩუქარი, რაც უნდა მიიღონ მკითხველებისაგან გამომცემელმა და მისმა ჟურნალმა.

ვაჟა-ფშაველამ მისცა ჟურნალს პირველი ნომრისათვის სიმბოლური ლექსი, რომელიც აგვიწერს გლეხის შრომის პროცესებს. იგი მიმართავს „ჯეჯილს“ ამ სიტყვებით:

გლეხის მარჯვენის ნაღვაწო
და გლეხის ოფლით მორწყულო.

მაგრამ გლეხის შრომა ამით არ თავდება:

ნამგლებს გაჰქონდეს პრიალი;
მკერდოფლიანის ბიჭების
ცასა სწვდებოდეს გრიალი.

პირველი ნომერი ბრწყინავდა საქართველოს საუკეთესო ლიტერატორების სახელებით. ახალგაზრდა ჟურნალისტებისა და მწერლების გვერდით, როგორნიც იყვნენ იაკობ მანსვეტაშვილი (ფსევდონიმი მ ა რ ე ლ ი—მოთხრობა „გიგლას სიზმარი“), ალ. ჭიჭინაძე („თებო“—საბერძნეთის მითოლოგიიდან) და უზავთიანო ავტორები პატარ-პატარა წერილებისა სამეცნიერო და სხვა განყოფილებებში, აქ იყვნენ, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა (პოემა „მერცხლისა და ჭივჭავის ომი“), ვაჟა-ფშაველასა და შიო მღვიმელის გარდა, აგრეთვე რაფიელ ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ეფროს. ჭიჭინაძე, იაკობ გოგებაშვილი („სპილო და ჭიანჭველა“, სადაც აწერილი იყო სპილოს მიერ ჭიანჭველების სამყოფელის დანგრევა და სადაც ჭიანჭველების სულგრძელობა და გულკეთილობა იმარჯვებს—ეს იყო ამ ამბის მორალი), ეკატერინე გაბაშვილი („შობა ღამეს“, ნათარგმნი რელიგიური განწყობილებით, და „ღვთის შვილი“, ვაჭრების წინააღმდეგ მიმართული). ვაჟა-ფშაველამ, ლექსის გარდა, მოათავსა მოთხრობა „ჩვენი მამალი“, რომელშიაც ალეგორიულად აგვიწერდა შინაურ ფრინველებს და მათ ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, ვინც „ჩვენს ეზოში პამპლაუქობს და ჩვენზე გაბატონება მოუწადინებია“. აქვე იყო რამდენიმე ხალხური ზღაპარი და ლექსი.

ახალწლის ღამეს, ანასტასიას ბინაში, ყოფ. ბარიათინსკის ქუჩაზე, გაიმართა მეგობრული შეხვედრა[50], რომელზედაც მიწვეულ იქნენ ახალი ჟურნალის თანამშრომლები და მეგობრები. ეს იყო, რომ იტყვიან, ჟურნალის „ნათლობა“, როგორც ერთერთმა დამსწრეთაგანმა წარმოთქვა. სტუმრებს შორის იყვნენ არა მარტო ცნობილი მწერლები და პოეტები, არამედ პუბლიცისტები და მეცნიერებიც, როგორც ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, დიმ. ბაქრაძე და სხვ. როცა სადღეგრძელოები დაიწყო, ისტორიკოსმა დიმ. ბაქრაძემ ასწია სასმისი და მიულოცა ანასტასიას შემდეგი სიტყვებით: „...მე დარწმუნებული ვარ, რომ ქალი უკეთ წაიყვანს ამ საქმეს და ბოლოსაც გაიტანს“. ეს სიტყვები თითქო პასუხი იყო, მათდამი მიმართული, ვისაც არა სჯეროდა, რომ ქალი ბოლოს გაიტანს და ყოველთვის მოითხოვდნენ, მამაკაცს გადაეცეს რედაქტორობაო[51].

პირველმა ნომრებმავე ნათელჰყო ჟურნალის გამარჯვება. ანასტასიამ მოიპოვა თანაგრძნობა არა მარტო მკითხველებისა, არამედ მწერლებისაც. იაკობ მანსვეტაშვილი, თვით თანამშრომელი ჟურნალისა, ამბობს, რომ „ჩვენი გამოჩენილი პოეტები თანაუგრძნობდნენ ამ ჟურნალს, იქ წაიკითხავდით აკაკის, ვაჟა-ფშაველას და ბევრ სხვათა ლექსებსაც, ჩვენი შიო მღვიმელი ხომ ნამდვილი შიოს მარანი იყო: უხვი, პურადი, გულადი! ისე ნომერი არ გამოვიდოდა „ჯეჯილისა“, რომ შიოს თავისი ძღვენი, ნობათი არ მიერთო პატარა მკითხველებისათვის. ამათ რომ ჟურნალი გადაეშალათ და შიოს კატუნები, ფისუნიები, თაგუნები და ჩიტუნები არ ენახათ, გულნაკლულნი, დაღონებულნი იტყოდნენ: ძია შიო რატომ არ არისო?“

პრესა ახალი ჟურნალის მოვლენას დიდის გულითადობით გამოეხმაურა: ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ (1890 წ.№1) უძღვნა „ჯეჯილს“ მეთაური წერილი, რომელშიაც ნათქვამი იყო: „სასიამოვნო ამბავი უნდა ვახაროთ ჩვენს მკითხველებს: დღეს დაურიგდათ ხელისმომწერთ პირველი ნომერი ახალის საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილი“-სა, რომელიც ამას შემდეგ ყოველ ორ თვეში ერთხელ გამოვა კნ. ან. თუმანიშვილის რედაქტორობით. მეტად კარგი რამ არის ეს პირველი წიგნი თვალისათვის. არც გული და ჭკუა არის დავიწყებული, ერთისაც და მეორისთვისაც სამკალია საკმაო შიგ. „ჯეჯილი“-ს რედაქციას ძალიან კარგი საჩუქარი დაუმზადებია ჩვენის მოზარდის თაობისათვის... დიდის სიამოვნებით გადავიკითხეთ თითქმის მთელი წიგნი ამ ახლად დაბადებულებისა და ნორჩის ჟურნალისა და უნდა ვსთქვათ, გულით და სულით ვისიამოვნეთ, დავსტკბით და უფრო

ტკილად „დავბერდით“, ვიდრე მამა-პაპის ნაანდერძევი „აბრამიანი“ და „გოზინაყი“ დაგვაბერებდა“. აქვე ილია ჭავჭავაძემ გადაბეჭდა „ჯეჯილიდან“ რაფიელ ერისთავის მიერ გადმონაკეთები ლექსი „შვიდნი ვართ“, რომელიც ძალიან მოსწონებოდა მას. „ივერიის“ ამ საახალწლო ნომერში დაბეჭდილი იყო აგრეთვე ექსპრომტი:

„ჯ ე ჯ ი ლ ს“

როგორადაც დაბადებით,
ისეც გაზრდით გაგვახარე;
იცოცხლე ათას წლობითა,
ჩვენც თუნდ მიწა დაგვაყარე!

და დონ-იაგოს მისალმება

ჟურნალ „ჯეჯილს“

ბუნებას ფერი უცვლია
მაღლა მთას, დაბლა ბარშია:
ჯეჯილი ამოხეთქილა
ამ დამდეგ იანვარშია.

„ნოვოე ობოზრენიე“, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ნიკო ნიკოლაძის ხელში იყო (1890 წ., № 2079), მიესალმა „ჯეჯილს“, ძალიან აქებდა I-ლი ნომრის შინაარსს და ჟურნალის გარეგან სახეს და უსურვებდა წარმატებას.

„ტიფლისკი ლისტოკი“ (1890 წ. №3) აღიარებდა, პირველი ნომერი შინაარსით სავსებით შეეფერება თავის დანიშნულებასო, მაგრამ თვლიდა, რომ ეფროს. ჭიჭინაძის ნარკვევს „ჭიანჭველები“ არ შეუძლიან მისცეს ჟურნალს მეცნიერული მნიშვნელობა და, ამასთანავე, დისონანსი შეაქვს მის შინაარსშიო. „საბავშვო ჟურნალი—ამბობდა „ტიფ. ლისტ.“—უნდა გაურბოდეს ყოველგვარ მეცნიერულობასაო.

ყველაზე უფრო აქტიურ თანამშრომელთა შორის იყო აკაკი წერეთელიც, რომელსაც პირადად მეგობრული კავშირი ჰქონდა ანასტასიასთან და მის მომავალ ქმართან, გიორგი წერეთელთან. მისი ლექსები „ჯეჯილში“ ეხებოდა უმთავრესად ცხოველთა სამეფოსა და ფრინველებს.

თვით ანასტასიამ 1910 წლის საიუბილეო 1-ელ ნომერში („ჯეჯილის“ 20 წლისთავის შესრულების გამო) აღნიშნა ის უანგაროდ მომუშავე თანამშრომელნი და თანამგრძნობნი, „რომელთა დაუხმა-

რებლათ მე ვერას გავაწყობდი“-ო. ესენი იყვნენ: თედო რაზიკაშვილი, ოლია ალხაზიშვილი, ეკატერინე მესხი, ივანე გომართელი, ლადო აღნიაშვილი, ალ. ნათაძე, შიო მღვიმელი, პართენ გოთუა, პეტრე მირიანაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ალ. მიქაბერიძე, სერგო გორგაძე, ალექსანდრა ფაღავა, ცახელი, სოფიო ციციშვილი და სხვ. ეს „სხვ.“ ცოტანი არ იყვნენ „ჯეჯილის“ იუბილემდე და იუბილეს შემდეგაც: ვარ. რუხაძე, დავ. თურდოსპირელი, იტა ნაკაშიძე, თინა ნაკაშიძე, იოს. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი, ილია სიხარულიძე, ლადო გეგეჭკორი, ვ. საათაშვილი, ა. ა. ავალიშვილი, ელენე კარბელაშვილი, მარ. დემურია, გ. წყალტუბელი (გ. იოსელიანი), ბაჩანა (ვაჟაფშაველასა და თედო რაზიკაშვილის ძმა), ალ. მირიანაშვილი, დავ. კარიჭაშვილი, ივ. ელიაშვილი, გრ. აბაშიძე, დ. მაჩხანელი, ვას. ბარნოვი, განდეგილი, დარ. ახვლედიანი, დუტუ მეგრელი, ალ. შანშიაშვილი. ჟურნალმა აღზარდა მთარგმნელების კვალიფიციური კადრები. ზოგიერთმა თანამშრომლებმა თავის სპეციალობად მარტოოდენ საბავშვო ლიტერატურა გაიხადეს, ზოგი კი საბავშვო ლექსებით იწყებს და შემდეგ „მოზრდილებზე“ გადადის. ანასტასიას დაჟინებითი თხოვნით თვით ი. გრიშაშვილმაც, მაშინ უაღრესად ტრფობის პოეტმაც, დაიწყო „ჯეჯილში“ საბავშვო ლექსების მოთავსება. პოეტი გ. ლეონიძე, მისივე სიტყვით, პირველად „ჯეჯილში“ გამოდის ათი წლის ბავშვი და შემდგომ კარგახნის განმავლობაში ანასტასიას ზნეობრივი ხელშეწყობით განაგრძობს მუშაობას.

ანასტასია თავის „ჯეჯილში“ ხედავდა მოზარდი თაობის სიმბოლოს და სწორედ ამიტომაც მან ჟურნალის ეპიგრაფად აირჩია პოეტ-დემოკრატის იოსებ დავითაშვილის ლექსიდან შემდეგი სტრიქონები:

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო.

სპეციალური განყოფილება მცირეწლოვანთათვის, განსაკუთრებული შრიფტით ყველაზე მეტად საყვარელი განყოფილება იყო ანასტასიასათვის.

ექვსი წლის განმავლობაში ჟურნალი ორს თვეში ერთხელ გამოდიოდა, ე. ი. წელიწადში ექვს წიგნად, ხოლო შემდეგ ყოველთვე.

პირველ ხუთ წელს „ჯეჯილი“ 400 ცალად იბეჭდებოდა, შემდგომ კი 600 ცალად.

ანასტასია ძალიან ბევრსა წერდა თავის ჟურნალში—ყოველ ნო-

მერში ერთი-ორი მისი ორიგინალური ან ნათარგმნი მოთხრობა უეჭველად უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, წვრილ-წვრილი მასალა მაინც ხელმოუწერელი. თავის ავტობიოგრაფიაში (ჟურნ. „ერი") იგი მოგვითხრობს, რომ „ამ ოცი წლის განმავლობაში არ დაბეჭდილა თითქმის არც ერთი ნომერი „ჯეჯილისა", რომ მე თვითონ არ დავსწრებოდი სტამბაში მის ყოველი ფორმის დაბეჭდვას".

ძალიან ბევრ დროს ართმევდა ანასტასიას წერილების წერა პირგამტეხ თანამშრომლებისათვის, რომელნიც აგვიანებდნენ ხოლმე დაპირებული მასალის გამოგზავნას, თუმცა სარედაქციო და ტექნიკურ მუშაობაში მთელი წლების მანძილზე მას ეხმარებოდა შეუდარებელი თანამშრომელი სოფიო ციციშვილი. წარმოუდგენელია, რომ ადამიანს იმაზე მეტად უყვარდეს რომელიმე საქმე, როგორც სოფიო ციციშვილს უყვარდა „ჯეჯილი". მის პირად საქმეს და ინტერესებს ყოველთვის ჟურნალის ინტერესები ჩრდილავდა. მოკრძალებული, შრომისმოყვარე და იდეით გატაცებული, იგი დიდის გულმოდგინებით ეხმარებოდა ანასტასიას. ანასტასიაც დიდი პატივისმცემელი და მოსიყვარულე იყო სოფიოსი, რომელიც მის ოჯახში ისე იყო გაშინაურებული, როგორც საკუთარ ოჯახში. ერთი სიტყვით, სოფიო ანასტასიას მარჯვენა ხელი იყო. „სონას", როგორც მას ყველა ეძახდა, მოვალეობას ყველა შემოსული ხელნაწერის გადასინჯვა შეადგენდა. მას უნდა გადაერჩია ის ნაწარმოებნი, რომლებიც სარედაქციო კომისიას წარედგინებოდა ხოლმე. ეს კომისია იკრიბებოდა ანასტასიას თავმჯდომარეობით თვეში ერთხელ, რამდენიმე საათით, რათა საბოლოოდ დაედგინა მორიგი ნომრის შინაარსი. სონა კითხულობდა — და კითხულობდა თურმე ოსტატურად, დიდის გრძნობით—ხელნაწერებს, ხოლო დანარჩენები ყურს უგდებდნენ და შემდეგ გამოჰქონდათ თავიანთი დასკვნა. მაგრამ იგი როდი სჯერდებოდა თავის მუშაობაში ამ მოვალეობას: იგი კითხულობდა რუსულ საბავშვო ჟურნალებს და დიდის უნარით გამოჩხრეკდა ხოლმე „ჯეჯილისათვის" სავარგისო მასალას. აგრეთვე ბევრსა თარგმნიდა და წერდა ორიგინალურ მოთხრობებს და შენიშვნებს „ჯეჯილის" სხვადასხვა განყოფილებისათვის. მაგრამ ესეც არა ჰმაროდა—იგი ეხმარებოდა ანასტასიას აგრეთვე ყოველგვარ ტექნიკურ მუშაობაში. ანასტასიას დავალებით სონა წერილებს უგზავნიდა თანამშრომლებს თხოვნით მასალის თაობაზე. ამ წერილებში სოფიო მარტო თხოვნას კი არ სჯერდებოდა, არცხვენდა კიდეც ზოგიერთ მათგანს სიზარმაცისათვის. ერთერთ წერილში თედო რაზიკაშვილისადმი (1899 წლის 12 (24) ნოემბრის თარიღით), იგი, სთხოვს რა მასალას ჟურნა-

ლისათვის, განსაკუთრებით კი საიუბილეო ნომრისათვის (10 წლის თავზე), სხვათა შორის, ამბობს: „მგონი, „ჯეჯილის“ არსებობიდან თანამშრომლობთ და სირცხვილი იქნება, რომ თქვენი არა იყოს რა“. სხვა შემთხვევებში იგი თითქო თავს იკატუნებს და თავის დაბეჯითებით მოთხოვნას იმით ამართლებს, ვითომ თვით ანასტასია მოსვენებას არ აძლევდეს: „დამავალა ტასომ, რომ გთხოვოთ ,,ჯეჯილისათვის“ მასალა“,—სწერს იგი სხვა წერილში იმავე თედო რაზიკაშვილს.

სონას დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა მოზარდი თაობის სიყვარული. იმ წლებში, როდესაც სონა ,,ჯეჯილში“ მუშაობდა, ანასტასიას ბინა წარმოუდგენელი იყო უმისოდ: ამ ბინას თითქო რაღაც აკლდა, როდესაც ვერა ხედავდით მის სიმპათიურ დიდ სახეს, დიდრონივე, თურაშაული ვაშლის ფერი ლოყებით და მორცხვი ღიმილით. იგი მუშაობდა უკანასკნელ ქანცწყვეტამდე, უკვე ავადმყოფი უკურნებელი სენით, რისგანაც იგი 1905 წელს გარდაიცვალა[52]. აკაკი წერეთელმა მეს გარდაცვალებაზე დაწერა ქვემომოყვანილი ლექსი.

* * *

სონა ციციშვილის ქალის სახსოვრად

ყველა სიკვდილის შვილი ვართ,
შავი დღე გველის ყველასა!
რას ავყოლივართ ამ სოფელს
და მისსა „ელა—მელასა?“

დღესა ვართ, ხვალ არ ვიქნებით,
ეს ხომ მსოფლიო წესია?
სხვა მომკის და სხვა წაიღებს,
რაც ჩვენთვის დაგვითესია!

მაგრამ სიცოცხლე ტკბილია,
ხარბი და გაუმაძღარი,
უკუღმართ ნდომა-სურვილის
არ გააჩნია საზღვარი.

დღეს ამას მისდევს, ხვალ იმას
და თავს აჭყუებს ამითა,
ის აღარ ახსოვს, რომ წლობით
შეძენილს ჰკარგავს წამითა!

კაცს იმას ვეტყვი, თავისას
ვინც არ იწუნებს კერასა
და ხარბი თვალით არ ჰყვედრის
უკუღმართ ბედისწერასა.

შეჰყურებს შემოქმედებას
სახითა მხიარულითა
და სიყვარულსა მოძმეთა
ატარებს სავსე გულითა.

ვიცნობდი ჩვენშიც დობილად
ამგვარსა ადამიანსა
სათნოსა, ქვეყნის მოყვარულს,
წინდახედულსა, ჭკვიანსა!

სამშობლოს სამსხვერპლოზედა
ტკბილად დამდები წვლილისა,
ის იყო დაუვიწყარი
სოფიო ციციშვილისა!!

„ჯეჯილის“ პირველ ნომრებში ორიგინალურ ნაწარმოებთა მასალა სჭარბობდა, ხოლო თანდათან თარგმნათა რაოდენობაც მატულობდა და, ბოლოს, ნათარგმნმა მასალამ გადასძლია ორიგინალურ ლიტერატურას. ითარგმნებოდა უმთავრესად ფრანგული და ინგლისური ლიტერატურა, რასაც „ჯეჯილის“ რედაქცია ბლომად იწერდა.

საბავშვო ლიტერატურა პირველად საფრანგეთში აღორძინდა და პედაგოგიკის საკითხები ამ ქვეყანაში ყველაზე მეტად განვითარდა. მაგრამ მარტო ამით არ აიხსნება „ჯეჯილის“ მიდრეკილება ფრანგული მასალისადმი. აქ, უეჭველია, თავი იჩინა ჟურნალის ხელმძღვანელობასთან ახლო მდგომი ზოგიერთი თანამშრომლის პოლიტიკურმა და კლასობრივმა სიმპათიებმა. ნათარგმნი მასალა თვალსაჩინოდ წინასწარვე განსაზღვრავდა იმ ლიტერატურის ხასიათს, რასაც ჟურნალი ქართველ ბავშვებს სთავაზობდა: „ჯეჯილისათვის“ ნათარგმნი ფრანგული მოთხრობები, ჩვეულებრივ, დაწერილი იყო სხარტულად და მოხდენილად, მაგრამ გამსჭვალული იყო სანტიმენტალური და მორალური დედაარსით. ხოლო ინგლისურ საბავშვო ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა რელიგიურ ელემენტს[53]. აი ამ თვისებებმა ერთგვარი დაღი დაასვეს „ჯეჯილსაც“, განსაკუთრებით ჟურნალის გამოცემის პირველ წლებში. შემდგომ, ალბათ, იმ დემოკრატიული ელემენტების ზედმოქმედებით, რომელთა გავლენაც „კვალის“

რედაქციაში თანდათან მატულობდა, ანასტასია იწყებს გამოსვლას „სანტიმენტალური სკოლის“ წინააღმდეგ. „კვალის“ 1896 წლის 1-2 №-ში მოთავსებული იყო მისი დიდი სტატია სახალხო სამკითხველოებზე, რომელშიაც იგი ლაპარაკობდა ამ სამკითხველოების გამგეთა კადრების მომზადებაზე, აკრიტიკებდა არსებულ ქართულ გამომცემლობებს და თვლიდა, რომ ხალხს უნდა ეძლეოდეს არა დიდტანიანი, ხალხისათვის ნივთიერად ხელმიუწდომელი, „თხზულებათა კრებულების“ ტომები, არამედ ქართველი კლასიკოსების ცალკეულ ნაწარმოებთა გამოცემები. ეხება რა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ შმიდტის მოთხრობების გამოცემას, იგი ამბობს:

„ეს მოთხრობები დაძველებულია და ეკუთვნის სანტიმენტალური შკოლას, რომელიც ახლა არც სახალხოთ და არც ყმაწვილებისათვის აღარ იხმაოება. ამ მოთხრობებში გამოყვანილია უზომო სიბოროტე და უზომო გულ-კეთილობა, რაღაც სასწაულით მოვლენილი. განა მნიშვნელობა ექნება, ახლა რომ გადავთარგმნოთ კარამზინის „საბრალო ლიზა!“ ამგვარი მოთხრობებს თავის დრო დიდი ხანია, მოუჭამიათ“.

თვითონ ანასტასია მორწმუნე ადამიანი არ იყო, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, იგი რელიგიურ საკითხებს პატარაობიდანვე სრულიად გულგრილად ეპყრობოდა. მისი დამოკიდებულება სამღვდელოებისადმი ირონიული იყო. 1872 წლის 6 (18) სექტემბრის წერილში თავისი ძმის გიორგისადმი იგი აუწერს მას მოგზაურობას მამასთან და მეგობრებთან ერთად ისტორიულ „სამშვილდოში“ და ერთ ადგილას დაცინვით აღნიშნავს:

„როდესაც ამ სოფლის ბაღებს დავუახლოვდით, მღვდელი მოგვეგება და, იმის მაგივრად, რომ დასასვენებლად ადგილი ეჩვენებინა, შეგვიტყუა პირდაპირ ეკლესიაში, რათა შემთხვევა არ დაეკარგა რაც შეიძლება მეტი ფულის მოგროვებისათვის. ეკლესიის გვერდით ქვისაგან ცხენია გამოკვეთილი უნაგირით და ადამიანის ფიგურით, ხოლო ეკლესიაში, საკურთხეველთან, დიდი ქვაა. მღვდელმა აგვიხსნა, რომ იგი ერთბაშად დედამიწიდან აღმოიზიდაო (ესეც შენი მღვდელი! როგორ გაანათლებს თავის სამწყსოს!) „...(დედანი რუსულადაა).

„ჯეჯილის“ განყენებულობა საჭირბოროტო საკითხებისაგან უკმაყოფილებას იწვევდა ქართველი ინტლიგენციის ერთ ნაწილში, რომელსაც უნდოდა ეგრძნო საბავშვო ჟურნალში ეპოქის მაჯისცემა. მისი აზრით, ბავშვი ნამდვილ ცხოვრებაში სრულიადაც იმას არა

ხედავდა, რაც „ჯეჯილში“ იყო აწერილი, არა იმ გრძნობებს, რომლებითაც გაჟღენთილი იყო ჟურნალში დაბეჭდილი მოთხრობები. მაშინ, როდესაც რეალურ ცხოვრებაში მეფობდა პოლიტიკური და ეკონომიური ჩაგვრა და ძლიერდებოდა კლასობრივი ბრძოლა, „ჯეჯილში“, ჩვეულებრივ, კეთილი იმარჯვებდა, ხოლო ბოროტება ისჯებოდა. „კეთილი“ მდიდრები გულის მაამებელ საქმეს ჩადიოდნენ; ობოლნი, მათხოვარნი, დამცირებულნი და ჩახშობილნი შვებას ჰპოებდნენ ლოცვაში; საეკლესიო დღესასწაულებს წვლილი მოჰქონდათ ღარიბ-ღატაკთათვის, ისტორიული მოთხრობები ქება-დიდებას უმღეროდნენ მეფეთა თავდადებასა და გმირობას.

არც სხვა ხასიათის კრიტიკა ჩამორჩებოდა ამას: 1898 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა ლ. ბოცვაძის ფელეტონები, რომლებშიაც იგი აკრიტიკებდა „ჯეჯილში“ დაბეჭდილ ზოგიერთ მოთხრობას და გამოთქვამდა იმ აზრს, რომ საბავშვო ლიტერატურა უნდა იყოს მხოლოდ ხასიათის „კარგ“ თვისებათა და ცხოვრების „კარგ“ მხარეთა ანარეკლი, რათა ბავშვები ცთუნებამ არ წაიტყუილოსო. ამაზე 1899 წელს „კვალში“ (14, 16, 17, №№) ,,ჯეჯილის‘‘ სახელით პასუხი გასცა ჟურნალის რედაქციის ერთერთმა თანამშრომელმა, რომელიც პროტესტს აცხადებდა იმის წინააღმდეგ, რომ ბავშვებს თვალებს უხვევდნენ და არ აჩვენებდნენ ცხოვრების უარყოფითს მოვლენებს.

თუ ,,ჯეჯილი“, მართლაც, არ არეკლავდა ყოველდღიურ ბრძოლას კლასებს შორის და საზოგადოებრივი განვითარების მრრიგ ეტაპებს, სამაგიეროდ, ისეთმა დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა, როგორიც იყო რუსეთ-იაპონიის 1904 წლის ომი, 1905 წლის რევოლუცია, 1914 წლის იმპერიალისტური ომი, 1917 ოქტომბრის დიადი რევოლუცია, საკმაოდ ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს ჟურნალის თემატიკაში. 1904 წელსაც და იმპერიალისტურ ომის წლებშიაც ჟურნალი ხშირად ათავსებდა მოთხრობებს „სამხედრო‘‘ თემებზე. 1905 წელს მომხდარი ამბები აირეკლა, მაგალითად, ანასტასიას ამბავში ,,რათ მოკლეს დედაჩემი‘‘ (№ X-XI) იქვე მოთავსებული სურათით, რომელიც აღბეჭდავდა, თუ სალდათები როგორ ესროდნენ თოფს მიმარბენ დედაკაცს ბავშვით ხელში. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ,,ჯეჯილის‘‘ ორსავე ნომერში (1917 წელს გამოვიდა მხოლოდ ჟურნალის ორი ნორმალური წიგნი) მოთავსებულია რამდენიმე სტატია რევოლუციაზე, ბავშვებისადმი მიმართვაში (№ 1) ანასტასია განმარტავს განსხვავებას თვითმპყრობელობასა და თავისუფლებას შორის და ამ მიმართვას შემდეგი სიტყვებით ათავებს:

,,როდესაც გაიზრდებით, ყმაწვილებო, სიამოვნებით მოიგონებთ ამ ბედნიერ დროს და მაშინ მიხვდებით, თუ რა დიდი განსხვავებაა, როდესაც ქვეყნის საქმეებს ჭკუით მართავენ ხალხისაგან არჩეული კაცები და არა ერთი კაცი თავნება და უსამართლო ბატონი—მეფე".

,,ჯეჯილის'' გამოხმაურებას —ომისა და რევოლუციის თემებზე უეჭველად დაღი აჯდა ნაროდნიკობის (ხალხოსნობის) იდეათა გავლენისა, ვინაიდან როგორც თვით ანასტასიას, ისე მის ზოგიერთ თანამშრომელს მიდრეკილება ჰქონდათ ამ იდეებისაკენ.

საერთოდ, არ შეიძლება ითქვას, ვითომც ანასტასიას ეუცხოებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა. პირიქით, თუმცა იგი არავითარ პარტიას არ ეკუთვნოდა, მაინც, როგორც ,,კვალის'' გამომცემელი და როგორც პუბლიცისტის ცოლი, ყოველთვის თავის ეპოქის პოლიტიკური ცხოვრების შუაგულში იყო. მისი ბინა საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის ლეგალ და თვით ,,იატაკქვეშ'' მომუშავე მოღვაწეთა კრებების ადგილი იყო, სადაც ყველა პოლიტიკურ ამბავს და მოვლენას აგზნებული კამათით ეხმაურებოდნენ (იხ. ამ წიგნის IX თავი). ხოლო ,,პოლიტიკას'' ჯეჯილის ფურცლებზე არ აჭაჭანებდნენ, ყოველ შემთხვევაში, ,,ჩვეულებრივ'' დროს.

ის უცნაური, ერთის შეხედვით საიდუმლოება, რომ ანასტასიას პირადი შეხედულებანი ასე განესხვავებოდნენ ჟურნალის ხასიათს, იმაში უნდა გამოვიცნოთ, რომ ,,ჯეჯილის'' გამოცემის საქმეში ანასტასია ისახავდა შეზღუდულ მიზნებს, თითქო ეშინოდა, ჩემს ჟურნალში ,,პოლიტიკა'' რომ შეუშვა, ვაი თუ ვეღარ გაუძლო მის ძლიერ მოტევას და ჩემი საყვარელი პირმშო აკრძალვის ხიფათში ჩავაგდოო. ათი წლის იუბილეს გამო ,,მცირეწლოვან მკითხველებისადმი" მიმართულ წერილში (,,ჯეჯილი'', 1900 წ., №1) ანასტასია თვით ლაპარაკობს თავის მიზნებზე.

,,ათი წელიწადი შესრულდა'' რაც მე ჟურნალ ,,ჯეჯილს'' გაწოდებთ საკითხავად. მე და ჩემი თანამშრომლები ვცდილობდით, რომ თქვენ დედა-ენაზე წერა-კითხვა გესწავლათ და დედ-მამის და ძმების და სამშობლოს სიყვარული ჩაგნერგოდათ გულში. ჩვენ გვსურდა კითხვა შეგყვარებოდათ, შეჩვეოდით მას და უსაქციელო დროს გატარების მაგივრად ,, ჯეჯილი"-დან კარგი ამბების ამოკითხვით სიამოვნებით გაგეტარებინათ დრო, თავი შეგექცევნათ და ჭკუა გესწავლათ''.

მეორეჯერ, „ჯეჯილის“ 20 წლის თავის გამო, ანასტასიამ თითქო გამოხატა თავისი პროგრამა შემდეგი სიტყვებით („ჯეჯილი“, 1910 წ., № 1):

„... სულით და გულით ვემსახურებოდი ამ საქმეს და ვცდილობდი აღმესრულებინა დიმიტრის (იხ. ზევით დიმ. ბაქრაძის მიერ გამოთქმული სურვილი) წინასწარმეტყველება. როდესაც ვხედავ, ჩემო პატარა მეგობრებო, რომ „ჯეჯილს“ ხალისით კითხულობთ, გიყვართ და იმას მოაქვს თქვენთვის სარგებლობა— მეც თქვენთან ერთად ვხარობ და ვსიამოვნობ... ამით მე საკმარისად დაჯილდოებული ვიქნები ამ სიბერის დროს“.

ლევ ტოლსტოის გავლენით რუსეთში გაბატონებული იყო ის აზრი, რომ საბავშვო ჟურნალი ამართლებს თავის დანიშნულებას, თუ ბავშვებს აწვდის „სულისთვის სასარგებლო“ საკითხავს. ეს გავლენა „ჯეჯილის“ რედაქციაზედაც გავრცელდა. რუსეთში ტოლსტოის პედაგოგიური იდეების წინააღმდეგ იბრძოდა პედაგოგთა პროგრესიული ნაწილი. არც გიორგი წერეთელი იყო ამ იდეების მომხრე, მაგრამ ისე, როგორც ანასტასიას გავლენა არა ჰქონდა „კვალის“ მიმართულებაზე, არც გიორგის ჰქონდა გავლენა „ჯეჯილის“ მიმართულებაზე, თუმცა „ჯეჯილი“ „კვალის“ დამატება იყო.

მეორეს მხრით, თუმცა ანასტასიას, როგორც „ჯეჯილის“ რედაქტორ-გამომცემელს და შთამგონებელს, რაღა თქმა უნდა, პირველი როლი ეკუთვნოდა, მაგრამ ჟურნალის მიმართულებას და შინაარს მარტო იგი ოდი განსაზღვრავდა. „ჯეჯილს“ თავისი სარედაქციო კოლეგია და გავლენიანი თანამშრომლები ჰყავდა, როგორც, მაგალითად, აკაკი წერეთელი და ზოგიერთი სხვა, ჰყავდა აგრეთვე აქტიური მომხრენი მკითხველთა შორისაც. „ჯეჯილის“ საიუბილეო ზეიმის დროს ქუთაისში ანასტასიას პორტრეტთან მდგარმა აკაკიმ წარმოთქვა: „როდესაც პატარა პრუსიამ დიდი საფრანგეთი დაამარცხა, მაშინ ყველამ აღიარა, რომ ამ გამარჯვებაში სახალხო მასწავლებელს დიდი წილი უდევდა, რომ სწავლა-განათლება ხალხის გამაღონიერებელია... რომ ანასტასია წერეთლისა ამ საქმეს ემსახურებოდა ოცი წელიწადი და მას სალამსა და ჯანმრთელობას ვუძღვნი!“ (სიტყვის შავი დაცულია მწერალთა მუზეუმში, № 56).

„ჯეჯილის“ 10 წლის იუბილეს გამო აკაკი წერდა („ჯეჯილი“, 1899 წ., № 12):

„არც ერთი ყოველთვიური ან დროგამოშვებითი გამოცემა არ ყოფილა ჩვენში ისე სათანაგრძნობო ჩემთვის, როგორც ეს

პატარა ჟურნალი. უნაკლულო ქვეყნად არა არის რა. მაგრამ ის არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საყმაწვილო ჟურნალი უხეიროდ გამოდიოდა. აბა დააკვირდით ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ჩვენ მწერლებს, გარდა გიორგი წერეთლისა და ალ. ყაზბეგისა, თუ ყველას ნაწარმოები სხვისი ნასუფრალი არ გამოდგეს. საკვირველია, რომ იგივე ავტორები, როცა საყმაწვილოს რასმე წერენ, მაშინ კი ჰითქო თავის საკუთარ კალაპოტში დგებიან, ბავშვის ბუნება და მოთხოვნილება ყველგან ერთი და იგივეა და ამიტომაც საბავშვო რამეში მიბაძვა არ ეჩხირება კაცს თვალში. ასე თუ ისე, ეს საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" შედარებით სხვებთან ნიჭიერად გამოდის; მაგრამ მკითხველი მაინც ცოტა ყავს და ამის მიზეზიც ადვილი მისახვედრია. ჩვენში ყველაფერს ჯერ კიდევ მებუკე და მეგანგაშე ესაჭიროება, თავის თავად ავ-კარგის გარჩევას ველარ ახერხებს დღევანდელი ქართველობა".

აკაკიმ თავის სიტყვებში ნათლად გამოხატა ის, რასაც ბევრი ფიქრობდა. „მე ჯერ არ შევხვედრივარ იმგვარ ქართველს დიდსა და პატარას, მშობელს და შობილს, რომ აღტაცებით არ იხსენიებდნენ „ჯეჯილის" სახელს,—სწერდა ანასტასიას ილია ალხაზიშვილი 1892 წლის 11 (23) დეკემბერს.—ხარკოვში ვიყავ და ქართველი სტუდენტობა საათობით სთვლიდა, აცა „ჯეჯილი" როდის მოგვივაო"..

როდესაც 1895 წელს ხმა გავრცელდა, ანასტასია ჟურნალის გამოცემის მოსპობას აპირებს, სახსრის უქონლობისა და საზოგადოების მხრით დაუხმარებლობის გამოო, მოსკოვის სტუდენტობამ მიმართა მას კოლექტიური წერილით. სტუდენტები ატყობინებდნენ, მთელ ოიგ თარგმნების გამოცემას ვაპირებდით ბავშვებისათვის, მაგრამ რაკი გავიგეთ თქვენი განზრახვა, გთხოვთ, არამც თუ ჟურნალ „ჯეჯილს" ნუ დახურავთ, როგორც ქართველ ბავშვებს შორის დედა-ენის პროპაგანდის ძვირფას საშუალებას, არამედ, პირიქით, გაადიდეთ იგი და ყოველთვიურად გამოეცითო. ისინი ჰპირდებოდნენ გადაეცათ ანასტასიასათვის მათ მიერ შეგროვილი მასალა „ჯეჯილში" მოსათავსებლად და მხოლოდ ამის შემდეგ ცალკე წიგნებად გამოსაცემად. თვით ასეთი „უვნებელი" გამოცემისათვის მხარის დაჭერაც კი ითვლებოდა თითქმის მთავრობის საწინააღმდეგო საქმედ.—ასე უყურებდნენ ინტელიგენციის წრეებშიაც და მთავრობის წრეებშიაც. ამიტომ სტუდენტები, უფრთხოდნენ რა თავიანთთვის არასასურველ შედეგს, სთხოვდნენ ანასტასიას—არ გაეხმაურებინა მათი გვარები და

არ გამოეცხადებინა, რომ ახალი თანამშრომლები სტუდენტები არიან[54]. (საზოგადოების დამოკიდებულებაზე „ჯეჯილისადმი“ იხ. აგრეთვე ამ წიგნის IX თავი).

ამნაირად, „ჯეჯილის“ მიმართულება შედეგი იყო იმ შეხედულებებისა და პედაგოგიური იდეებისა, რომლებიც შეესაბამებოდნენ მაშინდელი საშუალო და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის განვითარების დონეს. ეს მიმართულება შეგნებულად აირჩია „ჯეჯილის“ გარშემო შემოკრებილმა წრემ. თვით ანასტასია და მისი თანამშრომლები შეიძლება სრულიადაც არა გრძნობდნენ მიდრეკილებას რელიგიისა და სანტიმენტალიზმისადმი, მაგრამ მაინც საჭიროდ თვლიდნენ, რომ ქრისტიანული მორალის წესები და რელიგიური გრძნობა უნდა შთაენერგოს მოზარდ თაობას ბავშვობიდანვე, რათა მან შეითვისოს ეგრეთწოდებული „კეთილშობილური გრძნობანი“. რაკი ასეთ პროგრამას დაეთანხმა, ანასტასია ახორციელებდა მას იმ გულმოდგინეობით, რაც მისი ხასიათის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენდა. ანასტასიამ იცოდა, რომ ქართველი მოწინავე ინტელიგენციისა და მუშათა კლასის ნაწილი უარყოფით უყურებდა „ჯეჯილის“ მიმართულებას. ანასტასია თვით მოითხოვდა თავისი ჟურნალის პირუთვნელ კრიტიკას ავტორიტეტიანი მოღვაწეების მხრით. „სასტიკი, მაგრამ სამართლიანი კრიტიკის“ ძებნა დაიწყო ჯერ კიდევ იმის შემდეგ, რაც ანასტასიამ ჟურნალის არსებობის მესამე წელს მიიღო ვორიდან წერილი „მკითხველთა“ ხელმოწერით, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ „მოუთმენლად მოელიან „ჯეჯილის“ №№-ს მკითხველები, ჩვენი მოხუცი ღენერლობა“. ეს იყო, ალბათ, მათრახის გადაკვრა იმ მხრით, რომ სამსახურის გარეშე მყოფ ბებერ გენერლებს უყვართ გამრთობი, სანტიმენტალური და რომანტიკული წიგნების კითხვა. სერიოზულად იყო ეს წერილი დაწერილი თუ ირონიულად — ეს სულერთია, ვითარებას არა ცვლის, ვინაიდან იგი ორივე შემთხვევაში საკმაო ბიძგი იყო იმისათვის, რათა ჟურნალის რედაქცია გულხმიერად ჩაჰფიქრებოდა იმას, თუ რამდენად სწორია მის მიერ არჩეული მიმართულება. ვორიდან წერილის მიღებისას ანასტასიამ, ცოტა ხნის შემდეგ მიმართა ილია ჭავჭავაძეს თხოვნით დაეწერა კრიტიკული განხილვა ჟურნალზე. ილიამ უარი შემოუთვალა ცოლის პირით: კრიტიკას ვერ დავწერ, ქალების თავი არა მაქვს, აყაყანდებით და სხვა არაფერიო[56].

კრიტიკული განხილვა, რომელსაც ანასტასია ასე მოუთმენლად ელოდა, დაიბეჭდა პრესაში ნიკო ნიკოლაძის ხელმოწერით. ანასტასია არ იყო დაკმაყოფილებული ნიკოლაძის კრიტიკით, მაგრამ ამ კრიტიკამ მაინც რამოდენადმე იმოქმედა მასზე[57].

საყვედური მიმართულებისათვის „ჯეჯილს“ შემდგომშიაც არა იშვიათად მოუსმენია, ალექსანდრე ჯაბადარის მეთაურობით 1903—1904 წ.წ. შედგა ჯგუფი ქართული საბავშვო ჟურნალის გამოსაცემად[58]. ამ წრეში იყვნენ „ჯეჯილით“ უკმაყოფილო პირნი. წრემ მოლაპარაკება გამართა ანასტასიასთან იმ იმედით, რომ გამოიყენებდა „ჯეჯილს“ მეორე რედაქტორის (ელ. ერისთავის) და გამომცემლის (ნ. ქობულაშვილის) დანიშვნით, ასე რომ ფაქტიურად ანასტასია განაპირებული იქნებოდა, ხოლო შემდგომ, შეიძლება, სრულიად ჩამოშორებული. წრის მოლაპარაკება ანასტასიასთან და სარედაქციო კოლეგიასთან უნაყოფო გამოდგა.

„ჯეჯილის“ მნიშვნელობა წარსული საუკუნის დასასრულისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართველი ახალგაზრდობის განვითარების საქმეში უდაოდ დიდია. ანასტასიას მთავარი დამსახურება, როგორც ამ ჟურნალის დამაარსებლისა და შთამგონებლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მან მოახერხა ისეთი ბეჭდვითი ორგანოს შექმნა, რომელმაც მიაჩვია ქართველი ბავშვები დედა-ენაზე კითხვას იმ ეპოქაში, როდესაც ხელისუფლების რუსიფიკატორულს ტენდენციებს მისდევდნენ თვით ქართველი ხალხის გაბატონებული კლასები და როდესაც ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა ის-ის იყო მხოლოდ ფეხს იდგამდა. ამასთანავე ახალი ჟურნალი ისწრაფოდა დაეცვა ქართული ენის სიწმინდე. ხოლო ჟურნალის შექმნა იმ დროს, როგორც ვიცით, ადვილი საქმე არ იყო, როგორც მატერიალური, ისე ტექნიკური მხრით. ერთ-ერთმა გაზეთმა[59], რომელმაც „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს წერილი უძღვნა, აღნიშნა, ანასტასია რომ ჟურნალის გამოცემას შეუდგა, საქართველოში არამც თუ ჟურნალები არ იყო, არამედ არ იყო ხეირიანი საბავშვო წიგნებიცაო, ხოლო კლიშეები ძვირი იყო და მათი დამზადება მეტად გაძნელებულიო.

„ნობათის“ მაგალითის საწინააღმდეგოდ, ანასტასია და მისი „ჯეჯილი“ მოქმედებდნენ მხატვრული შემოქმედების მეთოდებით და არა მშრალი წერილებით, და ამით ნიადაგი მოუმზადეს შემდგომი საბავშვო ლიტერატურის განვითარებას. „ჯეჯილმა“ აღზარდა საბავშვო მწერალთა კადრები და შეუმჩნევლად ქართული წიგნი მოზარდი თაობის მოთხოვნილებად გადააქცია. „ჩვენში არ გამოსულა ამ ოცი

წლის განმავლობაში არც ერთი ცოტაოდნად თვალსაჩინო მწერალი, რომელსაც „ჯეჯილში“ მონაწილეობა არ მიეღოს“, — წერდა ერთ-ერთი ჟურნალი „ჯეჯილის“ 20 წლის იუბილეს გამო[60], — „არა ერთი და ორი მწერალი „ჯეჯილში“ თანამშრომლობით გამოიწრთო და ლიტერატორთა გუნდში ჩაიწერა. „ჯეჯილი“ იყო ამ ოცი წლის განმავლობაში მუდმივი საკითხავი წიგნი ჩვენი მოზარდი თაობისა. ამ სიღატაკის დროს, როცა ხანდახან თვეობითაც ვერ ნახავთ ახალ ქართულ წიგნს, „ჯეჯილი“ ოცი წლის განმავლობაში შეუჩერებლივ აწვდიდა გონებრივ საზრდოს ქართველ საზოგადოებას, აყვარებდა მას სამშობლო ლიტერატურას, უღვიძებდა სამშობლოსადმი სიყვარულს, აწვდიდა გონებრივ საზრდოს და ამით გზას უკაფავდა ჩვენს გონებრივ განვითარებას“.

„ჯეჯილის“ გარდა, იმავე დროს, ანასტასია უშვებდა ცალკე წიგნებსაც, ალმანახებსა და კრებულებსაც. მან მისცა ქართველ ახალგაზრდობას „ჯეჯილსა“ და ცალკეულ გამოცემებში „რობინზონ კრუზოს“ თავისი ახალი თარგმანი, რომელიც სამჯერ გამოიცა („რობინზონ კრუზო“ პირველად მარიამ ჯაჯანაშვილმა გადათარგმნა 1887 წელს), აგრეთვე რ. კიპლინგის „რიკი-ტიკი-ტავის“ თარგმანი (1908 წ.), ჩ. დიკენსის „დავით კოპერფილდის“ ნაწყვეტები (1912 წ.) ლ. ტოლსტოის „კავკასიის ტყვე“, დიადი ადამიანების ბიოგრაფიები[61], გეოგრაფიული, ეკონომიური და ეთნოგრაფიული მასალის დიდი რაოდენობა. იმ საკითხავ მასალაში, რასაც იგი ქართველ ბავშვებს აწვდიდა, დიდი ადგილი ეჭირა ხალხურ შემოქმედებას — ზღაპრებს, ლეგენდებს, უმთავრესად თედო რაზიკაშვილის მიერ გადამუშავებულებს, ანდაზებს, იგავებს და სხვ. ანასტასია ავითარებდა ბავშვებში ცოდნისმოყვარეობას, რისთვისაც აწვდიდა მათ უხვ მასალას ბუნებისმეტყველებისა, ბუნების ისტორიისა და ფიზიოლოგიის დარგებიდან; ბეჭდავდა ნაშრომებს პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაზე (1913 წ.) და ბრემის ცნობილი წიგნის „ცხოველთა ცხოვრების“ ნაწყვეტებს. ამ წიგნმა ძლიერი გავლენა იქონია თვით ანასტასიას გონებრივ განვითარებაზე ახალგაზრდობაში.

> „...მთელი ბუნება გავაცნოთ ახალგაზრდობას და თანაც მკვიდრი საძირკველი ჩავყაროთ ქართული ტერმინოლოგიისა — მომავალი თაობის შრომისათვის“, — იყო ნათქვამი ბრემის წიგნის თარგმანის რედაქციის წინასიტყვაობაში (1918 წ.).

ბევრ თავის მოთხრობასა და თარგმანში ანასტასია დაბეჯითებით ქადაგებს სიყვარულს ცხოველებისადმი.

თ ა ვ ი V

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი

ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ანასტასიასა და გიორგი წერეთლის გაცნობა. გიორგი წერეთლის პიროვნება. ანასტასიას გათხოვება. „კვალის“ წარმოშობა, საცენზურო პირობები. ქალთა სკოლა. ვანო მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძე.

განსაცვიფრებელი შრომისუნარიანობა ხელს უწყობდა ანასტასიას სათანადოდ გაენაწილებინა თავისი დრო „ჯეჯილსა“ და სხვა საქმეებს, ხელთუბნის სკოლასა, ქალთა საზოგადოებასა, წერა-კითხვის საზოგადოებას შორის. მაგრამ ესეც ვერ უკლავდა საქმიანობის წყურვილს.

1891 წელს ანასტასიამ და მისმა მეგობრებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველოები სულ არ იყო. როდესაც ჩამოთვალეს, რამდენი ქართული წიგნი მოგროვდებოდა, სამწუხარო სურათი გადაეშალათ თვალწინ. აღმოჩნდა, რომ ძლივძლობით 67 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი თუ არსებობდა[62] მთლად. წერა-კითხვის საზოგადოება ტაატით იძვროდა. ანასტასიამ და მისმა მეგობრებმა—ეკატერინე მესხმა, ანიკო არდაზიანმა, ტერეზია ხმიადაშვილისამ, ვერა ქართველიშვილისამ (მიქაბერიძის ცოლმა) შეადგინეს წრე ამ საზოგადოების დასახმარებლად საბავშვო ლიტერატურის გამოცემისა და პირველი ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მოწყობის საქმეში, ამ წრის მონაწილეებმა შეაგროვეს თავიანთ ნაცნობებს შორის და საკუთარი შინაური ბიბლიოთეკებიდან ზოგი რამ წიგნები და გახსნეს პირველი სამკითხველო, რომელსაც მალე სხვებიც მოჰყვა—კუკიაში, ავლაბარში და ვერაზე. მათ შორის მხოლოდ ვერის სამკითხველომ იბოგინა რამდენსამე წელს.

წრე ორშაბათობით იკრიბებოდა მიმდინარე საკითხებზე სათათბიროდ. თანდათანობით საქმეში სხვა ქალებიც ჩაებნენ.

„ეკატერინე გაბაშვილისა სულ მუდამ სულით და გულით იღებდა მონაწილეობას, მეტადრე ორშაბათობის კრებებში, და რა გავლენა ჰქონდა ამ კრებებს, შემდეგ პატარა ამბავს მოვიყვან,—მოგვითხრობს ანასტასია.—ერთ ქალს ვარშავაში მიეწერა ერთი სტუდენტისათვის შემდეგი: ყოველ ორშაბათობით ვიკრიბებით და ეს მოგვაგონებს იესო ქრისტეს Тайная вечеря[63]. ამ წერილისათვის პოლიციას მიუქცევია ყურადღება, გამოძიება გაეჩაღებინათ. ვიღასაც ხუმრობით ეთქვა—იქ სულ მაგდანას ლურჯაზე და სესეზე[64] ქადაგებენო. ეს ამბავი მომიტანეს რედაქციაში და მაინც და მაინც მაფრთხილებდნენ. აკაკიმ სახუმროდ გახადა: უნდა გამოვეცადე მხდალობაში და ერთ დილით გააძრახა სოფიო ციციშვილი, რომელიც რედაქციაში მუშაობდა, შემოსულიყო ჩემთან და ეთქვა, რომ ჟანდარმები მოვიდნენ და მე მიხმობენ. სხვა დროს არ ვიცი, როგორ დავუხვდებოდი იმათ, მაგრამ ახლა, რადგან მათ მაინც და მაინც მოლოდინში ვიყავი, თამამათ გავეშურე კარებისაკენ და ერთი კი ვუთხარი ჩვენებს, რომ ლაპარაკში ჟანდარმებთან ნუ გაერევით მეთქი, და რომ დავაპირე შევხვედროდი, უკანიდან მომესმა აკაკის გულიანი ხარხარი. ამ ჩემი გამოცდის შესახებ აკაკის საყვედურით შევხედე, არაფერი არ ვუთხარი, ხოლო გიორგიმ[65] კი უთხრა: „ხომ შეგრცხვა აკაკი?“

ეს წრე მოკლე ხანს არსებობდა და კრებები ორშაბათობით მოისპო. „მაჩაბელისტებსა“ და „ჭავჭავაძისტებს“ შორის ბრძოლის გამწვავებამ, „კვალისა“ და „ივერიის“ პოლემიკამ, ქართველი ინტელიგენციის ორ ბანაკად გაყოფამ, ეგნატე ნინოშვილის[66] სიკვდილმა და ახალგაზრდა ჯგუფის—„მესამე დასის“—მოვლინებამ ზემოხსენებული წრის წევრების ყურადღება მიაქცია უფრო მეტად „საბრძოლო“ საკითხებს, ვიდრე ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ჩამოყალიბება იყო. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ბევრი ცვლილება მოხდა. ანასტასიას ლოდინი არ უნდოდა, ვიდრე იმასაც გამოცვლიდნენ, და თითონვე გამოვიდა გამგეობიდან ცხრა წლის განმავლობაში მუშაობის შემდეგ. სამკითხველოს საქმე უხეიროდ მიდიოდა, ქალთა წრის წევრები ხშირად იცვლებოდნენ, მუშაობა დუნედ მიმდინარეობდა, იმ სახლის პატრონს, სადაც სამკითხველო იყო მოთავსებული, სადგომი დასჭირდა, წერა-კითხვის საზოგადოებამ არავითარი დახმარება არ გაუწია წრეს, და ვაივაგლახით შეგროვილი წიგნები ქუჩაში იქნა გადმოყრილი.

„ჯეჯილის“ ერთი თანამშრომელთაგანი იყო გიორგი ექვთიმესძე წერეთელი. ის და ანასტასია დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. გიორგი წერეთელი თბილისში პეტერბურგიდან ჩამოვიდა 1866 წელს. იგი ნიჭიერი და დიდად მშრომელი ადამიანი იყო, მთლად ლიტერატურაზე გადაგებული. ჩამოსვლისთანავე იგი მონაწილეობას იღებს თბილისის სალიტერატურო წრეებში, ხდება „დროების“ რედაქტორი და ერთერთი პროფესიონალი ჟურნალისტი, რომელთა რიცხვიც მაშინ სულ მცირე იყო. რადგან გაზეთი არსებობის სახსარს ვერ აძლევდა, გიორგი გაკვეთილებით და ყიფიანის კერძო პანსიონში მასწავლებლობით ირჩენდა თავს. 70-იანი წლების დასაწყისში გიორგი ქართულ ენას ასწავლიდა ქალთა ინსტიტუტში. ანასტასიას მამა ძველი თაობის მოღვაწეთა შორის პირველთაგანი იყო, რომელმაც ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა მწერალს. იგი აღტაცებული იყო გიორგი წერეთლის „მგზავრის წერილებით“, რომლებიც 1867 წელს დაიბეჭდა. ამ წერილებში ჰუმორული სურათები იყო გაშლილი იმერეთის ცხოვრებიდან. ანასტასიას მაშამ მოისურვა დამწყები ავტორის გაცნობა და წაახალისა იგი შემდგომი ლიტერატურული მუშაობისათვის. ამის შემდეგ გიორგი უახლოვდება თუმანიშვილების ოჯახს და თავისი მხრით დახმარებას უწევს ანასტასიას ძმას გიორგის, მაშინ 12 წლის მოწაფეს ყიფიანის პანსიონისას, საპანსიონო პოლიტიკური გაზეთის გამოცემაში ქართულ ენაზე. კერძო ცხოვრების გარდა, გიორგი ხშირად ხვდებოდა ანასტასიას საზოგადოებრივი და სალიტერატურო საქმეების გამო—ჯერ „დროების“ რედაქციაში, შემდეგ „ნობათში“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა პირველი ნომრიდანვე. ათავსებდა რა იქ ლექსად თავის ზღაპარ „ლომ-კაცს“—ფანტაზიას ისტორიული სარჩულით. ამას გარდა, ანასტასია და გიორგი ერთად მუშაობდნენ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში. დაბოლოს, გიორგი თანამშრომლობდა „ჯეჯილში“ მისი დაარსების პირველი დღიდანვე. ხანგრძლივმა თანაზიარმა მუშაობამ, ორივეს თავდადებულმა სიყვარულმა საზოგადო საქმისადმი და საერთო იდეურმა ინტერესებმა საფუძველი დაუდვეს ანასტასიასა და გიორგის მტკიცე მეგობრობას, რომელმაც შემდგომ გადააწყვეტინა მათ შეუღლებულიყვნენ. ანასტასიას არ უნდოდა დაეტოვებინა ავადმყოფი დედა და ამ გარემოებამ კინაღამ მათი შეუღლება არ ჩაშალა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მათმა ურთიერთისადმი სიმპათიის გრძნობამ სძლია და 1891 წლის ზაფხულის ბოლოს გიორგიმ და ანასტასიამ ჯვარი დაიწერეს ხელთუბნის ეკლესიაში. ამის შემდეგ ისინი გიორგის სოფლის გორისისაკენ გაემართნენ, საჩხერის

ახლო. გზად მათ შეიარეს სოფ. ბრილში—ხაშურსა და სურამს შუა—ნიკო დიასამიძისას (1845-1897), რომელიც ანასტასიას ნათესავი იყო. ნიკო თვალსაჩინო ფიგურა იყო არა მარტო გორში, არამედ თბილისშიაც. შეძლებული მემამულე, იგი არაფერს არ ზოგავდა საზოგადო საქმისათვის, მონაწილეობას იღებდა გორში ქართული თეატრის მოწყობასა და სხვა ადგილობრივ საზოგადო საქმეში, იძლეოდა ფულს სალიტერატურო გამოცემისათვის, ხოლო შემდეგ მან თავისი ქონების თვალსაჩინო ნაწილი საზოგადო და საქველმოქმედო საქმეებს უანდერძა. ნიკო დიასამიძე უახლოესი მეგობარი იყო აკაკი წერეთლისა (რომელმაც 1897 წელს მას ლექსი უძღვნა) და ვანო მაჩაბლისა. თბილისში მის ბინაზე (კონსულის, შემდ. ჟუკოვსკის ქუჩა, ჯაბაროვის სახლი) იმართებოდა სალიტერატურო საღამოები (ორშაბათობით), რომლებზედაც პოეტები თავიანთ ახალ ნაწარმოებთ კითხულობდნენ. „ბანკობანას“ დროს[67] იგი ვანო მაჩაბლის მხარეზე იყო. ფიცხი და უდრეკი ხასიათი ჰქონდა, რის გამოც იგი ზოგიერთი საგანგაშო ინციდენტის გმირი გახდა.

ანასტასიასა და გიორგის, როგორც საზოგადო მოღვაწეობის, პატივისცემის აღსანიშნავად თავის მამულში შესანიშნავი ნადიმი გამართა მთლად გორის ინტელიგენციის მონაწილეობით. ამ ნადიმზე მყოფი სოფრომ მგალობლიშვილი[68] მოგვითხრობს, რომ ნიკოს უნდოდა ეს შემთხვევა გამოეყენებინა, რათა ,,ჯეჯილს'' დახმარებოდა. მაგრამ სოფრომ მგალობლიშვილს თავის მოგონებებში ის არ უთქვამს, რაც მთავარი იყო, სახელდობრ: სწორედ აქ, ბრილში, ერთი წლის შემდეგ, 1891 წლის 6 (18) სექტემბერს შეკრებილმა თბილისისა და გორის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს საფუძველი ჩაეყარათ ახალი ყოველკვირეული გაზეთის „კვალისათის“. სტუმრებმა ხელი მოაწერეს შემოწირულების სიას — ვისაც რა შეეძლო—100-200 მანეთობით. ჩვენამდე მოღწეული შავად დაწერილი ოქმი[69] გვიჩვენებს, რომ გამომცემლად დასახული იყო გიორგი წერეთელი, რომელსაც, ყველა ნიშნის მიხედვით, ეკუთვნოდა ამ საქმის ინიციატივა, ხოლო რედაქტორად—ალექსი ჭიჭინაძე. ნიკო დიასამიძის სტუმრების გადაწყვეტილების შემდგომი ბედი გვიჩვენებს, რომ ახალი გაზეთის გამოცემის იდეა მარტო დროებითი გატაცების ნაყოფი არ ყოფილა.

ცოლის შერთვის შემდეგ გიორგიმ მოისურვა ქუთაისში დაბინავება, თავისი მამულის ახლო. მას განზრახვა ჰქონდა ანასტასიას დახმარებით ფეხზე დაეყენებინა ეს მამული. ჯერ კიდევ ადრე, ცოლის შერთვამდე, იგი ურჩევდა ანასტასიას ,,ჯეჯილის'' გამოცემა

იმერეთის დედა ქალაქში გადაეტანა, სადაც, მისი აზრით, ჟურნალი უფრო ადვილად მიაღწევდა წარმატებას. იქვე უნდოდა მას გაზეთის გამოცემაც, ვინაიდან იმეღს ამყარებდა თავის მეგობართა ჯგუფის [70] თანაგრძნობაზე. მაგრამ ანასტასიამ უარჰყო ქუთაისში გადასვლა, უმთავრესად იმიტომ, რომ ავადმყოფი დედის დატოვება ვერ გაბედა. ახლა, როდესაც შესაძლებელი გახდა გაზეთის თბილისში გამოცემა, გიორგიმ მავრა ჩასჭიდა ხელი ამ შესაძლებლობას.

,,ბრილის თათბირის'' მონაწილეებმა მიანდვეს ანასტასიას ნებართვისათვის ეზრუნა. პირველი, არაოფიციალური, ცნობის მიღებისთანავე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო თანახმაა ნებართვის მიცემაზე, ანასტასიამ ხელი მოაწერა 1892 წლის 12 (24) დეკემბერს ხელშეკრულებას სარედაქციო კომიტეტთან, რომელსაც შეადგენდნენ: აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და ივ. მაჩაბელი. იმავე დღეს მან ხელი მოაწერა მეორე ხელშეკრულებას ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძესთან, გრიგოლ დიმიტრის-ძე გაბაშვილთან, გიორგი ალექსანდრეს-ძე ბაგრატიონ-დავითაშვილთან და გრიგოლ ნიკოლოზის-ძე დიასამიძესთან (ბრილელი მასპინძლის შვილი). ყველა ისინი შეადგენენ ,,კვალის'' ,,სამეურნეო კომიტეტს''; ყველა ისინი „როგორც თავიანთი მხრით, ისე თავიანთი მემკვიდრეების მხრით, უარს ამბობენ რაიმე პირად სარგებლობაზე ამ საქმიდან'' და ყველა შემოსავალს მიაქცევენ გაზეთის გაუმჯობესებას.

ნიკოლაძის ოჯახობა და, საერთოდ, გიორგი წერეთლის პირველი ცოლის ნათესაობა კმაყოფილებით შეხვდა გიორგისა და ანასტასიას ქორწინებას, მეორეს მხრით, ლიტერატურასა და პრესაზე ახლო მდგომი ქართველი ინტელიგენცია ამ ორი მოღვაწის ცოლ-ქმრობის კავშირის საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენად თვლიდა. 1892 წლის 11 (23) დეკემბრის წერილში, რომელიც ნაწილობრივ ზევით იყო მოყვანილი, ილია ალხაზიშვილი სწერდა ანასტასიას: ,,როდესაც ხარკოვში ამბავი მოგვივიდა თქვენის ქორწინებისა, მაშინ ყველამ ვსთქვით – ახლა კი ,,ჯეჯილი'' დაპურდებაო. მართლაც იმისთანა ლიტერატურული ძალა შეერთდით, საქართველოს საბედნიეროდ, რო მოინდომოთ, ამ მთას იმ მთას ესვრით“...

გიორგისა და ანასტასიას შეუღლება მართლაც დიდად ნაყოფიერი გამოდგა: ცოლ-ქმარი, ორივე ყოველგვარი სალიტერატურო და საზოგადოებრივი გეგმებით სავსე, შეუდგა თავიანთი პროექტების

განხორციელებას გაორკეცებული ენერგიით და ერთმანეთის დახმარებით.

1892 წლის დეკემბრის ბოლოს ქართული ლიტერატურით დაინტერესებულმა სხვადასხვა პირებმა მიიღეს ასეთი მიმართვა[72]:

მოწყალეო ხელმწიფეო

ბატონო...

ნახატებიანი ჟურნალის „კვალის“ რედაქცია. 26 დეკემბრის 1892 წ. თბილისი.

1893 წელს იანვრიდან ყოველ კვირაობით გამოვა ნახატებიანი ჟურნალი ,,კვალი'', იმის დანიშნულება იქნება:

1. განავრცელოს საქართველოში და ყოველ ქართულს ოჯახში სწავლა-მეცნიერება;

2. საფუძვლიანად გამოიკვლიოს ყოველდღიური ცხოვრების ვითარება და იმის საჭიროება;

3. მისცეს მას მეცნიერების საშუალებით გარკვეული პასუხი და

4. ადვილ-გასაგები ლიტერატურის ენით შეაყვაროს კითხვა ჩვენს საზოგადოებას.

ამისთანა მძიმე საქმის ასრულებას მარტო „კვალის“ რედაქცია ვერ შეძლებს, თუ ყოველმა, სამშობლოსათვის გულშემატკივარმა ქართველმა თავისი წვლილი არ მოგვაწოდა. აი, ამის გამო რედაქცია „კვალისა“ მოგმართავთ თქვენ იმ იმედით, რომ რაკი ამ საჭიროების დაკმაყოფილებას თქვენც თანაუგრძნობთ, არ მოაკლებთ თქვენს ძვირფასს თანამშრომლობას „კვალის“ რედაქციას.

თქვენი თანამშრომლობის მოიმედე

„კვალის“ რედაქტორი ან. თუმანიშვილი-წერეთელი.

ამ მიმართვიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვალი“ იყო არა მარტო დამოუკიდებელი ჟურნალი მოზრდილთათვის, არამედ მიზნად ისახავდა ყოფილიყო ყოველდღიური ცხოვრების ამსახველიც. მაგ-

რამ ,,ჯეჯილის'' ილუსტრირებული დამატების პროგრამა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1892 წლის 21 დეკემბერს (1893 წ. 5/I) დამტკიცებული, გაცილებით უფრო სადა იყო. ამ პროგრამის პირველივე პუნქტი ამბობდა, რომ ,,კვალის'' შინაარსს უნდა შეადგენდეს ხელოვნება და სამეცნიერო წერილები უპირატესად ბუნებისმეტყველებიდან, ცნობები აღმოჩენისა და გამოგონების სფეროდან, ისტორიული და თანადროული რომანები, მოთხრობები, პიესები, ბალადები, ზღაპრები, ლეგენდები და პატარ-პატარა ლექსები. ამასთანავე, „ყველა ეს ნაწარმოები შეგუებული უნდა იყოს ბავშვთა გასაგებად". შემდეგი პუნქტები: 2—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია უპირატესად პედაგოგიური ხასიათის ნაწარმოებისა; 3. მოგზაურობა; ეპიზოდები დიად ადამიანთა ცხოვრებიდან; 4. თეატრი და მუსიკა; 5. საოჯახო მეურნეობა; 6. პარიზული მოდები და ხელსაქმე (ესეც ბავშვებისათვის?—ავტორის შენიშვნა). 7. ნარევი: ჭადრაკი და სხვ. სათამაშოები, გამოცანები და პასუხები, ხუმრობა და გართობა; 8 განცხადებანი[73].

ნამდვილად კი „კვალი" მარტო ,,ჯეჯილის'' დამატება როდი იყო—იგი იყო გიორგი წერეთლის ყოველკვირეული გაზეთი (უფრო კი ჟურნალი), რომლის მიმართულებაშიაც ანასტასია არ ერეოდა, იგი მარტო შველოდა ქმარს და საგამომცემლო საქმეს უძღვებოდა. „კვალი" რომ ,,ჯეჯილის'' ,,დამატებად" გამოდიოდა, ეს მხოლოდ განსაკუთრებული ხერხი იყო, ერთგვარი ეშმაკობა, რომელსაც გამომცემლებმა ძალაუნებურად მიმართეს ნებართვის მიღების სიძნელეთა გამო და ცენზურული შევიწროების თავიდან ასაცილებლად. დამატებაზე ნებართვის მიღება უფრო ადვილი იყო, ვიდრე დამოუკიდებელ ჟურნალზე, მით უფრო გაზეთზე. ამასთანავე, გამომცემლებს იმედი ჰქონდათ მოეტყუებინათ—და არც შესცდნენ ამ მხრივ, ყოველ შემთხვევაში, ერთ ხანს მაინც—ცენზურა, რომელიც უფრო ნაკლები სიფხიზლით დაუწყებდა ,,პოლიტიკას'' ძებნას საბავშვო ჟურნალის დამატებაში, ვიდრე დამოუკიდებელ გამოცემაში.

დროთა განმავლობაში, როდესაც თვით სინამდვილემ უჩვენა, რომ ,,კვალი'' მეტისმეტად გადასცდა იმ შეზღუდულ ჩარჩოებს, რომლებიც თავიდანვე ფორმალურად იყო დაყენებული, ანასტასია იძულებული გახდა ეთხოვნა ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოსთვის ნება დაერთო მისთვის გამოეცა ,,კვალი'' გაფართოებული პროგრამით, ხოლო ,,ჯეჯილი''—,,კვალის'' დამატებად. 1896 წლის 27 ივნისს (ძვ. სტილით) მთავარმა სამმართველომ აცნობა ანას-

ტასიას, რომ მისი თხოვნა დაკმაყოფილებულია. აქ, რომ იტყვიან ხოლმე, როლები შეიცვალა: ,,კვალი'' ძირითად გამოცემად გადაიქცა, ხოლო ,,ჯეჯილი''—მის დამატებად. ამაზე ნახევარწლით ადრე, სახელდობრ, 1896 წლის 15 (27) იანვარს, ნებადართული იყო ,,ჯეჯილის'' ყოველთვიურად გამოშვება. როლების ეს შეცვლა კინაღამ საბედისწერო გახდა ამ საბავშვო ჟურნალისათვის (იხ.ქვევით).

ოთხმოცდაათიან წლებში ანასტასიამ, ოლღა ჭავჭავაძისამ, ფროსიკო ჭიჭინაძისამ და პოეტი ვახტანგ ორბელიანის ქალმა მარიამმა განიზრახეს ქალთა პირველი ქართული სკოლის დაარსება თბილისში[74]. მათ აერთიანებდა ის რწმენა, რომ ქალები მამაკაცთა იმედზე არ უნდა იყვნენ დამყარებულნი და თითონ უნდა ფიქრობდნენ თავიანთ თავზე. ეს აზრი სრულიად ბუნებრივია კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში, ვინაიდან იქ ქალი მხოლოდ თავისთავის ანაბარადაა დატოვებული. შედგა კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ აგრეთვე ჟურავსკაია და ეკატერინე თამამშევა-ერისთავისა. კომიტეტის წევრთა ერთი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ საქმე პატარა სკოლით დაეწყოთ, ხოლო სხვები ამჯობინებდნენ, პირიქით, ცოტა დავიცადოთ და საქმე „დიდათ მოვაწყოთო''. ასე იყო თუ ისე, კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმიანობას და, პირველ ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, სახსრის ძებნას. რადგანაც თავად-აზნაურობა უკვე ინახავდა ვაჟთა ქართულ სკოლას და, ამასთანავე, ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც დიდი თანხები გააჩნდა, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი იყო, ამიტომ ქალთა კომიტეტმა დახმარებისათვის სწორედ ბანკს მიმართა. ბანკში ბრძოლა იყო გაჩაღებული ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის მომხრეებს შორის. ამის გამო საჭირო იყო მათ შორის მიხვევ-მოხვევით მოქმედება, რათა ლელო გაეტანათ: როდესაც ქალთა კომიტეტის მხარეზე ,,მაჩაბელისტები'' იხრებოდნენ, საკითხს ,,ჭავჭავაძისტები'' ფუშავდნენ და პირუკუ-პროპაგანდას პრესაში და ბანკის კრებებზე ქალები საკმაოდ ენერგიულად აწარმოებდნენ, მაგრამ ამაოდ. თვით ანასტასია მოგვითხრობს, რომ მის და მისი მეგობრების მიერ დაწყებულ საქმეს ბანკი კარგახანს პრაქტიკულად არ ეხმაურებოდა იქ გამეფებული პარტიული ბრძოლის მეოხებით. ანასტასია აღნიშნავს ორ მაგალითს იმისას, თუ როგორ ეპყრობოდნენ მაჩაბლისა და ჭავჭავაძის პარტიები ქალთა განათლების საქმეს:

,,ერთ კრებაზე, როდესაც ბანკი მოგებას უწილადებდა სკოლებს, ჩვენც მოვემზადეთ ხმა ამოგვეღო. ბევრი ხვეწნის შემ-

დეგ კატო გაბაშვილს მოუჯექ გვერდით დარბაზში და როცა დრო იყო, ხელი წავკარ, რომ ეთქვა სიტყვა. მართლაც ისე გრძნობიერად და საბუთიანად წარმოსთქვა, რომ ბევრნი ცრემლმორეულნი ტაშს უკრავდნენ, ყვიროდნენ სამართლიანად მოითხოვენ ქალების სკოლასაო. ამ დროს ესტრადიდან გადმოდგა ვანო მაჩაბელი და დაახლოებით წარმოსთქვა შემდეგი: ჩვენ ვხედავთ ქალს, რომელიც სამართლიანად მოითხოვს ქალთა სასწავლებელს, დავეხმაროთ ქალებს, გზა გავუხსნათ; ამიტომ ვაშას ძახილით უნდა მივეგებოთ და გორის ქალთა პროგიმნაზიას ხელი შევუწყოთ და მივცეთ ასი თუმანი, რომელსაც ითხოვენო. მიწა რომ გამსკდარიყო და შიგ ჩავეტანე, მგონი, ისე არ დამეცემოდა თავზარი, როგორც ახლა. შურდულივით წამოვვარდი და გავექანე კულისებისაკენ. არ მახსოვს, ვიღამაც მკითხა, სად მიბრძანდებითო. მე ვუთხარი: სილა უნდა გავარტყა მაჩაბელს მეთქი. აღარა მახსოვს რა, ვიღამაც ხელი დამიჭირა და გამომაბრუნა შემდეგი სიტყვებით: მაჩაბლებს პირობა ჰქონდათ სხვა დაპირებათა შორის გორის მარშალ სულხანიშვილთან, რომ გორის ქალთა გიმნაზიას ბანკი მისცემს ას თუმანსო. ეს თავისებური ქრთამია, რომ მაჩაბლის პარტიამ გაიმარჯვოსო. აი, როგორ უდგებოდნენ საზოგადო საქმეს! მოდი და ნუ დაჰკარგავდი რწმენას! ახლა ჭავჭავაძეების პარტიის მაგალითს მოგიყვებით. გაცხარებული კრებებია. დიდი ბრძოლა. დიმიტრი მუსხელიშვილია კრებების თავმჯდომარე. კერძოდ ამ კაცს ჩამოვუგდე ლაპარაკი, ვუთხარი, რომ ჩვენ, ქალებს, არ გვინდა რომელიმე პარტიაში მივიღოთ მონაწილეობა და იქნება მოხერხდეს და ბანკის მოგების ფულის განაწილების დროს დაგვეხმაროთ მეთქი. მან სიტყვა მოგვცა, რომ თქვენს თხოვნას პირდაპირ საზოგადოებას გავარჩევინებთო.

თეატრის დარბაზი სავსეა, ჩოჩქოლი ბევრია. ქალებს ერთმანეთისათვის ქოლგები დაურტყავთო, სიცილით ამბობენ ხუმარა კაცები. აი, ვიღაც მოდის კულისებიდან და გვეუბნება: თქვენი სკოლის საქმე კარგათ არის, ეს არის ახლა თითონ ილიამ თქვა: ქალები უნდა დავაკმაყოფილოთ, სკოლა უნდა გაიხსნასო. აი, იწყება კრება, სიტყვას ამბობს ილია, მისი პარტია ყოველწამს ტაშს უკრავს. ჩვენ გაფაციცებით ვუგდებთ ყურს. აი, სასწავლებელზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ილია გულმხურვალეთ ექომაგება ქალთა სასწავლებლის საჭიროებას და დაახ-

ლოვებით შემდეგს ამბობს: ქალთათვის სასწავლებელი ერთი ათათ უფრო საჭიროა, ვიდრე ვაჟებისა. „მე რომ ქალი მყვანდეს, ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, რადგან მხოლოდ ქალებს შეუძლიანთ ჩვენი ოჯახის გატანა''. ბევრი მშვენიერი სიტყვები წარმოსთქვა ილიამ და იმასაც კი დაგვპირდა, რომ ამ ორიოდ წლის შემდეგ ქარვასლა განთავისუფლდება ვალებისაგან და ქალთა სკოლისათვის პირდაპირ 500.000 მან. დაგვრჩება. ყველა გვილოცავს, ყველა აღტაცებაშია, ილიამ ყველას გული მოიგო, თითქოს აღარაფერი საწადელი არა დაგვრჩა რა. მაგრამ მე რაღაც ურწმუნოთ უხვდები ამ ლაპარაკს, მგონი, ეს უფრო საპატიო გამოსვლა არის, რომ მეტი თანაგრძნობა გამოეწვია ილიას პარტიას. მე მაინც ვუჩურჩულებ მუსხელიშვილს, რომ წაიკითხონ ჩვენი თხოვნა, რომ ქალთა სასწავლებლისათვის გადაიდოს ყოველწლივ 15.000 მან. მივიდა საქმე ჩვენ საკითხთან. ილიამ ითხოვა სიტყვა. ყველა ნიშნს მიგებს: შე ურწმუნო თომაო. ილია ახლა მოკლეთ აყენებს საქმეს: როგორ უნდა ახლა საზოგადოებას: გროშობით მივცეთ ამისთანა დიად საქმეს, თუ მოითმინონ და ამ ორ წელიწადში პირდაპირ ქარვასლის შემოსავალი მოხმარდეს მაგ საქმეს. საზოგადოება ხმას არ იღებს, ჩოჩქოლია. ბოლოს კიდევ ილია აყენებს კითხვას: თვითონ კომიტეტის თავმჯდომარეს კნ. მ. ვ. ორბელიანისას ვკითხოთო. პატარა ხნის შემდეგ მოისმის დარბაზში წრიპინი: „რასაც ილია ბრძანებს, იმას ვეთანხმებით". შედეგი ის მოჰყვა, რომ სკოლის დაარსებას თითქმის სულ ვერ მოვესწარით.

არ ვიცი, ამ პარტიების შესახებ რას იტყვის ისტორია, მხოლოდ აქამდის არ არის გამორკვეული, სიმართლე ვის მხარეს იყო და ბანკს კი ახლა დაკარგული აქვს ყოველივე მნიშვნელობა. რომ ამ ქიშპობამ ბევრს ასწავლა ლაპარაკი, მისცა გამოცდილება, ამაში ეჭვი არ არის. საზოგადოდ ვანო მაჩაბელი ყოველთვის თავის მოპირდაპირის წინააღმდეგ მშვენივრათ საბუთიანად დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს, მაგრამ მერე დაიწყებდა ღელვას, აერდაერეოდა საბუთები და საძაგლათ დაამთავრებდა ლაპარაკს. ილიას საქმე კი სულ სხვა იყო. ზანტათ, თითქოს უხალისოთ მოჰყვებოდა და ბოლოს ისე გაათავებდა სიტყვას, რომ ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. ილიას დასახასიათებლათ მოვიყვან აქ ერთ მაგალითს: დარბაზი სავსეა, საზოგადოება ღელავს. აბა, ვნახოთ, ილია როგორ გაიმართლებს თავსო.

წამოდგენ საბუთებით ხელში მისი მოწინააღმდეგენი. მამულების დაფასების დროს აშკარა ბოროტმოქმედებაა. ილიას გამტყუნება ზედიზედ წარმოადგინეს. ილია ცდილობს ზანტათ კოლოები მოიშორიოს. გრძელდება საქმე. ილიას გამტყუნება აშკარაა. ამ ბრალდებებისაგან თავის დახწევა ყველას შეუძლებლათ მიაჩნია. წამოიწია წინ ესტრადაზე ილიამ საზოგადოებისაკენ, თხოულობს უკანასკნელ სიტყვას. სისინებენ, არ აცლიან ლაპარაკს — გვიან არის, უდროვოაო, ყვირიან. სამის ნახევარია.—დასჯილსაც მიანიჭებენ უკანასკნელ სიტყვას,—ამბობს წარბშეუხრელათ ილია.—არ არის საჭირო, გვიან არის, გვიან!— ილია საათით ხელში წინ წამოიწევს.—ათი წუთი საკმარისია, მხოლოდ ათი წუთი! ხალხი გარეთ იწევს.—უსამართლობაა, უნდა მივცეთ სიტყვა! — ყვირიან. ჩამოვარდა სიჩუმე. ილია ისევ წინ დგას, ისევ ისე საათი უჭირავს ხელში. რა ტრიალებდა მის გულში, არ ვიცოდით. გარეგნობით შორიდან მშვიდად იყო, სახეზე მკრთალი ფერი ედო, იქნება თვითონ დარბაზი აძლევდა ამ ფერს. მოისმის კიდევ დარბაზში: „ვნახოთ, თავს როგორ გაიმართლებს“. „დაჩუმდი, შე ჩოხოსანო გორელო!“,— ხმას აწყვეტინებენ სხვები. ილია ლაპარაკობს, საბუთებს დალაგებით აბათილებს, განძრახვით მოყვანილ მოჩივრებს სიმტყუნეს უმტკიცებს. საათი ისევ ხელში უჭირავს. გადის ნახევარი საათი, თითქმის ოთხი საათი სრულდება. დარბაზში ბუზის ფრენაც კი მოისმის, ილიას სიტყვებით მოჯადოებული ხალხი არ იძვრის ადგილებიდან... ბოლოს ილიამ გაათავა ლაპარაკი. აღტაცებას და კმაყოფილებას ბოლო არა აქვს. კრება დაიშალა. ვაშა-ვაშას ძახილით ხალხი ეგებება მის გამოსვლას. მხოლოდ მაჩაბლების სისინი კიდევ მოისმის“.

პირველი ქართული ქალთა კერძო სკოლის საფუძვლის ჩაყრისათვის ანასტასიასა და მის მეგობრებს მოუხდათ არა მარტო მატერიალური ხასიათის სიძნელეთა გადალახვა, არამედ აგრეთვე სხვა ხასიათის დაბრკოლებათა დაძლევაც: თუმცა მაშინდელი კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი ცდილობდა თავი ისე ეჩვენებინა, ვითომც იგი ქართველების მეგობარია, მაინც სკოლებში საგნების ქართულ ენაზე სწავლების ნებართვის მიღება თითქმის შეუძლებელი საქმე იყო. ანასტასია კი მისთვის ჩვეული დაბეჯითებით იქითკენ მიისწრაფოდა, რათა პირველ სამს კლასში საგნების სწავლება უსაფუძოდ დედა-ენაზე ყოფილიყო.

საზოგადო მოღვაწე-ქალის ოლღა კაიდანოვას ხელმძღვანელობით რუსმასწავლებელ-ქალთა ჯგუფს პატარა სკოლა ჰქონდა ვერაზე, წყაროს უბანში, ორივე სქესის „ქუჩის“ ბავშვთათვის. ეს სკოლა ქალაქისაგან „სუბსიდიას“ იღებდა—წელიწადში 200 მანეთს. დადგა ისეთი მომენტი, როდესაც, სახსრის უქონლობის გამო, სკოლა უნდა დახურულიყო. ეს მოხდა 1902 წელს. ანასტასიას ინიციატივით მან და მისმა მეგობრებმა (ნინო და მარ. ბარათაშვილი, ეკ. მესხი, ვ. მიქაბერიძე, ელ. ყაზბეგი, უგრელიძე, კოლუბნელი, ა. თიკანაძისა და სხვ.) მოლაპარაკება გამართეს კაიდანოვასთან მათთვის სკოლის გადაცემაზე, კაიდანოვამ დაუთმო მათ მიწის ნაკვეთი (რომელზედაც შემდგომ მასწავლებელ-ქალთა საზოგადოებამ ააშენა თავშესაფარი მოხუცებულ პედაგოგ-ქალთათვის) და სკოლა, რომელსაც დაერქვა ყაზბეგის სკოლა, იმ ქუჩის სახელწოდების მიხედვით, რომელზედაც სკოლა იყო.

ყაზბეგის სკოლა იყო სწორედ დაწყებითი ქალთა სასწავლებელი, რომლის გახსნაც მოახერხეს ანასტასიამ და მისმა მეგობრებმა მრავალი დაბრკოლების მიუხედავად.

არა ერთი და ორი კონფლიქტი ჰქონდა ანასტასიას კავკასიის ადმინისტრაციასთან იმის გამო, თუ რა ენაზე უნდა ყოფილიყო ამ სკოლაში სწავლება. მაინც ბოლოს, 1908 წლის 1 მაისს, მთავრობამ სკოლა დახურა.

გაიარა მცირე ხანმა და ანასტასიამ უკვე შექმნა ქალთა ახალი წრე, რომელმაც შემდეგ დააარსა საზოგადოება „განათლება“.

თ ა ვ ი VI

„კ ვ ა ლ ი“

„კვალის“ გამოცემის პირველი წლები. რედაქციის სადგომი, მუშაობის ვითარება. უმიკაშვილი. პოლიტიკური მდგომარეობა და ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მესამე დასელების ხელში „კვალის“ გადასვლა. გიორგი წერეთლის სიკვდილი. დევნა ცენზურის მხრით. „კვალისა“ და „ჯეჯილის“ დახურვა.

თბილისში მიმავალ ერთ პროვინციელს მეგობარმა ლიტერატორმა მიანდო თურმე საქმე ანასტასიასთან. უგერგილობით დაემართა ამ პროვინციელს, თუ დაეზარა მინდობილობის აღსრულება—არავინ იცის, ხოლო დაბრუნებისას უთხრა მან თავის მეგობარს—შენი დავალება ვერ შევასრულე, რადგანაც „ჯეჯილის“ რედაქცია ვერ ვიპოვნეო.

პირიქით, ანასტასიას ბინის პოვნა, მაშასადამე, „ჯეჯილისა“ და „კვალის“ რედაქციისა და კონტორისაც (ყოველივე ეს ერთად იყო მოთავსებული) სულ ადვილი საქმე იყო. გოლოვინის (ახლა რუსთაველის) პროსპექტით ვერისაკენ მიმავალს უნდა ჩაეხვია მარჯვნივ კადეტთა (ახლა კურსანტთა) მოკლე ქუჩაში, კადეტთა კორპუსსა და მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ახლანდელ შენობას შუა, შეეხვია მარცხნივ და გასულიყო არტილერიის ქუჩაზე, მეტად მშვიდ და წყნარ ქუჩაზე, თუმცა იქვე ახლო იყო მთელი ქალაქის მოძრაობის მთავარი არტერია. არავითარი მოძრაობა: არც ეკიპაჟებისა, არც ცხენოსნებისა, გამვლელ-გამომვლელიც ძალიან იშვიათად თუ გამოჩნდებოდა.

აი, ამ ქუჩაზე № 5 სახლში დასახლდნენ ანასტასია და მისი ქმარი.

მაგრამ, ვიდრე აქ გადმოვიდოდნენ, „ჯეჯილის“ რედაქციამ, ხოლო შემდეგ „კვალისამაც“, რამდენიმე სადგომი გამოიცვალა: 1892 წლამდე „ჯეჯილი“ მოთავსებული იყო თუმანიშვილიანთ ბინაზე ბარიათინსკის (ახლა ჯორჯიაშვილის) ქუჩაზე №8 (ახლა № 6) სახლში; 1892 წლიდან—წითელგორის ქუჩაზე, ნაზაროვის სახ-

ლში № 7; 1893 წლის ნახევრიდან „ჯეჯილი“ და „კვალი“ მოთავსებული იყო დიდ-წყალსაზიდის ქუჩაზე, აივაზოვის სახლში, № 22, 1895 წელს—არტილერიის ქუჩაზე, თამამშევის სახლში, ხოლო 1898 წლის ნახევრიდან—აქვე, № 5 სახლში, რომელიც შეიძინა ანასტასიამ ძმების დახმარებით და ბანკში დაგირავებით. ამ სახლში ორივე გამოცემა მოთავსებული იყო იმ დრომდე, ვიდრე დაიხურებოდა. ხოლო ანასტასია სიკვდილამდე ცხოვრობდა.

ორსართულიანი სახლის დიდი ნაწილი მდგმურებს ეჭირათ, ხოლო დანარჩენ ოთახებში ცხოვრობდა გიორგი წერეთლის ოჯახი. რათა გიორგისა და ანასტასიას სადგომში მოხვედრილიყავით, უნდა შესულიყავით ეზოში თუჯის ჭისკარით, გაგევლოთ სახლის თაღებქვეშ, შეგეხვიათ მარცხნივ და ბნელი კიბით ასულიყავით მეორე სართულში. ეზოში გადაკიდული, ერთმანეთზე გადასასვლელებით გადაბმული ორი აივნის გასწვრივ მდებარე ოთახებში ცხოვრობდა გიორგი წერეთელი ცოლითა და შვილებით. აქვე იდგა „ჯეჯილის“ მდივანი სოფიო ციციშვილისა; აქვე თითქმის ყოველთვის ნახავდით სტუმრად ჩამოსულს ვისმე—გიორგის ნათესავს. „ჯეჯილ-კვალის“ სარედაქციო ოთახებსა და, საერთოდ, ბინას შორის გარკვეული გამიჯვნა არ არსებობდა და რედაქცია თავის „ტერიტორიალურ უფლებას“ ავრცელებდა ყველა ოთახზე, სასადილოს გარდა. თუმცა აქაც ერთმანეთის გვერდით თავსდებოდნენ სხვადასხვა საოჯახო საგნები და საჭმელ-ტკბილეული — სხვადასხვა მურაბები, ზამთარში გოზინაყიც—და გროვ-გროვად დაზვინული ძველი ჟურნალ-გაზეთები. ბინის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად ითვლებოდა—„სასტუმრო“, სადაც ტახტის წინ მდგარ, იქვე ტალანიდან შესავალი კარების ახლო, მრგვალ მაგიდასთან მასპინძლები ესაუბრებოდნენ ხოლმე თავიანთ სტუმრებს. აქვე ხდებოდა სარედაქციო თათბირები და საქმეზე მოსულთა მიღება. აივნის მხრით ამართულ კედელთან, აივანზე გასასვლელი კარითურთ, იდგა საწერი მაგიდა: აქ იყო, ასე ვთქვათ, რედაქტორის „კაბინეტი“. მაგიდაზე და კედლებზე საკმაოდ იყო გამოფენილი ფოტოგრაფიული სურათები. მთლად „რედაქციაში“ უხვად იყო გაფანტული ჟურნალები, გაზეთები, წიგნები და ყოველთვის ზევით იდვა ფრანგული ჟურნალის „Illustration“-ის ნომრები.

მნახველნი ანასატასიასა და გიორგის ყოველთვის მრავლად ჰყავდათ. მათ შორის მუდამ იყვნენ პროვინციიდან ჩამოსულები, რომელთაც მასპინძლები ყოველთვის გულღიად და სიამოვნებით ხვდებოდნენ. ასევე ხვდებოდა მათ ერთგული და თავდადებული მაია—გამდელი, რომელიც მრავალწლობით მსახურობდა ამ ოჯახში. გარეგ-

ნობით თითქო მკაცრი და გულჩათხრობილი, ნამდვილად კი კეთილი და მოსიყვარულე მაია უვლიდა და პატრონობდა ანასტასიას და გიორგის ისევე ერთგულად, როგორც წინათ ძიძაობდა გიორგის ბავშვებს, რომლებიც უკვე მოზრდილნი იყვნენ.

რადგანაც ანასტასიასა და გიორგის „ჯეჯილისა“ და „კვალის“ გარდა კიდევ ბევრი სხვა საზოგადოებრივი ინტერესიც ჰქონდათ, ამიტომ მათ ბინაზე მიმსვლელი ყოველთვის ბლომად იყო, სხვათა შორის „საქმეზედაც“. ლიტერატორები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები მოდიოდნენ აქ სასაუბროდ ამათუიმ ლიტერატურულ თემაზე, პოლიტიკაზე, ან ისეც, სანახავად, ჩაიზე შესაქცევად, დასასვენებლად. აქ ხშირად ნახავდით აკაკი წერეთლის ბრგე, მონუმენტალურ ფიგურას. ის რომ დაჯდებოდა ხოლმე თავის საყვარელ ადგილას კედლის გასწვრივ მდგარ ტახტზე მრგვალ მაგიდასთან, შემოკეცავდა ცალ ფეხს მეორის ქვეშ და ლომის ფაფარივით აქოჩრილ თავს კედლის ხალიჩას მიაყრდენდა, გეგონებოდათ მთელი ტახტი მარტო იმას უჭირავსო.

აქვე ხშირად თავს იყრიდა ახალგაზრდობა, ვითომდა სარედაქციო საქმეების გამო, ნამდვილად კი პოლიტიკურ საკითხებზე საკამათოდ. ამავე ბინაზე იმართებოდა ხანდახან მუშათა „ავჭალის აუდიტორიაში“ მოთამაშე სცენისმოყვარეთა რეპეტიციები.

ოთხმოცდაათიანი წლების ნახევარში აქ წარმოიშვა და მომწიფდა საერო ფონდის შექმნის აზრი. სხვადასხვა ეროვნული საქმეების დასახმარებლად ფონდის შექმნის იდეა დიდი ხანია ინასკვებოდა გიორგისა, აკაკისა და მათი მეგობრების თავში. საჭირო იყო მხოლოდ ბიძგი რამ, რათა იდეა რეალიზებულიყო საქმედ. ასეთმა შემთხვევამაც თავი იჩინა, როდესაც ერთხელ „კვალის“ რედაქციაში გამოცხადდნენ აღელვებული სემინარიელები, რომელთაც განაცხადეს, რომ ისინი გამოყარეს სემინარიიდან და რომ ლუკმა პური არ გააჩნიათ. გიორგიმაო—როგორც ამბობდა ანასტასია—უზომოდ აღელვებულმა, ქუჩას მიაშურა და, ნახა რა იქ რამდენიმე ნაცნობი, სთხოვა მათ შეეწირათ სემინარისტების სასარგებლოდ ვისაც რა შეეძლო. ანასტასიასა და გიორგის ბინაზე გაიმართა თათბირები მუდმივი ფონდის დასაარსებლად ამგვარი შემთხვევისათვის. რადგანაც მეფის მთავრობა ნებას არ დართავდა, რომ ასეთი ფონდი შექმნილიყო, ამიტომ საქმის ლეგალიზაციისათვის გადაწყვიტეს, ვითომც ფონდი ოფიციალურად იქმნება ზეპირსიტყვაობის მასალის შესაგროვებლად. აკაკი გამოვიდა პრესაში მოწოდებით შემოწირულების თაობაზე. შეგროვილი თანხა „კვალის“ რედაქციაში ინახებოდა იმ დრომდე,

ვიდრე ანასტასია იძულებული არ გახდა გადაეცა იგი აკაკისათვის ამ უკანასკნელის თანამოაზრეთა გავლენით. მათ უნდოდათ გამოეცათ ახალი ჟურნალი, სადაც დაიბეჭდებოდა ხალხური შემოქმედების ნიმუშები.

ოთხმოცდაათიან წლებში „კვალისა“ და „ჯეჯილის“ რედაქცია აგროვებდა აგრეთვე მეორე ფონდს, რომელიც „ირაკლის ფონდის“ სახელწოდებას ატარებდა. ამ ფონდის დანიშნულება—ევროპაში სასწავლებლად ახალგაზრდების გაგზავნა იყო. ამ ფონდის მონაწილეთა შორის მომხდარმა უთანხმოებამ გამოიწვია ფონდის ლიკვიდაცია. ევროპაში გაგზავნილ იქნა მხოლოდ ერთადერთი სტუდენტი—„კვალის“ თანამშრომელი, ხოლო ფონდის ნაშთი—600 მან.—ანასტასიამ—ამ ფონდის მდივანმა—„განათლების“ სკოლისათვის სახლის ყიდვას მოახმარა.

ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, როდესაც „კვალში“ თვალსაჩინო, ხოლო შემდეგ დომინირებულ როლს მესამე დასელების უმრავლესობა თამაშობდა, სახსარზე მზრუნველობა ნაწილობრივ მათ ჰქონდათ დაკისრებული. მაგრამ „კვალის“ არსებობის პირველი 6-7 წლისა, „ჯეჯილის“ კი მთელი ხნის განმავლობაში (ამ ჟურნალის განათლების საახალხო კომისარიატის ხელში გადასვლამდე) ამ ორივე გამოცემის მატერიალურად უზრუნველყოფის მთელი სიმძიმე ანასტასიას მხრებს აწვა. ამხანაგი ფილიპე მახარაძე ანასტასიას ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში [75]. მოგვითხრობს სხვათა შორის შემდეგს: „როცა მე პირველად გავიცანი ეს ოჯახი (დაახლოვებით 1895—96 წ.), „ჯეჯილის“ და „კვალის“ გამომცემლობის საქმე ფინანსიურად განიცდიდა დიდ გაჭირვებას. შემოსავალი ხელის მოწერიდან არც ერთ ჟურნალის ხარჯებს არ ფარავდა. ამიტომ ანასტასია იძულებული ხდებოდა გამოენახა სხვა რამე წყარო. გ. წერეთელი ამ საქმეებში თითქმის არ ერეოდა.

თითოეული ნომრის გამოსვლის წინ, რამდენიმე დღით ადრე იწყებოდა წუწუნი. ირღვეოდა მშვიდობიანობა ნომრის დახსნისათვის სტამბიდან და სტამბის მუშების გასასტუმრებლად. არ მახსოვს, რომ უდავიდარაბოთ ერთი ნომერი გამოსულიყოს, რადგანაც სამყოფი თანხა არასოდეს არ იყო. მაგრამ, როცა ვაი-ვაგლახის შემდეგ უკვე დაბეჭდილი და დახსნილი ნომერი მოტანილი იყო რედაქციაში, რომელსაც წარმოადგენდა ანასტასიას და გიორგი წერეთლის საცხოვრებელი ბინა, მაშინ უნდა გენახათ, რა სიამოვნებას გრძნობდნენ ყველანი, ოჯახის ყველა წევრები თანამშრომლებთან ერთად. ამ თანამშრომლებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა სოფიო ციცი-

შვილი. რა სიცილით და ჟრიამულით შეუდგებოდნენ ყველანი, დიდი და პატარა, ჟურნალების კეცვას, მისამართების წერას, დასარიგებლად თუ გასაგზავნად მზადებას. ეს პირდაპირ მთელი დღესასწაული იყო. შემდეგ კვლავ იწყებოდა გაფაციცებული მუშაობა ახალი ნომრის შესადგენად. დიდ დაბრკოლებას აქ ჰქმნიდა ცენზურა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ცენზორის წითელი მელანი შლიდა აწყობილ ჟურნალის მეოთხედს, მესამედს და ნახევარსაც კი. აუცილებელი ხდებოდა შევსება, ახალი წერილების დამზადება. იყო შემთხვევები, როცა ცენზორის მიერ ამოღებული წერილის მაგიერ, რათა ნომრის გამოსვლა არ შეჩერებულიყო, რაიმე სრულიად შეუფერებელ სურათსაც კი ათავსებდენ ჟურნალში".

მართლაც, ანასტასია, რომ იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამდა, რათა როგორმე მოეგვარებინა „დამატების" საქმე და ხშირად თავისი სახლის დაგირავებას მიმართავდა ხოლმე გამოცემისათვის საჭირო ფულის საშოვნელად. გიორგი წერეთელი შესჩიოდა 1894 (11 (23) დეკემბრის წერილში) სოფრომ მგალობლიშვილს „კვალის" უხეირო მატერიალური მდგომარეობის გამო [76], „ხომ იცი რედაქცია და მისი ამბავი. შენ ძმობას გეფიცები, აქამდის ჯერჯერობით ტასოს ჯიბიდან გასულა საკუთარი მისი ფული ორას ორმოცდა ათი თუმანი, აწი რა იქნება, ღმერთმა უწყის".

თვით ანასტასია, ცოტა ხნის შემდეგ (1895 წლის 31 იანვარს—12 თებერვალს) ატყობინებდა ხელთუბანში თედო რაზიკაშვილს „ჯეჯილისა" და „კვალის" მდგომარეობას: „თუ იკითხავ „კვალის" ამბავს, წრეულს ამ 1895 წელს ასი ხელის მომწერით მეტი გვყავს, მაგრამ „ჯეჯილი" კი სანუგეშო მდგომარეობაში არ არი. თანდათან აკლდება ხელის მომწერი და, რასაკვირველია, თანამგრძნობლებიც. ვერა მიღონია რა და არ ვიცი რა ვქნა? ამ წუწუნით თავი მოგაბეზრე და დეე ახლა ახალთაობამ მოგწეროსთ რაც უნდათ".

1897 წლის 30 ოქტომბერს (11 ნოემბერს) ანასტასია სწერს იმავე თედოს: „ჯეჯილის" ამბავი რაღა გითხრათ, ხელის მომწერები ორასიც არ იქნება, არც სამოსწავლო ოლქისაგან მოწოდება და არც მგონი ეპარქიისაგან მიღებამ ვეღარა უშველოს".

თუმცა ანასტასიას უშუალო გავლენა არა ჰქონდა „კვალის" ლიტერატურულ საქმეებზე, მაგრამ გულმტკივნეულად ეკიდებოდა ყველაფერს, რაც ამ ჟურნალს ეხებოდა. ინციდენტი ისეთ გულმართალ და პატიოსან ადამიანთან, როგორიც იყო ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი (1838—1904) გვიჩვენებს, თუ რა მწვავედ ეხმაურებოდა ანასტასია იმ საკითხებს, რაც „კვალის" ინტე-

რესებს ეხებოდა. უმიკაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილის[77] სიტყვით, გაკვირვებული იყო იმის გამო, რომ „კვალმა“ „განდევნა „ს“ და „ჰ“ ქართული ზმნებიდან. „კვალის“ მართლწერას ვერ ურიგდებოდა.—მის ხელნაწერებშიც,—ამბობს ფ. გოგიჩაიშვილი—ვპოულობ მაშინდელ ასეთ შენიშვნას: „სხოლასტიკა იცით, რაც არის—იგი ბუნების კანონს კი არ უყურებს, რაღაც განყენებულ მოსაზრებაზეა დამყარებული. რათ გინდათ, რომ სხოლასტიკური მართლწერა შემოგაქვთ? თქვენ სწერთ: მიცა—მისცას მაგიერ, დაწვდა—დასწვდა მაგიერ, დია—სდიას მაგიერ, კრა—ჰკრას მაგიერ და სხვ“.

და აი, 1895 წლის ოქტომბერში (6—18 ოქტ.) უმიკაშვილს მოსდის ანასტასიასაგან წერილი: „ეს სამი კვირაა შეწუხებული ავადმყოფი ვარ და სულ იმას ვწუხდი, რომ ვაი თუ ამიტყდეს რამე და ვერ მოვასწრო გამოგიცხადოთ ჩემი გულითადი ზიზღი, ბატონო უმიკაშვილო, იმაზე, რომელიც თქვენ გამოიწვიეთ უკანასკნელ სხდომაზე წერაკითხვის საზოგადოებისა. იმის მაგიერათ, როგორც შეშვენის პატიოსანს კაცს, რომ პირადათ მოგელაპარაკნათ გიორგი წერეთელთან მართლწერის შესახებ, რომ მთელი ბათუმის საზოგადოება „კვალის“ წინააღმდეგიაო, როგორც მაშინ თქვენა ბრძანეთ, თქვენ მობრძანდით კრებაზე, სადაც იცოდით, რომ უმეტესი ნაწილი „კვალის“ წინააღმდეგ იყვნენ, და დაიწყეთ დაცინვა და ოხუნჯობა, ვითომდა მთელი ბათუმის მაზრის აზრს ეუბნებოდით ყველას. თქვენ მაშინ ღირსი იყავით სილის შემორტყმისა, ხელიც გავიწვდინე, მაგრამ ბოლოს თავი შევიკავე. ეს ჩემი ნაწერი შეინახეთ თქვენ არხივში დოკუმენტებთან, გამოგადგებათ, როგორც აზრი „კვალის“ რედაქტორის ანასტასია წერეთლისა“.

ჩვენი უმიკაშვილიც დამორჩილებია გაჯავრებულ ანასტასიას და მართლაც დაუტოვებია მისი წერილი თავის არქივში. გიორგი წერეთელი განაგრძობდა მეგობრობას უმიკაშვილთან ინციდენტის შემდეგაც, დადიოდა მასთან და 1897 წლის 31 დეკემბერს (1898 წ. 12 იანვარს) მას იგი წერილობით მიუწვევია თავისთან ახალი წლის შესახვედრად. „ამიტომ—დასძენს ფ. გოგიჩაიშვილი—როდესაც მან (უმიკაშვილმა) მომწერა (1897 წ.) „კვალის რედაქციაში ვერ დავდივარ, რადგან ამ ორი წლის წინათ ანასტასიასთან უსიამოვნება შემემთხვაო“, მე ხუმრობით შევეკითხე: არშიყობა ხომ არ დაუწყე ანასტასიას და ამისთვის არ გაგიწყრა მეთქი, თუმცა არშიყობისა და მიჯნურობის ასაკს მაშინ ერთიც და მეორეც, ყოველ შემთხვევაში პეტრე, გვარიანად გადაცილებული იყო. და იგი მწერდა პასუხად: „შენ რომ უმზრახობაზე მოგწერე ანასტასიასთან, წერეთ-

ლის ცოლთან, სულ გადაბრუნებულად გესმის, მიზეზი „ს“-ის გამოკლება იყო ზმნაში. ერთ კრებაზე გავეხუმრე: ბათუმში ამბობენ მეთქი, რომ ცოლქმარს კბილები ჩასცვივნია, „ს“ ვერ გამოუთქვამთ და „კვალსაც“ ჩააბეჭდეს თავისი ნაკლებულობა. ამაზე ტასო გაწყრა და გამლანძღა. ახლა შევრიგდით, ახალწლის ღამეს გიორგიმ მიმიწვია (მიწვეული ვიყავი აგრეთვე ილია ჭავჭავაძესთან). ამ ღამეს მე არსად მინდოდა წასვლა: მეორე დღეს ვნახე ტასო... და ხელზე კოცნით მოვიბოდიშე“[78].

არსებობის პირველ წლებში „კვალს“ გარკვეული მიმართულება არა ჰქონდა. მასში დიდხანს თანაშშრომლობდნენ სხვადასხვა შეხედულების მქონე ახალგაზრდა ლიტერატურული ძალები. ხოლო 90-იანი წლების ნახევრიდან, რუსეთში რევოლუციური განწყობილების განვითარებისა და მუშათა კლასის გაძლიერების პარალელურად კლასობრივმა ბრძოლამ, რომელსაც თან სდევდა იდეოლოგიურ-თეორიული ბრძოლა, მწვავე ხასიათი მიიღო საქართველოშიაც. აქ წარმოიქმნა მუშათა მასობრივი მოძრაობა გაფიცვებით, ქუჩაში დემონსტრაციებით, ტერორისტული აქტებით თვითმპყრობელობის მსახურთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ. საქართველოში ბრძოლა იყო არა მარტო გარეშე ძალთა წინააღმდეგ, არამედ იგი აგრეთვე მწვავედ გამოიხატა თვით ქართველი საზოგადოების შიგნითვე. ჯერ კიდევ „კვალის“ გამოცემის პირველ წლებში, ქართველ და სომეხ ინტელიგენციას შორის აღძრული ნაციონალისტური ბრძოლის დროს, გიორგი წერეთელმა მოუწოდა ორივე ერის ახალ თაობას ერთობისაკენ. უკვე ამ დროიდან „კვალსა“ და „ივერიას“ შორის გაჩაღდა პოლემიკა ნაციონალური საკითხის გამო. ხოლო ახლა ეს პოლემიკა „კვალისათვის“ გადაიქცა სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლად „თავიანთი“ ნაციონალისტების წინააღმდეგ.

მასობრივი მოძრაობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ნაწილობრივ შედეგი იყო რეაქციის უდიერობისა. ხოლო რაც უფრო ძლიერად იღვიძებდა საზოგადოების თვითშეგნება, მით უფრო ძლიერად აფთრობდა რეაქცია. პრესისა და ადგილობრივი საზოგადოების დევნა; გამარუსებელი ღონისძიებანი; „ტუზემცების“ შევიწროება სამსახურში; მთავარმართებლის გოლიცინის სულელური თავნებობა; ველიჩკოს ხელმძღვანელობით ოფიციალური ორგანოს „კავკაზის“ „საქმიანობა“— ყოველივე ეს, ერთად აღებული, ჰქმნიდა XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებსა და XX საუკუნის პირველ წლებს ქარიშხლისა და მწვავე ბრძოლის ეპოქად. რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის დამარცხება, რამაც თვალნათლივ უჩვენა ხალხს, თუ რა ზომამდე იყო

დამპალი თვითმპყრობელობითი წყობილება, ცეცხლზე ნავთის დასხმად გამოდგა. მთელი სახელმწიფო ჭექა-ქუხილის წინაშე იდგა.

რეპრესიები ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ, რაღა თქმა უნდა, „კვალსაც“ უნდა შეხებოდა. უკვე 1897 წელს „კვალის“ სარედაქციო საქმეებში თვალსაჩინო გავლენა ჰქონდა ახალგაზრდობის იმ ჯგუფს, რომელსაც გიორგი წერეთელმა „მესამე დასი“ უწოდა [79]. 1898 წელს ამ ჯგუფმა—უმრავლესობამ—დომინირებული მდგომარეობა დაიჭირა „კვალში“.

1899 წლის ნოემბერში გიორგი წერეთელი ავად გახდა და 1900 წლის 12 (25) იანვარს გარდაიცვალა. მძიმე სულიერმა მდგომარეობამ, რასაც ანასტასია განიცდიდა გიორგის სიკვდილის გამო, ვერ შეაჩერა მისი მუშაობა—„ჯეჯილიც“, „კვალიც“ და ყველა სხვა საზოგადოებრივი საქმე განაგრძობდა არსებობას. ცოტა ხნით, თავის გერთან ერთად, ჯერ ბორჯომსა და შემდეგ ხელთუბანში წასვლის შემდეგ, ანასტასიამ კვლავ მოჰკიდა ხელი ყველა თავის საქმეს. მართალია, უკანასკნელ წლებში გიორგი ისეთ აქტიურ მონაწილეობას აღარ იღებდა „კვალის“ საქმეში, როგორც წინათ, მაგრამ მაინც მისმა სიკვდილმა ანასტასიას წინაშე დააყენა საკითხი მათი საერთო წაჭირნახულევის არსებობის თაობაზე. ახალგაზრდობის ჯგუფმა, რომლის ხელშიაც „კვალი“ ფაქტიურად უკვე ორი-სამი წელიწადი იყო, შეიძინა ეს გაზეთი ანასტასიასაგან, ხოლო დაბეჯითებით მოითხოვა, რომ, ტაქტიკური მოსაზრებების გამო, ხოლო უფრო იმიტომ, რომ მთავრობა ახალ რედაქტორს არ ამტკიცებდა,—ანასტასია დარჩენილიყო ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემლად. ანასტასია დასთანხმდა. ამრიგად, 1900 წლის 13 (25) ოქტომბერს ამ ჯგუფსა და ანასტასიას შორის დაიდვა ხელშეკრულება. 1902 წელს იგივე ჯგუფი ახალ პროექტს აყენებს [80]: ანასტასია უნდა დარჩეს ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემლად ორი წლის განმავლობაში, ე. ი. 1904 წლის 1 (13) იანვრამდე, თუ ამ ხანში ჯგუფი ვერ მოახერხებს ახალ რედაქტორ-გამომცემლად ჯგუფის ერთერთი წევრის დამტკიცებინებას. ფაქტიური ხელმძღვანელობა იმ პირთა ხელში იქნება, რომელთაც თვით ჯგუფი დანიშნავს. ამ ვადის გასვლისას ანასტასია თავისუფლდება რედაქტორ-გამომცემლის თანამდებობიდან, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს გაზეთის დახურვა.

მაგრამ ისედაც გაზეთს 1904 წლამდე მეტი სიცოცხლე არ ეწერა. კავკასიის ადმინისტრაცია ნერვიულობდა და ცენზურაც სულ უფროდა უფრო სასტიკი ხდებოდა. მეორეს მხრით, პრესამაც ხმა აიმაღლა, სითამამე იგრძნო—თბილისის გაზეთები ათასობით სხვადასხვა ხვრელს

პოულობდნენ, რათა თავიანთ ფურცლებზე გაეპარებინათ არსებული წესწყობილების საწინააღმდეგო აზრები. განკითხვა არ იყო, სასჯელი უხვის ხელით იბნეოდა მთლად კავკასიის პრესაზე, რუსული იყო იგი თუ ადგილობრივ ენაზე, გარდა, რასაკვირველია, ოფიციალური „კავკაზისა“.

კავკასიის ხელისუფლებამ, რასაკვირველია, ჯერ კიდევ იმ დროამდე, ვიდრე „კვალი“ თითქმის ოფიციალურად სოციალ-დემოკრატიის ორგანო გახდებოდა, კარგად შეიგნო, რომ უვნებელი და უბრალო პლაკატის მიღმა მთავრობის საწინააღმდეგო მიმდინარეობა იფარებოდა, და ამიტომაც განსაკუთრებული ეჭვის თვალით დაუწყო მას ყურება.

ჯერ კიდევ 1896 წელს 20 დიდი წერილიდან, რაზედაც რედაქცია ცენზურის ნებართვას მოითხოვდა, 19 დაიჭირეს და მხოლოდ ერთი გაუშვეს. 1899 წელს ყველა წარდგენილი 19 წერილი დაიჭირეს. 1902 წელს 36 წერილიდან ნებადართული იყო მხოლოდ ერთი; 1904 წელს აიკრძალა ყველა 47 წერილი [81]. ერთი უმცროსი ცენზორთაგანი ატყობინებდა ჟანდარმთა სამმართველოს ნებადაურთველი წერილების შინაარსს.

„ლისტკი იზ კავკაზსკოგო დნევნიკა“-ში [82] ს. უმანეცი წერს, რომ 1897 წლიდან, რაც კავკასიას გოლიცინი მოევლინა მმართველობის მეთაურად, ადგილობრივი („ტუზემნის“) ელემენტების სისტემატური გაღიზიანების რეჟიმმა თავის აპოგეას (უმაღლეს წერტილს) მიაღწიაო „და ამიტომ სოციალური დუღილი კავკასიაში თვალსაჩინოდ გაძლიერდა, გაიკეთა რა მან თბილი ბუდე ქართულ გაზეთ „კვალში“. ამ გაზეთში 1901—1902 წ. მუშაობდნენ ახალგაზრდა ქართველი მარქსისტები და ნაროდნიკები, რომლებიც იქ თანდათან სრულ ძალაუფლებიან პატრონებად გადაიქცნენ“.

„მარქსისტებისა და ნაროდნიკების“ ხელში „კვალის“ გადასვლას უმანეცი ხსნის ანასტასიას „სუსტი ხასიათით და ნერვიულობით“, ვინაიდან იგი არ ერეოდა „კვალის“ მიმართულებაში თავისი ვითომ „უპიროვნობის“ გამოო. უმანეცის განმარტება და მის მიერ ანასტასიას დახასიათება სახელს ვერ მოუხვეჭს ამ მოხელის მიხვედრილობას და ამტკიცებს იმას, თუ რა უხეიროდ ერკვეოდა იგი ადამიანებსა და საქმის ვითარებაში.

იმის აწერილობა, თუ როგორ შთააგონებდა ხოლმე საცენზურო კომიტეტი ანასტასიას, აშკარად გვიჩვენებს, რომ „კვალის“ გადასარჩენად ანასტასია მისტიფიკაციის ბადეში ახვევდა თავის მწვალებელთ, ხოლო ისინი ტყუვდებოდნენ ანასტასიას „უპიროვნობით“ და ეპყრობოდნენ როგორც „ნერვიულ ქვრივს“.

„საცენზურო კომიტეტი, რომელმაც უკვე დაიწყო ღონისძიებათა ხმარება „კვალის“ არასასურველი მიმართულების (веяний) წინააღმდეგ, ყოველნაირად ცდილობდა ემოქმედნა ამ გამოცემაზე, და აი სწორედ აქ ხდებოდა თავისებური კურიოზები. კომიტეტში, ჩვეულებრივ, იბარებდნენ „ახსნა-განმარტებისათვის“ გამომცემელს ანასტასია მიხეილის ასულს წერეთლისას, რომელიც გამოცხადდებოდა ხოლმე დილით ადრიან შეშინებული სახით და საგონებელში მყოფი ადამიანის სანახაობით.

— მე მივიღე მოწვევა,—დუდუნებდა ნერვიული ქვრივი და დაბნეულად ხან თავმჯდომარეს მიაჩერდებოდა, ხან ცენზორებს.

—ქ—ნო წერეთლისა,—დამრიგებლის კილოთი მიმართავდა ხოლმე მას კომიტეტის თავმჯდომარე,—თქვენ განაგრძობთ თქვენი გამოცემის იმ გზით წაყვანას, რომელსაც შეუძლიან მიიყვანოს იგი არამშვიდობიან ბოლომდე. უკვე არა ერთხელ მიუქცევია კომიტეტს თქვენი ყურადღება ცენზორის მიერ დაჭერილ არასაცენზურო შინაარსიან წერილებსა და შენიშვნებზე, მაგრამ თქვენ, ამისდა მიუხედავად, ჯიუტობთ და განაგრძობთ ერთხელ და ერთხელ აღებულ მიმართულებას.

— რა მიმართულებას?—გააწყვეტინებდა ხოლმე ქვრივი, თითქო არ გაეგებოდა თავმჯდომარის სიტყვები.

— აი რა მიმართულებას,—და აქ თავმჯდომარე მოთმინებით და დაწვრილებით უხსნიდა მას, რატომ არის დაჭერილი „კვალში“ ესა და ეს, ურჩევდა—შეეცვალა რედაქციის შედგენილობა, ვინაიდან ახლანდელი თანამშრომლები კეთილს არ დაგაყრიანო.

ქვრივი ახლა მთლად დაიბნეოდა ხოლმე, ტიროდა, ღმერთს ფიცულობდა, რომ „სრულიად არ ესმის“, რატომ „სდევნიან“ მას, ისე გამოიყურებოდა, ვითომ იგი მართლა „მსხვერპლი“ იყო კომიტეტისა და აცრემლებულის თვალებით ტრაგიკულად მიდიოდა, თითქო ყოველივე ის, რაც ახლა ითქვა, მას არ ეხებოდა“.

ოთხი მინისტრის დადგენილებით [83], შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1904 წლის 3 (16) თებერვალს დეპეშით აცნობა თბილისის ხელისუფლებას, რომ „კვალის“ გამოცემა სამუდამოდ მოსპობილია საცენზურო წესდების 148 მუხლის შენიშვნის თანახმად, ე. ი. როგორც მეფის ხელისუფლებისათვის მავნე და მიუღებელი აზრების მქადაგებელი ორგანო.

ანასტასიას წილად ბევრი უსიამოვნება ხვდა, რადგანაც „ჯეჯილი“ ფორმალურად „კვალის“ დამატებად ითვლებოდა, ამიტომ მთავრობამ ეს გარემოება თითზე დაიხვია, რათა ერთსადაიმავე დროს

და იმავე დეპეშით ამ ჟურნალის გამოცემაც მოესპო. კავკასიის ხელისუფლება მით უფრო უკმაყოფილო იყო „ჯეჯილით“, რომ „კვალისათვის“ დანიშნული მასალის ნაწილი ცენზურაში „ჯეჯილის“ მარკით იგზავნებოდა, რათა კავკასიის საცენზურო კომიტეტი შეცდომაში შეეყვანათ. კომიტეტი, რაღა თქმა უნდა, უფრო დიდ ყურადღებას პოლიტიკური გამოცემის მასალას აქცევდა, ვიდრე საბავშვო გამოცემისას. „ჯეჯილის“ დახურვის მომენტიდან ანასტასია არ დამცხრალა და თხოვნას თხოვნაზე ჰგზავნიდა ჟურნალის აღდგენის თაობაზე. იგი უმტკიცებდა პეტერბურგის ხელისუფლებას, „ჯეჯილი“ დამოუკიდებელი გამოცემა იყო, მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა „კვალის“ დამატებად, მას არავითარი უსიამოვნება არა ჰქონია ცენზურასთან „კვალის“ დახურვის წინ და „კვალზე“ ადრე წარმოიშვაო. ანასტასია განმარტავდა, რომ „კვალი“ ჯერ კიდევ 1900 წლის 13 ოქტომბერს სხვამ იყიდა და იმავე წლის დეკემბერს ფაქტიურად ვ. ჭიჭინაძის ხელში გადავიდა; რომ იგი სხვა სტამბაში იბეჭდებოდა და 1903 წელს მის რედაქტორად ალექსი-მესხიშვილი იქნა დამტკიცებული, ხოლო სარედაქციო კოლეგია ისეთ პირთაგან შედგებოდა, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება „ჯეჯილთან“ არა ჰქონდათ; რომ „ჯეჯილი“ მიღებული იყო როგორც სახალხო განათლების სამინისტროს სკოლებისა, ისე სამრევლო სკოლების ბიბლიოთეკებში.

ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ დაავალა კავკასიის საცენზურო კომიტეტს — შეემოწმებინა ანასტასიას საბუთები და თუ დადასტურდებოდა, რომ ,,ჯეჯილი'' მართლა ცალკე გამოცემა იყო — უფლება მიეცა მისთვის მიემართნა, დადგენილი წესისამებრ, თხოვნით, რათა ნება დაერთოთ — გამოეცა „ჯეჯილი'' როგორც ახალი ჟურნალი. ამასთანავე მას აფრთხილებდნენ, რომ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დამოკიდებულია შინაგან საქმეთა სამინისტროზე.

ისღა რჩებოდა, რომ შეეტანა თხოვნა ,,დადგენილი წესისამებრ'', ე. ი. თბილისის გუბერნატორის მეშვეობით, და მოთმინებით ელოდნა, ვიდრე ბიუროკრატიული მანქანა ამოძრავდებოდა და კეთილ ინებებდა ,,ახალი'' საბავშვო ჟურნალის გამოცემის ნებართვის მიცემას.

თ ა ვ ი VII

„ჯეჯილის“ აღდგენა და საზოგადოება „განათლება“.

„ჯეჯილის“ აღდგენის ნებართვა. საგამომცემლო ამხანაგობა „სხივი“. საზოგადოება „განათლების“ წარმოშობა. სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი ქალთა სამასწავლებლო სემინარია. „განათლების“ ლიკვიდაცია ქართველ ქალთა საზოგადოება.

ამასობაში, რათა მკითხველთ გრძნობა ჟურნალისადმი არ განელებოდათ ანასტასიამ და მისმა თანამშრომლებმა მოახერხეს კრებულების გამოცემის ნებართვის მიღება სხვა პირის რედაქტორობით. ამნაირად გამოვიდა კრებულები „მერცხალი“ და „მოლაღური“, თვითეული ორ-ორ წიგნად, ალ. მიქაბერიძის რედაქტორობით.

„უჯეჯილოდ“ ანასტასიას მოსვენება არა ჰქონდა... არ იცოდა, რა ექნა... მან ზაფხულის ბოლოს სცადა დასვენება ერთ თვეს წაღვერში, შემდეგ სექტემბრის ნახევარს—იმერეთში[84], მაგრამ დასვენებამ შვება არ მოუტანა. „ჯეჯილის“ აკრძალვა, „ნაკადულის“ კონკურენცია და მატერიალური შევიწროება—ყოველივე ეს ერთად აღებული, იწვევს მასში მტანჯველ განცდებს. თანაც ანასტასიას აფიქრებდა ოჯახის საქმეები[85]. ანასტასია მიმართავს თხოვნით თედო რაზიკაშვილს[86], ხელთუბნის სკოლა არ დაივიწყოო.

„გთხოვ არ დაივიწყოთ სკოლის ერთგულება, ხომ ხედავთ, რომ მე სკოლას დედინაცვლად ვეკიდები. ცხოვრების ვარამმა გამიტაცა, ფიზიკური მდგომარეობა მიშლის ადრინდელი ენერგიით მუშაობას. ახლა ძნელი დრო დადგა, ახლები ჩვენზე უკეთესები წამოდგნენ და იძახიან ბებრები ხართო, ენერგია ჩვენ უფრო უნდა გვქონდესო, ჩამოგვეცალეო გზიდანო“...* და მეტი გზა არ არი—უნდა ჩამოვეცალო. ეს „შავი ფიქრები“**

---

* მრავალწერტილი წერილის ავტორისაა.

** ლირიკული პოემა თედო რაზიკაშვილისა, გამოც. 1891 წ. ცალკე წიგნად.—ი. გრიშაშვილი.

„...„ჯეჯილის“ საქმეზე ისე გაწვალებული ვარ, რომ, მგონი, აღარ გამოვდგე სამუშაოთ. ის არაწმინდები საშინლად მაწვალებენ, აქამდის არც ხოს ამბობენ, არც არას, ახლა პეტერბურგიდან მომივიდა ამბავი, რომ ამ ცოტა ხანში* ყველაფერი კარგად მოეწყობა. ამან ცოტა გამაცოცხლა, უნდა მთლათ ჩემი ენერგია მოვიკრიბო. მომიხდება თვეში ორ-ორი წიგნის გამოცემა, რომ ხელის მომწერლებთან, რომელნიც მცირე არიან, პირნათლათ გამოვიდე და იანვარში ისევ ჩვეულებრივ მივცე ყმაწვილებს „ჯეჯილი“. აქედან აშკარად დაინახავ, რომ ჩემთვის რა ძვირფასნი არიან ისინი, ვინც მომაწოდებს მასალას და ამით გამიადვილებს ამ ძნელ საქმეს—სანამ თვალები ღია მაქვს—გაუძღვე“...

მართლაც, მალე მოვიდა დიდიხნის ნანატრი ცნობა. იმ დროს ნიკო ნიკოლაძე პეტერბურგში იყო და ანასტასიას დაევალებინა თვალყური ადევნე ჩემს შუამდგომლობასაო. „ძმაო თედო,—სწერდა სოფიო ციციშვილისა იმავე თედო რაზიკაშვილს—ვიცი, სასიამოვნოთ გექნებათ: ანასტასიას წუხელის ტელეგრამმა მოუვიდა ნიკოლაძისაგან, რომ „ჯეჯილის“ გამოცემის ნებართვა მოგვივა, საქმე გათავდაო. ტასო დიდი გახარებულია და იმედია ამ საერთო სიხარულს თქვენც შეუერთდებით და საჩქაროთ მოაწოდებთ თქვენს რაიმე ნაწერს. ძალიან და ძალიან საინტერესო და სასურველია, რომ ყველა „ჯეჯილთან“ შეტკბობილ მწერლების ნაწერებით იყოს განახლებული „ჯეჯილის“ ნომერი დაშვენებული და ამიტომ გატყობინებთ და გთხოვთ მალე მოაწოდოთ მასალა. უნდა მზათ ჰქონდეს ნომერი, რომ მოვა თუ არა ნებართვა ოფიციალურათ, მაშინვე გამოსცეს“.

ყველა კუთხისკენ აფრინეს თხოვნა მასალის თაობაზე—ანასტასია გაორკეცებული ენერგიით იღწვის.

იმავე 1904 წლის 23 სექტემბერს (6 ოქტომბერს) ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ შეატყობინა, რომ ნებადართულია „ჯეჯილის“ განახლება. თბილისში ოფიციალური ცნობის მოსვლის მომენტისათვის (ქალალდმა ჩვეულებრივ დაიგვიანა) გამოცემის საქმე უკვე განწყობილი იყო. 13 (26) დეკემბერს ანასტასია კვლავ სთხოვს რაზიკაშვილს მოთხრობების გამოგზავნას:

„მხოლოთ „ნაკადულით“ არ არის გამოწვეული[87], იმათ ვიცნობ რომ ალღოს ვერ გაიტანენ, მე სხვა საქმეებზედაც ვლაპარაკობ...

---

* ხაზგასმა წერილის ავტორისაა.

„ხელის მოწერაზედ ძალიან მიშლის მარიამ დემურია[89], რომელიც არის თურმე ნაჰდვილი რედაქტორ-გამომცემელი და არა თუ მასალას სტაცებს ყველას ხელიდან—„ჯეჯილის“ მომწერლებსაც თითქმის ყველას ბუქთად უგზავნის. არ ვიცი რითი გათავდება ეს საქმე და როგორ წავა „ჯეჯილის“ საქმე. თუ არ გამსრისეს—კარგია“.

რაკი „კვალის“ დახურვის შემდეგ ანასტასია სრულიად განთავისუფლდა ამ გაზეთზე ზრუნვისაგან, იგი მაშინვე შეუდგა მის და მისი მეგობრების მიერ განზრახულ სხვა საგამომცემლო საქმეს: ანასტასიამ ეკატერინე მესხთან, ალექსანდრე სარაჯიშვილთან, სალომე მაღალაშვილთან, სეით იაშვილთან, ნიკოლოზ ავალიშვილთან ერთად, 1904 წლის 7 (20) ივნისის ხელშეკრულებით მოაწყო საპაიო ამხანაგობა „სხივი“ ქართულად პოპულარულ და საბავშვო წიგნების გამოსაცემად „ცოდნისა და ლიტერატურის ყველა დარგიდან“. შემდგომ მათ შეუერთდნენ სხვა პირებიც, რომლებიც გამგეობაში შევიდნენ[90]. ამ ამხანაგობის საქმიანობა იმდენად ნაყოფიერი არ ყოფილა: მისი არსებობის თვითეულ 1 $^1/_2$—2 წელიწადზე მოდიოდა თითო წიგნი. გამოცემული ოთხი წიგნიდან სამს პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა („ჯუზ. გარიბალდი“. „დამფუძნებელი კრება და საარჩევნო უფლება“, „ეროვნული საკითხი“ და ერთს სამეცნიერო ხასიათი („სამეცნიერო საუბარი“).

1905 წლის რევოლუციის შემდეგ აღვირახსნილმა მკაცრმა რეაქციამ მეტად გაართულა „ჯეჯილის“ მდგომარეობა. საკუთარი სახსარი ანასტასიას არა ჰყოფნიდა, ხოლო ვისგანმე დახმარება ასეთ დროს, როდესაც ხელისუფლება სასტიკად სდევნიდა ბეჭდვითს სიტყვას, მოსალოდნელი არა იყო. ანასტასიას უახლოესი თანამშრომელი—სოფიო ციციშვილისა მძიმედ გახდა ავად და მალე გარდაიცვალა კიდეც. ზოგიერთმა თანამშრომელმა ადმინისტრაციული რეპრესიები განიცადა. ასეთ ვითარებაში ანასტასიამ ის ოყო გადაწყვიტა კიდეც სრულიად მოესპო გამოცემა. თავის ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში (ჟურნ. „ერი“) ანასტასია იხსენიებს ამ გადაწყვეტილებას, მიზეზის განუმარტავად, და ამბობს: „მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ ორი თვე ავად გამხადა, მერე ძველი წლების ნომრების გაყიდვით განვაგრძე გამოცემა. ამ ორი წლის წინეთ უფულობამ და „ჯეჯი-

ლის“ სიყვარულმა მაიძულა მეკისრა ბილეთების გაყიდვა „უმაღლესი კურსებისა“ და ამნაირად საქმე განვაგრძე“.

თუმცა „ჯეჯილის“ გაბატონებიდან „პოლიტიკა“ მთლად განდევნილი იყო, მაგრამ კავკასიის ხელისუფლებამ არამცთუ შეასუსტა თავისი ეჭვი ჟურნალისადმი, არამედ, პირიქით, უფრო გააძლიერა. 1909 წელს ანასტასიამ სთხოვა განათლების უწყებას მიეღოთ მისი ჟურნალი (1908 წლის კომპლექტი) სამოსწავლო ბიბლიოთეკებში, ხოლო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან არსებულმა საბჭომ, განიხილა რა 1909 წლის 24 ნოემბრის (7 დეკემბერს) მისი თხოვნა, უარჰყო იგი „მასში („ჯეჯილში“) მოთავსებული ზოგიერთი წერილის გამოუსადეგრობის გამო“[91].

აი ამ წლებში, როდესაც „ჯეჯილის“ „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი ანასტასიას მოსვენებას უკარგავდა და ავადაც კი ხდიდა, იგი გაორკეცებული ენერგიით მუშაობს ქალთა ქართული საშუალო სასწავლებლის შექმნაზე. პატარა ყაზბეგის სკოლა მას, რასაკვირველია, საკმარისად არ მიაჩნდა. 1908 წელს მან შეკრიბა დები ნიკოლაძენი, ან. თიკანაძისა, სოფიო კალანდარიშვილისა, ალექსანდრა ფაღავა, მარიამ მაჩაბელი და მასწავლებელი იაკობ ზედგინიძე და შეადგინა წრე, რომელმაც მიზნად დაისახა ქალთა საშუალო განათლებაზე ეზრუნა.

„ქართულმა ბანკმა გახსნა თავისი ხარჯით ვაჟების სასწავლებელი,—ამბობს ანასტასია ერთერთ თავის ავტობიოგრაფიულ შენიშვნაში[92].—ქალების სასწავლებელზე კი სულაც არ ფიქრობდა. ზოგი ერთ ქალს გული გვწყდებოდა. შეუდექით ფულის მოგროვებას ქალების სასწავლებლის გასახსნელათ“.

წრემ ბანკს მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ გამგეობა შთანთქმული იყო „ბანკოვიადაში“ და არაფრით არ დაეხმარა. მალე ეს წრე გაიზარდა, გაფართოვდა, იზიდავდა რა თანდათან ახალ-ახალ წევრებს. ბოლოს მან მიიღო ოფიციალური სახელწოდება საზოგადოება „განათლება“[93]. პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ანასტასია, რომელიც შემდგომაც შეუნაცვლებელი დარჩა ამ თანამდებობაზე. მისი მოადგილე იყო ნინო პორფ. ასული ბარათაშვილისა, გამგეობის წევრები—ეკატერინე მესხი, ალექსანდრა ფაღავა, ვერა მიქაბერიძე, ან. პავლიაშვილი (თიკანაძისა), ელ. ბარათაშვილისა; ხაზინადარი—პ. ქურდიანი და მდივანი—ნინო ერისთავისა.

საქართველოს სწავლა-განათლების ისტორიაში საზოგადოება „განათლებას“ განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის: საშუალო სკოლის შექმნა არა კომერციული, არამედ იდეური მიზნით, თანაც ქართუ-

ლი, ე. ი. ნაციონალური სკოლისა, და ისიც იმ დროს, როდესაც ამისათვის უნდა დაგეძლიათ მრავალი მატერიალური და ადმინისტრაციული დაბრკოლება,—მართლაც ძნელზე უძნელესი საქმე იყო; მთავრობის მიერ ხელისშეწყობაზე აქ ლაპარაკიც კი არ შეიძლება, პირიქით, ხელს თუ შეუშლიდნენ, თორემ სხვას ვინ სჩივის?! თავადაზნაურობისა და მისი ბანკის დახმარება—ამ ერთადერთი ორგანიზაციისა, რომელსაც საკმაო სახსარი გააჩნდა—სათუო იყო. მაგრამ თავდადებულმა შრომამ და მაღალი იდეით გატაცებამ, რაც ანასტასიამ და მისმა მეგობრებმა თვალნათლივ გამოამჟღავნეს, სძლია ყველა დაბრკოლება—მთავრობის წინააღმდეგობაც და საზოგადოების ინერტულობაც! ქვა-ქვას, ე. ი. გროში-გროშს მიეწება—და წარმოიქმნა ქალთა პირველი ქართული პროგიმნაზია (სამი მოსამზადებელი განყოფილება და ოთხი კლასი). მოქმედება დაიწყო სულ 113 მოწაფე ქალით და 5.145 მან. და 51 კაპ. ბიუჯეტით, მაგრამ სწრაფად გაფართოვდა. უკვე 1912-1913 სასწავლო წელს იყო 207 მოწაფე, ხოლო ბიუჯეტი 7.224 მან. 43 კაპ. უდრიდა; 1915 წელს კი—314 მოწაფე და წლიური ბიუჯეტი 12.771 მან. და 2 კაპ; 1916-1917 სასწავლო წელს მოწაფეთა რიცხვმა 352 მიაღწია (ამასთანავე, 150 ბავშვი ვერ იქნა მიღებული უადგილობის გამო) და შემოსავალი შეადგენდა 25.398 მან. და 76 კაპ., ხოლო ხარჯი—23.625 მან. და 61 კაპ.

აი თავისებური დამახასიათებელი მხარეები ახალი სკოლისა: მ ო წ ა ფ ე თ ა ს ა კ მ ა ო დ ი დ ი პ რ ო ც ე ნ ტ ი ს წ ა ვ ლ ო ბ დ ა უ ფ ა ს ო დ ა ნ ნ ა ხ ე ვ ა რ ფ ა ს ა დ (მაგალითად, 1912-13 სასწ. წელს 207 მოწაფისაგან უფასოდ 40, ნახევარფასად—20, სტიპენდიით—8; მ ო წ ა ფ ე თ ა შ ო რ ი ს ს ჭ ა რ ბ ო ბ ე ნ ღ ა რ ი ბ დ ა ხ ე ლ მ ო კ ლ ე მ შ ო ბ ე ლ თ ა ბ ა ვ შ ვ ე ბ ი—ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი ს ა, დ ღ ი უ რ ი მ უ შ ე ბ ი ს ა, მ ო ს ა მ ს ა ხ ურ ე ე ბ ი ს ა; 1914-15 ს ა ს წ ა ვ ლ ო წ ე ლ ს ს კ ო ლ ე ბ ი ს თ ა ო ბ ა ზ ე ა ხ ა ლ ი კ ა ნ ო ნ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ს კ ო ლ ა ა ხ ერ ხ ებ ს გ ა დ ა ვ ი დ ე ს ყ ვ ე ლ ა ს ა გ ნ ი ს ქ ა რ თ უ ლ ა დ ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ზ ე.

მოწაფეთა სურვილისაებრ, სკოლის არსებობის პირველსავე წელს შემოღებულ იქნა ფრანგული ენისა, ხელსაქმისა და ხატვის სწავლება. შედგენილ იქნა ბიბლიოთეკა, მაშინვე შეიძინეს საკუთარი შენობა სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩაზე. მოეწყო ღარიბ მოწაფეთა დამხმარე წრე. გაიხსნა საწინდე სახელოსნო, გაიმართა მოწაფეთა ხელნაქნარობისა და ნახატების პირველი გამოფენა.

თავად-აზნაურობამ უკვე სკოლის გახსნის შემდეგ დაუწყო სუბსიდიის ძლევა—3.000 მან. წელიწადში, მაგრამ სკოლის ბიუჯეტს შეადგენდა უმთავრესად კერძო შემოწირულება, საწევრო გადასახადი, ყოველწლიურად სკოლის სასარგებლოდ მოწყობილი ,,ისტორიული საღამოებისა'', ,,სეირნობისა'', სალიტერატურო დილისა და ბავშვთა წარმოდგენების შემოსავალი, 1915-16 სასწ. წელს დაარსდა კომიტეტი სკოლისათვის სახსრის შესაკრებად.

ანასტასია და ,,განათლების" სხვა მოღვაწენი არ დასჯერდნენ იმას, რაც უკვე გააკეთეს და რაც თავისთავად დიდი საქმე იყო. რადგანაც მოწაფეთა უმეტესობას ღარიბ ოჯახთა ბავშვები შეადგენდნენ, საზოგადოების ხელმძღვანელებმა განიზრახეს მათი შემდგომი ბედ-იღბლის უზრუნველყოფა. ჯერ კიდევ 1912-13 სასწავლო წელს ანასტასიამ აღძრა გამგეობაში შემდეგი საკითხი:

> ,,ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებული ქალები რჩებიან შუაგზაზედ, არავითარი დამთავრებული ხასიათი არა აქვს მათ ცოდნას. როგორ დავეხმაროთ ასეთ მდგომარეობაში ჩვენს ქალებს? ამიტომ საპედაგოგო საბჭოს მიეცა წინადადება განმეორებითი კურსები დააარსონ სკოლასთან და დაეხმარონ მოწაფეებს და გამოცდა დააჭერინონ გიმნაზიის ოთხკლასის მოწმობის მისაღებად".

მაგრამ სახსრის უკმარობამ ხელი შეუშალა ამ განზრახვის განხორციელებას. სამაგიეროდ, იმავე წელს საფუძველი ჩაეყარა პროფესიულ განყოფილებას, რომლიდანაც წარმოიქმნა სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი.

საქმის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა ,,განათლების'' პოპულარობაც. ერთხელ, 1915 წელს, ანასტასიას აცნობეს, რომ ვინმე შეძლებულ მოიჯარადრე კიპრიზოვს[94] სურს გადასცეს ,,განათლების'' საზოგადოებას თავისი სახლი. ანასტასიამ და მისმა მეგობრებმა ამას სკეპტიკურად შეხედეს: კიპრიზოვს არავითარ საზოგადო საქმეში მონაწილეობა არ მიუღია, მისი სახელი ყველასათვის უცნობი იყო. გაუგებარი იყო, რა მიზანი უნდა ჰქონოდა მას, ასე რომ იქცეოდა... კიპრიზოვის მიწვევით ანასტასია, მარიამ მაჩაბლისა, ან. თიკანაძისა და „განათლების" ზოგიერთი სხვა წარმომადგენლის თანხლებით, გაემართა ქალაქის ძველ უბანში სურფ-სარქისის ქუჩისაკენ (ახლა ფირდოუსის), სადაც შესაწირავი სახლი იდგა. გულში ეჭვით უახლოვდებოდნენ ამ სახლს: დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საჩუქარი რაღაც ნახევრად მაინც დაქცეული შენობა იქნებოდა. როდესაც კიპრიზო-

ვის ნათესავმა ქალმა ნ. ბალდოევისამ, რომელიც ხელს უწყობდა ამ გაჩუქებას და ანასტასიას მიჰყვებოდა, მიიყვანა ისინი დანიშნულ ადგილას, ანასტასია და მისი თანამყოლნი მღელვარებისაგან გაფითრდნენ და პირში ენას ვეღარ აბრუნებდნენ ნერწყვგამშრალნი: მათ წინაშე იდგა მშვენიერი სამსართულიანი სახლი. მათ მიეგებათ უბრალოდ ჩაცმული მოხუცი, რომელმაც დაუდასტურა, რომ მართლა სურს გადასცეს ეს თავისი სახლი საზოგადოებას უსასყიდლოდ. ანასტასიამ თავი ვერ შეიკავა და ჰკითხა მას საბაბი, რომლის გამოისობითაც იგი სწირავდა თავის სახლს ქართულ ორგანიზაციას (კიპრიზოვი ეროვნებით ბერძენი იყო) და სახელდობრ საზოგადოება „განათლებას". ამასთანავე ისიც ჰკითხა, თქვენი ნათესავები ამ შეწირვის წინააღმდეგი ხომ არ იქნებიანო. კიპრიზოვმა უჩვენა თავის კისერზე ჭრილობა და უამბო, ჩემი მოკვლა უკვე სცადეს ამ სახლის გამო, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ ვიშლიო. პატარა ბიჭი ვიყავ, თბილისში რომ ჩამოველ მამაჩემთან ერთად, რომელიც უბრალო, დღიური კურტნიანი მუშა იყო. ბავშვობა და ახალგაზრდობა დიდ გაჭირვებაში გავატარე და ბევრი რამ გამოვცადე, ვიდრე „ადამიანი" გავხდებოდიო. ახლა კი მოხუცი ვარ და მსურს კეთილი საქმე გავაკეთოო. ქონება და შეძლება ქართველთა მიწაწყალზე შევიძინე, ამიტომ მინდა საქართველოს მადლობა გადავუხადო, ხოლო საზოგადოება „განათლება" შემთხვევით არ ამირჩევია: გაზეთებიდან და ბანკის კრებებიდან, რომლებზედაც დავიარებოდი, გავიგე, რომ ქალებმა ხუთ-ხუთ, ათ-ათ შანეთობით შეგროვილი ფულით დიდი სკოლა შექმნეს და აი, რამდენიმე წელიწადია, რაც მათ საქმე დამოუკიდებლად მიჰყავთ, ვისგანმე დაუხმარებლადო. ეს საქმე დარბაისლური და მკვიდრია, ამიტომაც ჩემი არჩევანი „განათლებაზე" შევაჩერეო.

კიპრიზოვის მიერ ნაჩუქარი სახლი მალე ნაწილობრივ მდგმურებისაგან გაათავისუფლეს და აქ მოთავსდა „განათლების" პროფესიული განყოფილება, რომელიც ოქტომბერში სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლად გადაიქცა მარიამ მაჩაბლის ხელმძღვანელობით, რომლის გამგებლობაშიაც პროფესიული განყოფილება იყო დღიდან მისი დაარსებისა. ამ დროისათვის ახალ სასწავლებელს ხარფუხში უკვე 60 მოწაფე ჰყავდა და (შემდეგ წელიწადს ამ რიცხვმა 90 იმატა). ეს სასწავლებელი „განათლების" ხელში იყო 1920 წლამდე, როდესაც იგი გადაეცა შინამრეწველობის კომიტეტს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი შევიდა სახელმწიფო პროფესიულ სკოლათა საერთო სისტემაში პროფესიული ტექნიკუმის სახით.

კიპრიზოვის შეწირულება მისაბაძ ქველ მაგალითად გადაიქცა: 1915-16 სასწ. წელს საზოგადოება „განათლებას“ იმავე წელს გარდაცვალებულმა ეკატერინე სარაჯიშვილისამ უანდერძა 50.000 მანეთი ავლაბარში ისეთივე სამხატვრო-სახელოსნო სკოლის დასაარსებლად, როგორიც ხარფუხში იყო. 1919 წელს ნ. ბარათაშვილისამ უანდერძა 3.000 მან.

დროთა განმავლობაში ანასტასიასა და მისი მეგობრების ენთუზიაზმი ეძებდა და ჰპოვებდა კიდეც სულ ახალ-ახალ სფეროებს თავისი საქმიანობისათვის. „განათლების“ საქმე ფუვდებოდა და მატულობდა, როგორც კარგ საფუარზე დაყენებული ცომი. იმის შემდეგ, რაც პროფესიულ განყოფილებას ჩაეყარა საფუძველი, საზოგადოების ხელმძღვანელთა ყურადღება სხვა ინიციატივამ მიიქცია. უკვე საზოგადოების 1914-15 წლის ანგარიშში ნათქვამი იყო:

„ჩვენ გვსურს შევქმნათ მასწავლებლები მცოდნე ქართული ენისა და ჩვენი ჭირ-ვარამისა, რომელნიც შესძლებენ გამოაღვიძონ ჩვენი სოფელი, სადაც ხშირათ ინიშნება ისეთი მასწავლებელი, რომელმაც სრულებით არ იცის ქართული ენა, არ ესმის სოფლის გაჭირვება და მისი ზნე-ჩვეულება“.

ამ აზრის განხორციელება სასწრაფოდ არ შეიძლებოდა, რადგანაც იმ სახსრით, რაც საზოგადოებას გააჩნდა, საქმის თვალსაჩინოდ გაფართოება ოცნება იყო. მაინც, უკვე 1915-16 სასწ. წელს საზოგადოებამ მოახერხა ქალთა საოსტატო სემინარიის გახსნის ნებართვის მიღება. ამნაირად მთლად სასკოლო სისტემას შეადგენდა 3 მოსამზადებელი კლასი, 4 პროგიმნაზიული კურსის კლასი და ოთხი სასემინარიო კლასი (სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის ჩაუთვლელად).

1916 წლის მარტში „განათლების“ გამგეობამ მიმართა მოსახლეობას მოწოდებით—გაეხსენებინა ქალის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში. ანასტასია და მისი მეგობრები იუწყებოდნენ, რომ მათ განიზრახეს მოაწყონ თბილისში საოსტატო სემინარია ქართველი ქალებისათვის.

„ამ სასწავლებელმა უნდა მოგვიმზადოს მომავალი მებრძოლნი, მუშაკნი და აღმზრდელნი ახალი თაობისა, საქართველოს ამ ერთადერთი იმედისა“...

სემინარია გაიხსნა 1916 წლის 27 სექტემბერს (10 ოქტ.) და იმ მოწაფეთა შორის, რომელნიც „განათლების“ პროგიმნაზიას ათავებ-

ლნენ, არჩეულნი იყვნენ სასემინარიოდ შესაფერი მოწაფენი მათი უნარიანობისა და მიდრეკილების მიხედვით. გონებრივად უფრო განვითარებულნი გადადიოდნენ სემინარიაში, ხოლო დანარჩენთ თავის მზრუნველობის ქვეშ იყვანდა მარიამ მაჩაბლისა, რომელიც დიდის მოთმინებითა და სიყვარულით ამზადებდა მათგან ხელსაქმის ოსტატებს.

საზოგადოების წევრთა საერთო კრების 1918 წლის 11 ივლისის დადგენილებით მოსამზადებელი, საპროგიმნაზიო და სასემინარიო კლასები უნდა გადასცემოდა სახელმწიფოს, ხოლო მენშევიკური მთავრობა დათანხმდა მიეღო მარტო სემინარია.

საზოგადოება „განათლებამ“ თავისი არსებობა ბუნებრივად დაამთავრა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც უზრუნველყოფილ იქნა სწავლა-განათლების უფლება ყველასათვის, როდესაც მოსახლეობა ფართოდ მოიცვეს საერთო და პროფესიული განათლების სკოლებმა, როდესაც ქალს მიენიჭა ყველა უფლება მამაკაცის თანაბრად,—საამისო კერძო საზოგადოებათა არსებობის ყოველგვარი საჭიროება თავისთავად მოისპო, და „განათლება“, რომელმაც თავდადებითი სამსახური გაუწია ქართულ კულტურას თხუთმეტი წლის განმავლობაში, გააღვიძა ქართველ მოსახლეობაში ქალთა განათლების აუცილებლობის შეგნება და აღზარდა მრავლად მომავალი მასწავლებელი ქალი,— 1924 წელს ჩაბარდა ისტორიას დედა-ენაზე სწავლების სისტემის მქონე ქალთა პირველი ქართული საშუალო სასწავლებლის ინიციატორის სახელით.

ამ საქმის სულის ჩამდგმელსა და მთავარ ხელმძღვანელს, ანასტასიას, მართლაც რომ შეეძლო ეამაყნა თავისი შრომის შედეგით*.

---

* ანასტასია ხომ ის ანასტასია აღარ იქნებოდა, როგორიც ნამდვილად იყო, უარი რომ ეთქვა. „ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებაში“ მონაწილეობაზე. ეს საზოგადოება მოეწყო 1914 წელს მწერალი ქალის განდეგილის (ერისთავი) თავმჯდომარეობით. თუმცა ანასტასია უხვად იყო დატვირთული მრავალი სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვალეობით, მაგრამ მაინც შეუდგა მუშაობას ამ საზოგადოებაშიაც, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ბავშვთა აღზრდისა, ქართული ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე ლექციების კითხვით დაიწყო. საზოგადოების დამფუძნებელ სხდომაზე იმავე წლის 21 ოქტომბერს (3 ნოემბერს) ანასტასია არჩეულ იქნა საპატიო წევრად.

1913 წელს ანასტასია არჩეულ იქნა წერაკითხვის საზოგადოების საპატიოწევრა, ხოლო 1915 წელს—საქველმოქმედო საზოგადოების საპატიო წევრად.

თ ა ვ ი VIII

ომი და რევოლუცია

„ჯეჯილი“ ომისა და რევოლუციის წლებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. აკვანი. საგამომცემლო ამხანაგობა. ქალთა ალმანახი.

იმპერიალისტური ომის პირველმა წლებმა ერთგვარი გავლენა იქონიეს ანასტასიას საქმეებზე: თუმცა „ჯეჯილიც“, „განათლებაც“, მასწავლებელ ქალთა საზოგადოებაც განაგრძობდნენ თავიანთ მუშაობას გარეგნულად წინანდელებრ, მაგრამ გულხმიერ დამკვირვებელს შეეძლო შეენიშნა, რომ ჟურნალის თემატიკაში შეიჭრნენ ახალი თემები, რაც აშკარად ომის მონაბერი იყო, ხოლო ქართველი საზოგადოების ინტერესი ანასტასიას სხვა საქმეებისადმი თითქო როგორღაც მოინისლა. რაც დრო გადიოდა, ჩვეულებრივი ცხოვრების მოშლილობა უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა. „ჯეჯილის“ გამოცემა თანდათან ძნელდებოდა. ანასტასიამ ძლივძლივობით მოახერხა 1916 წელი დაემთავრებინა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქაღალდის კრიზისი მეტისმეტად გაძლიერდა. ქაღალდის მარაგი ანასტასიას მცირე ჰქონდა, ხოლო ახალი ქაღალდის შოვნა ძნელზე ძნელი იყო. ვერც სტამბის საქმე იყო რიგზე. დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ანასტასია გაურიგდა ერთ, კარგა მანძილზე დაშორებულ, სტამბას რკინისგზის სადგურის ახლო, ხოლო ქაღალდი დიდი ფული დაუჯდა. ასე იყო თუ ისე, მაინც მოახერხა ორი დიდი და ორი მომცრო ნომრის გამოშვება. ეს ორი უკანასკნელი ნომერი „კუნწულას“ სახელწოდებით გამოვიდა. 1918 წელს ნაცნობების პროტექციით შესძლო ექვსი ნომრის დაბეჭდვა ხუთ წიგნად. 1919 წელს მუშაობა უფრო გაძნელდა. ახლოვდებოდა „ჯეჯილის“ არსებობის ოცდაათი წლისთავი[95]. ინტერესმა ჟურნალისადმი თითქო გაიღვიძა. თეატრში გამართულმა „ჯეჯილის დილამ“ წარმატებით ჩაიარა და რედაქციის სულიერი განწყობილება თითქო გამოცოცხლდა. მაინც 1919 წელს ექვს ნომერზე მეტის გამოცემა ვერ მოხერხდა.

1920 წელს შვიდი წიგნი გამოვიდა. ამ დროს საზოგადოება „განათლების“ ორივე სკოლა—ქალთა სემინარია და სამხატვრო-სახე-

ლოსნო სასწავლებელი—უკვე სახელმწიფოს ხელში იყო. ანასტასია უჩიოდა მენშევიკური მთავრობის უყურადღებობას საბავშვო გამოცენისა და ქალთა სემინარიისადმი. ამასობაში მან ახალი საქმე დაიწყო—თბილისში ბავშვის აღზრდის სახლის დაარსება მონტესორის მეთოდით. ერთერთმა ქართველმა ქალმა, რომელიც იმ დროს მილანში იმყოფებოდა, აღუთქვა დახმარება—ყველა საჭირო მასალის, წიგნებისა სხვადასხვა ხელსაწყოსა და სახელმძღვანელოების გამოგზავნა, რაც მონტესორის მეთოდის გავრცელების ხელისშემწყობი იქაური ჰუმანიტარული საზოგადოების განკარგულებაში მოიპოვებოდა. მაგრამ ხელსაწყოს შეძენისა და საერთოდ ბავშვის აღზრდის სახლის მოწყობისათვის საჭირო იყო სახსარი, ეს კი არსაით ჩანდა. ამრიგად პროექტი პროექტად დარჩა.

ამასთანავე, ანასტასია გრძნობდა, რომ მას ძალღონე აკლდება და საჭიროა „ჯეჯილის“—ცხოვრების ახალი პირობებისათვის შეგუება. ამიტომ მან აირჩია თავისი მონაცვლეები, რომელთათვისაც ჟურნალი უნდა გადაეცა. ესენი იყვნენ ქრისტინა შარაშიძე, ალექსანდრა ფალავა, ანა ხახუტაშვილისა (ცქვიტი), ახ. რცხილაძე-წუწუნავასი და ან. ჩაგუნავა-ელიაშვილისა (იხ. ანასტასიას არქივი, ხელნაწ. კონა №Q —451).

1920 წლის ბოლოს ანასტასიასთან გამოცხადდა მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელი ასეთი წინადადებით: მთავრობა იძენს ჟურნალის ყველა ძველ ნომერსა და კლიშეს და კისრულობს მთლად საგამომცემლო საქმის გაძლიერებას, ხოლო ანასტასიას და მის თანამშრომლებს ენარჩუნებათ სალიტერატურო ნაწილი. იმავე დროს მან აცნობა ანასტასიას, რომ ნინო ნაკაშიძესთან და მის „ნაკადულთან“ საქმე უკვე გათავებულია იმ მხრივ, რომ „ნაკადული“ გადავიდა მთავრობის ხელში და გადაწყვეტილია „ნაკადული“ გამოდიოდეს მხოლოდ პაწია ბავშვებისათვის, „ჯეჯილი“ კი—უფროსი ასაკის ბავშვებისათვის. ორივე რედაქცია გაერთიანდება, ხოლო მასალა განაწილდება „ჯეჯილსა“ და „ნაკადულს“ შორის. ანასტასია მიხვდა, რომ შეჯიბრებას ვერ აიტანს, და იძულებული გახდა დათანხმებულიყო. შემდეგ მომხდარი პოლიტიკური ამბების გამო ეს გეგმა ვერ იქნა განხორციელებული.

პირველ თვეებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ანასტასიას მდგომარეობა საკმაოდ გართულებული იყო. გაქცეულმა მენშევიკებმა დატოვეს მთლად დეზორგანიზებული ქვეყანა, ცხოვრების ყველა სფერო მოშლილი იყო და დანგრეული მეურნეობის აღსადგენად საჭირო იყო საკმაო დრო და შემოქმედ ძალთა სრული დაძაბ-

ვა. „ჯეჯილის“ გამოცემის საკუთარი ძალღონით მოგვარება ანასტასიას არ შეეძლო, ხოლო ხელისუფლებას პირველ ხანს სხვა მრავალი გადაუდებელი საქმე ჰქონდა. სრულიად ბუნებრივია, რომ მთლად სახელმწიფოებრივი და სამეურნეო წყობილების ძირითადად გარდაქმნის მომენტში საბავშვო ჟურნალის გამოცემის ამოცანას დიდი ყურადღება ვერ მიექცეოდა. მაინც დანიშნული იყო სპეციალური პირი—ამხ. ხაჭაპურიძე—საბავშვო ლიტერატურის ორგანიზაციისათვის. რაკი ანასტასიას იმედი არ ჰქონდა, რომ ახლო მომავალში შესძლებდა ჟურნალის განახლებას, მან გადაწყვიტა იმერეთს წასულიყო სოფელში დასასვენებლად. შენახულა მისი ჩანაწერი ამ პერიოდზე[6]. ანასტასია სასაცილოდ იგდებს თავისთავს და ჰუმორისტულად მოგვითხრობს, თუ რა გაუხარდებოდათ აბეზარი დედაბრის თავიდან მოშორება იმათ, ვისაც იგი თავს აბეზრებდა უდრო-უდროოდ დახმარების თხოვნით „ჯეჯილისათვის“. გამაცილეს სადგურამდე, ჩამსვეს ვაგონში და ყვიროდნენ: ანასტასია მშვენივრად მოვათავსეთო“.

სოფლად სამს თვეზე მეტ ხანს ვერ გასძლო, რაკი თავის საყვარელ საქმეს მოშორებული იყო, და ისევ თბილისს მოაშურა.

> „დიდი გაჭირვებით მივედი შორაპნიდან ქუთაისის მატარებლამდის და აქ კი გარეთ პლატფორმაზე მოვემწყვდიე... მე ხელში მეჭირა პატარა კალათა ყურძნით. რომ მეზობლებს არ გავეჭყლიტე, ყველას ვუწილადებდი ყურძენს და როდესაც გათენებისას გამითავდა ყურძენი და შეუძლებელი გახდა ჩემი მდგომარეობა, დავიწყე ყვირილი. ვიღაცა მასწავლებელმა ხმაზე მიცნო და სადღაც შემიყვანა და ტომარაზე დამსვა“.

ანასტასია განაგრძობდა „ჯეჯილის“ რედაქტორად ყოფნას, მაგრამ ჟურნალი ჯერჯერობით არ გამოდიოდა. უნებური უსაქმურობა ანასტასიამ მკურნალობისათვის გამოიყენა. საავადმყოფოში ყოფნის დროს გაიგო, რომ მის ჟურნალს დახურვა მოელის. მან მიმართა განათლების სახალხო კომისარიატს და სთხოვა—ჟურნალი დამიბრუნეთ, რათა განვაგრძო მისი გამოცემაო. ანასტასიას უპასუხეს, რომ „ჯეჯილი“ სახელმწიფოს საკუთრებად დარჩება, თითონ მას კი, თუ ესურვება, შეუძლია მუშაობა განაგრძოს რედაქციაში. ანასტასიას თანხმობით იგი სარედაქციო კოლეგიის წევრად დანიშნეს. მისი მუშაობა „ჯეჯილში“ დამთავრდა 1923 წელს, როდესაც მან ითხოვა, რედაქციის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან გამათავისუფლეთო.

ჯერ კიდევ „ჯეჯილში“ საქმიანობის შეწყვეტამდე იგი გულისწუხილით ხედავდა, რომ მისი პედაგოგიური მუშაობის გეგმები მარცხს განიცდიან. მართლაც და, ანასტასია ვერ შერიგებოდა „განათლების“ ბუნებრივ ლიკვიდაციას—იმ საზოგადოების, ბოლოს რომელსაც მან შესწირა მთელი თავისი ძალა და ენერგია. იგი ყოველგვარ პროექტს თხზავდა საზოგადოების აღსადგენად, თუ არა ამ ფორმით იმ ფორმით მაინც, ხან ფეხსაცმლის კერვის სკოლისა, ხან კალათების წვნის სკოლისა, ხან კი კოლოფების კეთების სკოლის სახით, მაგრამ ყველა ეს პროექტი – პროექტადვე რჩებოდა, ცხოვრება კი წინ მიდიოდა. საბჭოთა სახელმწიფომ თვითვე უზრუნველჰყო მოსახლეობა პროფესიული სწავლა-განათლებით და ამიტომ კერძო სკოლების დაარსება უკვე საჭირო არ იყო. დაბოლოს ანასტასიამ განუცხადა „განათლების“ გამგეობის წევრებს[97], რომ

„ქართველი ახალგაზრდა ქალი გამოიფიტა. ის თავის ჯანმრთელობას ყურადღებას არ აქცევს, არ იცის ბავშვის მოვლა, მისი გაჩენა აშინებს. ეს ჩვენა გვღუპავს. ნუთუ არ უნდა უპატრონოთ ამ საქმეს? დავაარსოთ კურსები, რომელსაც დაერქმევა: „აკვანი“. იქ წაიკითხება მთელი რიგი ლექციებისა საუკეთესო პროფესორების და ექიმების მიერ. გავწიოთ პროპაგანდა ჩვენს ქალებში, სკოლებში, მასწავლებლებში, უნივერსიტეტში, მუშა-ქალებში, დედებში, ყველგან, რომ ჩაეწერნენ მსმენელებათ“.

სრულიად ახალი საქმე იყო. გამგეობის წევრთა შორის ზოგიერთი ეჭვობდა, რომ საქმეს გაემარჯვნა, და ანასტასიას არ ეთანხმებოდა. მაგრამ ანასტასიამ დასძლია წინააღმდეგობა და გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები თავისი აზრის განსახორციელებლად, მოამზადა სასწრაფო ფურცლები დასარიგებლად და გასაკვრელად. ამ საქმეში მას შველოდნენ ან. თიკანაძისა, ს. კალანდარიშვილისა, ნ. შალამბერიძისა და „განათლებასთან“ ახლო მდგარი ზოგიერთი სხვა პირი.

ანასტასიამ განათლების სახალხო კომისარიატში განცხადება შეიტანა და სთხოვდა ძუძუმწოვარ ბავშვთა აღზრდისათვის საჭირო ცოდნის გასავრცელებლად კურსების გახსნის ნებართვას. კურსები ორთვიანი უნდა ყოფილიყო 16 წლის ასაკზე არა უმცროს ქალთათვის.

სწავლების პროგრამა 12 საგნისაგან შედგებოდა (ბავშვის ორგანიზმის ანატომიური აგებულება, ბაქტეოროლოგია, ჰიგიენა, ბავშვთა ავადმყოფობასთან ბრძოლა, ბავშვის სულიერი განვითარება

და სხვ.). 1922 წლის 28 დეკემბერს დედობისა და ბავშვობის დაცვის განყოფილების გამგემ ხელსაყრელი დასკვნა მისცა და 1923 წლის 1 თებერვალს ნებართვაც გაიცა.

სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცი დედაკაცი გამოცოცხლდა და საქმეს უდიდესი ენერგიით შეუდგა. საჭირო იყო დაეჯერებინა ექიმები, რომ ეს საქმე სასარგებლო საქმეა და ჩაება ისინი ლექციების კითხვაში. მიიღო რა პროფ. ივ. თიკანაძისა, გოგიტიძისა, ექ. უგრელიძისა, საბავშვო კლინიკის ორდინატორების ნანეიშვილისა, თოხაძისა, ლორთქიფანიძისა და სხვ. (სულ 14 ლექტორის) თანხმობა, ანასტასიამ მიმართა მიხ. ზანდუკელს თხოვნით სადგომი დაეთმო. ანასტასია დიდის მოუთმენლობითა და ახალგაზრდური ენთუზიაზმით ელოდა კურსების გახსნას და პირველ ლექციას. კურსებს უწოდა „აკვანი“, მაშინდელ 1-ლი საცდელ-შრომითი სკოლის სადგომში, სადაც ლექციები უნდა წაკითხულიყო, ამ დროს ექვსკვირიანი კურსები იყო საბავშვო ბაღების მასწავლებელთათვის. ჯერ არც ერთი მსმენელი არ ჩაწერილიყო, რომ ანასტასიამ გამოაცხადა პირველი ლექციის დღე. კურსები უნდა გაეხსნა პროფ. გოგიტიძეს, რომელიც ბავშვთა სტატისტიკას კითხულობდა. დამსწრე (ან. ღვინიაშვილი „ალმანახში“) აგვიწერს: „საღამო მოახლოვდა. ღელავს ანასტასია წერეთელი, ღელავენ ყველა წევრები, შეიკრიბნენ კარებთან. ელიან ხალხს, პროფესორს. დაიწყო დენა კურსებზე მსმენელი ხალხისა! ან. წერეთელს თვალები უბრწყინდება იმდენი ახალგაზრდა ქალების დანახვით. ეპატიჟება, იწვევს იმ ოთახისაკენ, სადაც პროფესორი ელის ხალხს. ზოგს გამოელაპარაკა კიდევაც, მაგრამ ცელქი ახალგაზრდობა ამ მოხუცს ყურს არ უგდებს და გარბის თავის საბავშვო ბაღის კურსებისაკენ.

ლექცია მაინც დაიწყო და იცით ვინ იყვნენ ამ ლექციის მსმენელნი: ან. წერეთლისა, ეკ. მესხისა, სოფ. კალანდარიშვილისა, ან. თიკანაძისა, იაკობ ზედგინიძე (როგორც წევრი ამ საზოგოდოებისა) და ორიოდე სხვანი. ეს ახალგაზრდა „თეთრთმიანები“ დიდის აღტაცებით უსმენდნენ ამ პირველსა და უკანასკნელ ლექციას“.

„აკვანის“ მარცხის შემდეგ ანასტასიასა და მის მეგობრებს „განათლებიდან“ აღეძრათ ახალი პროექტი: 1924 წლის დეკემბერში ანასტასიამ, ეკ. მესხისამ, ეკ. გაბაშვილისამ, იაკ. ზედგინიძემ, გ. ბოკერიამ, ივ. ელიაშვილმა, სოფ. კალანდარიშვილისამ, ლ. გეგეჭკორმა, ან. თიკანაძისამ, ემ. იაშვილისამ და დ. დონდუამ მოაწყეს საგამომცემლო საზოგადოება „ჯეჯილის“ სახელწოდებით, საბავშვო წიგნების გამოსაცემად. საზოგადოების დამფუძნებელთ განზრახული ჰქონ-

დათ ამოერჩიათ „ჯეჯილის“ ძველი ნომრებიდან ისეთი მასალა, რაც შეესაბამებოდა საბჭოთა სკოლის მოთხოვნასა და ბავშვების მისწრაფებას, და შესდგომოდნენ ამ მასალის ბეჭდვას ექვს წიგნად. აგრეთვე სხვა წიგნების გამოცემას. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ანასტასია. ნებართვის მიღების საქმე 1926 წლის 8 აპრილამდე გაგრძელდა. განათლების სახალხო კომისარიატმა აცნობა ანასტასიას, რომ მისი შუამდგომლობა საზოგადოების დამტკიცების თაობაზე შეუძლებელია დაკმაყოფილებულ იქნეს[98].

ამავე დროს ღრმა მოხუცებულობა და ხანგრძლივი შრომისაგან მოქანცულობა სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა ანასტასიას. ყოველივე, რაც რამ გააჩნდა, მატერიალური სახსარი და სულხორცის ძალა, მან საზოგადოებრივ საქმეებს შესწირა და მოხუცებულობისას უკვე არავითარი წყარო არსებობისათვის არ გააჩნდა. დაეხმარნენ მწერალთა კავშირი და სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. მწერალთა კავშირის შუამდგომლობით ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაუნიშნა პერსონალური პენსია. მის სიცოცხლეშივე საბჭოთა მთავრობამ აღიარა აგრეთვე მისი საზოგადოებრივი და სალიტერატურო დამსახურებანი: ბინა, რომელიც ანასტასიას უკანასკნელ წლებში ეჭირა, დაემკვიდრა მას სიკვდილამდე, ხოლო სიკვდილის შემდეგ ამ ბინაში მოწყობილ უნდა ყოფილიყო მისი სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა; არტილერიის ქუჩა, რომელზედაც იდგა მისი სახლი, გადარქმეულ იქნა „კვალის“ ქუჩად.

მაგრამ უკვე სრულიად უძლური და ავადმყოფიც კი ანასტასია განაგრძობდა თითქოს რაღაცა საქმიანობას, როგორც მიღველფილი ცეცხლი სითბოს გამოვლინებას: 1925 წელს მისი მონაწილეობით და მხურვალე ხელშეწყობით მწერალ-ქალთა წრემ (ახალგაზრდობის თაობიდან: მარიჯან, ან. ღვინიაშვილი, ცქვიტი, საფო მგელაძე, მარიამ გარიყული და ხინო ტყეშელაშვილი, ხოლო ძველი თაობიდან ეკატ. გაბაშვილი, რომელმაც დაწერა მოგონებანი ნინო ორბელიანზე, კეკე მესხი და სხვ.) დაიწყო ალმანახების გამოცემა. ანასტასია კვლავ ენთუზიაზმმა მოიცვა—ამ საქმის განხორციელებით იგი თითქო ლამობდა ჩაეხშო სევდა გამოუტირებელი „ჯეჯილის“ გამო. დაიწყო მუშაობა მასალის მოსამზადებლად. მწერალი ქალები იკრიბებოდნენ მეტწილად მასთან ბინაზე გამოცემის გეგმათა განსაბჭობად. „ქართველ მწერალ ქალთა ალმანახი“ გამოიცა ორ წიგნად: პირველ ტომში (1925 წ.) დაბეჭდილი იყო ანასტასიას წერილიც მწერალ, პოეტ და „ჯეჯილის“ თანამშრომელ ქალ ბარბარე ჯორჯაძეზე—რაფიელ

ერისთავის დაზე; მეორე ტომისათვის (1926 წ.) ანასტასიას უკვე წერა აღარ შეეძლო და, თითქოს მისი სტატიის ნაცვლად, ამ ტომში დაიბეჭდა სტატია მასზე (ან. ღვინიაშვილისა — „ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა“). ამ მეორე ტომზე საქმეც გათავდა. თვით ცხოვრებამ ნათელჰყო, რომ უკვე საჭირო აღარ იყო ქალთა ცალკე ჟურნალები და კრებულები. ეს საჭირო იყო ძველი წყობილების დროს, როდესაც დედაკაცი არ ითვლებოდა საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრად და მას მომავლისაკენ გზის გაკვლევა უხდებოდა მძიმე ბრძოლით. მაშინ ეგრეთწოდებული ქალთა მოძრაობა პროგრესიული მოვლენა იყო და ყოველი შესაძლებლობა ქალის მიერ ხმის ამაღლებისა გამოყენებული უნდა ყოფილიყო საკაცობრიო იდეათა პროგრესისათვის. საბჭოთა წყობილების განმტკიცებასთან ერთად, დედაკაცისა და მამაკაცის უფლებათა სრულ გათანაბრებასთან ერთად უკვე საჭირო აღარ არის ასეთი ალმანახები: მწერალი ქალები გამოდიან ჩვენში მწერალ მამაკაცთან ხელიხელჩაჭიდებულნი, ისე როგორც, საერთოდ, საბჭოთა დედაკაცი წინ მიდის მამაკაცთან ერთად ერთ მწყობრში.

თ ა ვ ი IX

ადამიანი და მოღვაწე

ხასიათის ნაკვთები. ა დ ა მ ი ა ნ თ ა გ ა მ ო ნ ა ხ ვ ი ს უ ნ ა რ ი. ბუნებით საზოგადო მოღვაწე. პირადი და საზოგადოებრივი. ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება ანასტასიას მოღვაწეობისადმი. სალიტერატურო მემკვიდრეობა. ანასტასია, როგორც „ქალთა“ მოღვაწე. ავადმყოფობა და სიკვდილი. ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმსაზღვრელი ხაზი.

„მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი იმათი, ვინც ყვირის და საქმეს არ აკეთებს“—ამბობს ანასტასია ერთერთ თავის ავტობიოგრაფიულ შენიშვნაში[99] და ეს ნათქვამი სწორედ ახასიათებს მას, როგორც მოღვაწეს და ადამიანს. ანასტასია პირველ რიგში აყენებდა არა სიტყვას, არამედ საქმეს; ყოველ შემთხვევაში, მისი სიტყვა მუდამ დაკავშირებული იყო საქმესთან. მოიფიქრებდა რა ამათუიმ საქმეს, იგი არა სჯერდებოდა სიტყვიერ განმარტებას და პროგრამის შედგენას, არ იძლეოდა მარტო იდეას, არამედ მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე მის პრაქტიკულ განხორციელებას. ის მოვლენა, რომელსაც ახლა „სასხდომო ცოდვილებას“ (заседательская суетня“) ვეძახით და რაც არაერთხელ დაგმობილია პარტიის უმაღლესი ორგანოების მიერ, სრულიად ეუცხოებოდა ანასტასიას ბუნებას. ამიტომ ბუნებრივად გვეჩვენება მისი ჩივილი „ჯეჯილის“ რეორგანიზაციის გეგმების გამო[100]. იგი გულის ჯავრით აღნიშნავს, რომ ქალალდი არ არის, „ჯეჯილის“ აღსადგენად პრაქტიკულ ღონისძიებას არა ხმარობენ და, ნამდვილი მუშაობის ნაცვლად, ყოველკვირა სხდომებს მართავენ (ლაპარაკია იმ კომისიაზე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საბავშვო გამოცემათა საკითხი) და ბჭობენ იმაზე, თუ როგორი მასალა უნდა იქნეს ჟურნალში და როგორი არა.

ანასტასიასათვის პატარა საქმე არ არსებობდა: საზოგადოებრივ ინტერესთან დაკავშირებული ყოველი საქმე მას საჭირო და მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა, თუნდაც იგი ერთის შეხედვით უბრალო და წვრილმანი რამ ყოფილიყო. თავისი აზრებისა და იდეების გან-

ხორციელებაში მას შეჰქონდა უდიდესი ენთუზიაზმი, რომელიც არ შესუსტებულა მასში ღრმა მოხუცებულობის დროსაც კი, და პირველი თვით შეუდგებოდა ხოლმე მუშაობას, არ ეპუებოდა რა არავითარ სიძნელეს. უნარი ადამიანთა შეგულიანებისა პირადი მაგალითით, მათთვის ნამდვილი საქმის მიცემისა და არა სიტყვიერი ზიზილ-პიპილებისა და განზრახული საქმისადმი რწმენის შთანერგვისა,—აი ეს იყო, რომ იტაცებდა ყველას, მასთან ერთად მომუშავეს.

ანასტასიამ იცოდა საქმისათვის საჭირო ადამიანების მიგნება და თითქო განსაკუთრებული ალღოთი გამოსცნობდა სასარგებლო მომუშავეებს თვით ისეთ წრეშიაც კი, სადაც მათი შოვნა ყველაზე უფრო ძნელი იყო: მასთან ერთად მომუშავე ქალიშვილებსა და ქალებს შორის იყვნენ, რასაკვირველია, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენელნიც, თითონ რომ ისწრაფოდნენ საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ და უერთდებოდნენ ანასტასიას იმიტომ, რომ ხედავდნენ მასში საქმის ადამიანს; მაგრამ ბევრნი იყვნენ აგრეთვე ეგრეთწოდებული „დიდი საზოგადოების“ ქალებიც, რომლებისათვისაც უცხო იყო საზოგადოებრივი იდეალები და შორიშორეული საზოგადო საქმით გატაცების სულთასწრაფვა. რაკი მიზანში ამოიღებდა ვისმე, ანასტასია ახერხებდა გაეტაცნა იგი საზოგადოებისათვის სამსახურის გზით, და თვით ის ქალბატონები „დიდი საზოგადოებიდან“, რომელნიც დღეს მონაწილეობას იღებდნენ ამათუიმ საქველმოქმედო საღამოში ხშირად მარტოოდენ შემთხვევით, ერთერთ ორგანიზატორთან ნათესაობის გამო ან ზეზეური გართობის სურვილით,—შემდეგ უკვე გულმხურვალედ ებმოდნენ მუშაობაში და ხდებოდნენ საქმის მოყვარულ, საზოგადო მუშაკებად.

ამრიგად, სხვადასხვაგვარი ელემენტებიდან შეიქმნენ მომუშავეთა მჭიდროდ შეკავშირებული კადრები ორი დიდი საქმისათვის: მასწავლებელ-ქალთა და აღმზრდელ-ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებისა და „განათლების“ საზოგადოებისათვის. ეს კადრები, რომლებშიაც რამოდენადმე მამაკაცებიც ერივნენ, მუშაობდნენ ანასტასიასთან ხელჩაჭიდებულნი ათეულ წელთა განმავლობაში, და მუშაობდნენ, საერთოდ, მეგობრულად, ერთსულოვნად, თუმცა, ანასტასია ისევე მტკიცედ მოითხოვდა მათგან საქმის ერთგულებას, როგორც თავისთავისაგან, თუმცა თავისი პირდაპირი ხასიათის მეოხებით ხანდახან მსჯელობის დროს მწვავე სიტყვა-პასუხს არ ერიდებოდა. თავის მსჯელობაში კი ანასტასია შეურიგებელი იყო, მას მოსდგამდა ჰუმორი და ირონია, რასაც იგი მიმართავდა ხოლმე არა მარტო სხვების გასაკენწლად, არამედ ამათუიმ თავისი საკუთარი მარ-

ცხისა თუ უხერხულობის დასაცინადაც. ზოგჯერ ანასტასიამ იცოდა ადამიანზე თავისი აზრის ისეთი ხუმრობის ყალიბში ჩამოსხმა, რომ იგი თითქო გარეგნულად მიამიტი და უწყინარი იყო, მაგრამ ნამდვილად კი უფრო საგრძნობლად მბასრავი, ვიდრე მკაცრი მსჯელობა. მის ქაღალდებში შენახულა მწერალთა კავშირის კონფერენციისათვის გაგზავნილი განცხადების შავად ნაწერი, რომელიც, როგორც ჩანს, ოციანი წლების ნახევარს ეკუთვნის. ანასტასიას ჩივილს მწერალთა მიერ, საბავშვო ლიტერატურის აბუჩად აგდების გამო, აშკარად ჩუმი უკმაყოფილების ფორმა აქვს, მაგრამ გადაჭარბების თავისებური ხერხი, რომელსაც იგი მიმართავს თავის განცხადებაში, საინტერესო ილუსტრაციაა მისი პირდაპირობის დასახასიათებლად.

„იმედი მაქვს მომისმენთ ჩემ ორიოდ სიტყვას. კონფერენცია კაზმული ლიტერატურისა რამდენჯერმე იყო, მაგრამ არც ერთხელ არ დავესწარი, მხოლოთ იმიტომ, რომ მე არ მიმაჩნდა, ჩემის აზრით, სწორი გზით საქმის წაყვანა, თორემ მომაკვდავიც რომ ვყოფილიყავ, მაინც გამოვჩნდებოდი თქვენთან.

დიდ პატივსა ვცემ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, მაგრამ არ შემიძლიან არ მოგახსენოთ, რომ ლექსებს, ასე გამრავლებულს, არ ვაძლევ ისეთ მნიშვნელობას, რომ სხვა უფრო საჭირო ლიტერატურის დარგს არ მივაქციო ყურადღება.

ჩვენი ურიცხვი ლექსთა მწერლები ზოგჯერ მიზანს უხვევენ სიტყვების სილამაზით და ხშირათ გაუგებრობა კი მოჩანს შიგ. მელექსეების გამრავლება უფრო ჩვენი (საყმაწვილო ლიტერატურის) ბრალია, რომ მან გამოზარდა ზერეულათ ახალი თაობა. ეს სენი დიდი ხნისაა. აკაკი წერეთელმა „კვალის“ რედაქციაში შემოიტანა წინადადება, რადგან ახალგაზრდობა მიელტვის უფრო ადვილ სამუშაოს, ვისი ლექსიც დაიბეჭდება, გონორარის მიცემის მაგივრათ, პირიქით გამოვართვათ ფულიო. ყველამ ხომ კარგათ ვიცით, რომ მომავალ ახალთაობისათვის უფრო ძნელია მასალის მიწოდება, ვიდრე შაირების წერა[101].

ანასტასია მტკიცედ იდგა თავის პრინციპებზე და არ თანხმდებოდა თავის შეხედულებათაგან უკან დახევაზე. იგი ვერ ითმენდა შემარიგებლობას და დიდის გაჭირვებით გადასდგამდა ხოლმე ნაბიჯს კომპრომისისაკენ. მისი ხასიათის ამ თვისებას ა. ღვინიაშვილიც აღნიშნავს თავის წიგნში „ქართული საბავშვო ლიტერატურა“ (გვ. 57): „...აღსანიშნავია განსვენებული ან. წერეთლის გასაოცარი თვისებაც: რაც უნდოდა, რა აზრიც დაებადებოდა, სალ კლდესავით

შემოავლებდა ამ აზრს თავის სიჯიუტეს და არაგზით არ წავიდოდა დათმობაზე. ეს თვისება უკანასკნელ წუთამდის შერჩა".

მეორე თავის ნაშრომში იგივე ღვინიაშვილი ამბობს[102], რომ ანასტასია „დაბადებული იყო საზოგადო მოღვაწედ" და, მართლაც, მისი ოჯახის ყველა ტრადიციამ, მამის მაგალითმა და მისმა პირადმა მიდრეკილებამ აღზარდეს მასში ურყევი ნებისყოფისა და არაჩვეულებრივი ენერგიის საზოგადო მუშაკი—საზოგადო მუშაკი მოწოდებით.

ანასტასიასაც ჰქონდა, რასაკვირველია, პირადი ცხოვრებაც, ჰქონდა პირადი გატაცებანიც და გულგატეხილობანიც, მაგრამ ყველაფერი, თვით პირადი საქმეც კი, მას გადახლართული ჰქონდა საზოგადოებრივ იდეალებზე და საზოგადოებრივ მუშაობასთან. იგი ვერ გაიაზრებდა თავისთვის სხვაგვარ ცხოვრებას, თუ არა საზოგადოებრივი და სალიტერატურო ინტერესების ატმოსფეროში. თვით იგი ხშირად იმეორებდა,—არა მარტო პირად საუბარში, არამედ ოფიციალურ მიმართვებშიაც,—რომ „ჯეჯილი" მისი საყვარელი ნაშიერია. „უჯეჯილოდ" მას სიცოცხლე ვერ წარმოედგინა, იმდენად უყვარდა ეს ჟურნალი" — აღნიშნავს ფილ. მახარაძე[103]. ეს სიყვარული შერჩა მას ჟურნალის არსებობის უკანასკნელ დღემდე. „ჯეჯილის" გამოცემის დროის განმავლობაში ანასტასიამ განიცადა რამდენჯერმე ბედის ულმობელობა: ჯერ საყვარელი დედის სიკვდილი (1893 წლის შემოდგომა), შემდეგ თანამიმდევრობით ქმრის სიკვდილი (1900 წ.) ძმების სიკვდილი—ვასილისა (1912 წ.), გიორგისა (1920 წ). კონსტანტინესი (1921 წ).

საზოგადოებრივ ინტერესებს სწირავდა ანასტასია არა მარტო თავისი ენერგიის, ცოდნისა და ძალღონის უდიდეს ნაწილს, არამედ აგრეთვე თავისი მატერიალური სახსრის უმეტეს ნაწილსაც. „ჯეჯილისა", „კვალისა", საზოგადოება „განათლების" სკოლისა, თავისი გამოცემებისა და ყველა სხვა საზოგადოებრივი საქმისაგან მას, რასაკვირველია, არასოდეს არავითარი პირადი გამორჩენა არა ჰქონია. პირიქით, იგი თუმცა შეძლების პატრონი არ იყო და ცხოვრობდა მხოლოდ თავისი სახლისა და ქმრის მამულის მცირე შემოსავლით,—მაინც ახერხებდა ამ არც თუ თვალსაჩინო სახსრით ოჯახის პატრონობასაც, მრავალი თავისი აღზრდილისათვის დახმარების გაწევასაც და თავისი გამოცემებისა და სხვა საქმეებისათვის ფულის წილადობასაც. როდესაც „ჯეჯილის" გამოცემის მე-20 წლის ბოლოს ანასტასიამ მოისურვა ხარჯების ჯამი გამოეყვანა, გამოირკვა, რომ „ათას თუმანზე მეტი ჩემი საკუთარი დანახარჯია, თუმცა მხოლოდ

ქაღალდი, სტამბა, ფოსტა და მცირე შეკვეთილი კლიშეები იყო ნაჩვენები. შემრცხვა და მივანებე თავი[104]“ თანაც ესეც უნდა ითქვას, თანამშრომლებს ხომ სამუშაო ხელფასი არ ეძლეოდათ, განსაკუთრებით „ჯეჯილის“ გამოცემის პირველი 20 წლის განმავლობაში, ყველა ნებაყოფლობით და უანგაროდ მუშაობდა[105], ჰონორარი იშვიათი რამ იყო და ისიც ძალიან მცირე (მაგალითად, მცირე ჰონორარი ეძლეოდათ აკაკის, თედო რაზიკაშვილს და ს. ხუნდაძეს).

ანასტასიას თანამშრომლები საზოგადო საქმეში აღნიშნავენ თავიანთ მოგონებებში, რომ გულუხვი, როდესაც საქმე ეხებოდა მისი სახსრის ხარჯვას საზოგადო საჭიროებაზე ან იმათ საჭიროებაზე, ვისაც იგი ეხმარებოდა ხოლმე, ანასტასია ამავე დროს მეტად ხელმომჭირნე იყო, თითქმის ძუნწობამდე, როდესაც საქმე ეხებოდა საზოგადოებრივი თანხების ხარჯვას.

ანასტასია არ იყო არც დიდების მაძიებელი, არც პატივმოყვარე—იგი არ ეკუთვნოდა ისეთ მ ო ღ ვ ა წ ე თ ა რიცხვს, რომელთაც სურთ, რომ მათი სახელი ყველას პირზე ეკეროს და რაც შეიძლება ხშირად გაისმოდეს პოპულარობის შესაძენად. მაგრამ მას ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მძიმე და თავდადებული საზოგადოებრივი მუშაობა, რომელსაც იგი ასეთი ღირსებით ეწეოდა დიდი ხნის განმავლობაში ახალგაზრდობის სასარგებლოდ,—დაჯილდოებული უნდა იყოს სრულიად სამართლიანი პოპულარობით მოზარდ თაობას შორის. ამით, სხვათა შორის, ყური გამოჭედილი ჰქონდა გარშემო მყოფთაგან. მით უფრო მწვავე გრძნობას განიცდიდა იგი, ვით გაცრუებული იმედის დროს, როდესაც რწმუნდებოდა, რომ ნამდვილად ასე არ იყო. „ჯეჯილის“ პოპულარობა ძალიან დიდი იყო ნაციონალურად განწყობილ ახალგაზრდობას შორის წარსული საუკუნის 90-იან წლებში, ხოლო რაც შეეხება ჩვენს თანამედროვე სკოლას, ანასტასიას ჟურნალის სახელი მეტად ცოტა რამის მეტყველი იყო მათთვის, იგი უკვე ი ს ტ ო რ ი ა ღა იყო.

ანასტასიას ცხოვრებამ თითქმის მთლად ბრძოლაში განვლო: ჯერ—თავისი წრის ცრუაზროვნების წინააღმდეგ, შემდეგ—იმ შევიწროებათა წინააღმდეგ, რასაც ეროვნული კულტურის მოღვაწეს მეფის მთავრობა უქმნიდა. ეს ბრძოლა უფრო მეტად ხელს უწყობდა მისი ხასიათის იმ თვისებათა—მედგრობისა და ურყეველობის—გან-

ვითარებას, რასაც ყველანი აღნიშნავენ, ვისაც კი თვალი უდევნებია მისთვის ცხოვრებაში. ხასიათის ამავე თვისებებმა გაუძნელეს ანასტასიას,—ისე როგორც, საზოგადოდ, ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილს, ახალი წყობილების პირველ წლებში დიდი პროლეტარული რევოლუციის ზოგიერთი მხარის გაგება. ანასტასია გულწრფელად აღიარებდა, რომ უკვე მეტისმეტად მოხუცებულია და ძნელია მისთვის ბევრი ახალი რამის სავსებით შეთვისება. მაინც ანასტასია კეთილსინდისიერად ცდილობდა მოეხმარებინა თავისი ძალღონე ჩვენი ქვეყნის კულტურული მშენებლობის საქმისთვის, რადგანაც თვლიდა, რომ თუ მეთოდები მისი გაგებისათვის მიუწდომელია, სამაგიეროდ მიზანი მიმართულია სამშობლოს კეთილდღეობისაკენ,— ე. ი. იმ გულითადი იდეების განხორციელებისაკენ, რომლებიც ყოველთვის აღაფრთოვანებდნენ მის „ჯეჯილს“ და რომლებიც სიმბოლურად გამოთქმულნი იყო ჟურნალის პირველსავე ნომერში ილია ჭავჭავაძის ლექსით „ბაზალეთის ტბა“.

საქართველოს კულტურული განვითარებისა და ქალის უფლებათა საქმისათვის ბრძოლის დროს ანასტასია ხვდებოდა არა მხოლოდ დაბრკოლებებს, არამედ აგრეთვე ხანდახან გამოხმაურებასაც. მეგობართა თანაგრძნობა და ინტელიგენციის ერთი ნაწილის დახმარება ხელს უწყობდა მას ზნეობრივად და უძლიერებდა ენერგიას. „დიდი ენერგია ემატებოდა „ჯეჯილის“ რედაქტორს ზოგიერთი მოწინავე პირების ე. წ. „ქათინაურებით“. ავიღოთ თუნდაც ვახ. ორბელიანი, რომელმაც „მამობრივი ლოცვა-კურთხევით“ შეამკო „ჯეჯილი“. მას განსაკუთრებით ახარებდა ის აზრი, რომ ჟურნალის გაძღოლა ქალმა იდვა თავს და აღტაცებით ამბობდა: „დედაკაცს ეკუთვნის განახლება და გარდაქმნა ქართველი ერის“ (იხ. ან. ღვინიაშვილის წიგნი „ქართ. საბ. ლიტ,“ გვ. 57), ვახტანგ ორბელიანმა მარტო სიტყვით არ დაამტკიცა თავისი სიმპატიები ჟურნალისადმი. მან საქმითაც აღნიშნა იგი, მოათავსა რა ჟურნალის 1890 წლის № 2-ში ლექსი „ვასიკოს თავგადასავალი“. დიდი ზნეობრივი საყრდენი ანასტასიასათვის იყო აკაკი წერეთელი, რომელიც მისი ოჯახის ახლო მეგობრად ითვლებოდა (იხ. ამ წიგნის IV თავი; იქვე საზოგადოების დამოკიდებულებაც „ჯეჯილის“ მიმართულებისადმი). მას მხარს უჭერდნენ და ამაგრებდნენ თავიანთი თანაგრძნობით არა მარტო ზოგიერთი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, არამედ აგრეთვე ბევრი ჩვეულებრივი, რიგითი მუშაკი, პედაგოგი და დემოკრატიული ინტელიგენციის სხვა ფენების

წარმომადგენელი, და სწორედ ამას ჰქონდა ანასტასიასათვის უფრო მეტი მნიშვნელობა.

მრავალ მისდამი მიმართულ წერილს შორის არის ერთი ვინმე პატივისმცემელის წერილი (1910 წლის 5/17 მარტის თარიღით) შემდეგი კურიოზული, გაზვიადებული, მაგრამ თანაც მიამიტი გრძნობის მეტყველი დასაწყისით [106] „ჩვენის შვილებისა და მათის ნორჩ მოწაფეთათვის ცისკრებრ მნათობო და დაუღალავო მუშაკო ბატონო ანასტასია!“

ასეთივე უჩინარი, უცნობი მშრომელნი აგროვებდნენ თავიანთ შორის გროშ-გროშობით „ჯეჯილის“ დასახმარებლად. ერთ კოლექტიურ წერილში 1897 წლის 27 სექ. (9 ოქტ.) თარიღით, რომელიც დართული ჰქონია ას მანეთამდე გამოგზავნილ ფულს, ჩამოთვლილი არიან დიდი რიგი შემწირველნი, თანაც იმის აღნიშვნით, თუ ვინ რა შესწირა, და მათ შორის ყოფილან ისეთებიც, ვისაც თითო აბაზიც შეუწირავს [107].

„ჯეჯილის“ გამოცემის ათი წლისა და ოცი წლისთავი ანასტასიასადმი თანაგრძნობის გამოთქმის საბაბად გადაიქცა, განსაკუთრებით 20 წლისთავი, რომელიც 1910 წელს იქნა გადახდილი, და როდესაც პრესამ იუბილე აღნიშნა მთელი რიგი წერილებით, ხოლო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საჯარო საპატივცემო ზეიმებით, ჟურნალმა „ერმა“ (№2) მოათავსა ანასტასიას პორტრეტი და დაბეჭდა წერილი, რომელშიაც მხურვალე სიტყვებით მოთხრობილი იყო, თუ რა ძნელ პირობებში არსებობდა „ჯეჯილი“ ოცი წლის მანძილზე; ჟურნალმა „განათლებამ“ (№3) გამოთქვა თავისი თანაგრძნობა მით, რომ დაბეჭდა პედაგოგისა და „ჯეჯილის“ თანამშრომლის ალექსი ჭიჭინაძის მიერ ხონში საიუბილეო საზეიმო კრებაზე წარმოთქმული სიტყვის ნაწყვეტი; „დროებამ“ (№35) გაიხსენა, როდესაც „ჯეჯილმა“ გამოსვლა დაიწყო, საბავშვო ლიტერატურა ქართულად თითქმის არ არსებობდაო. იმავე „დროებამ“ (№-45), მოათავსა ალ. ჭიჭინაძის ვრცელი სიტყვა მთლად და დაწვრილებით აწერა საიუბილეო ზეიმები თბილისში (№36) და ქუთაისში (№ 47), აღნიშნა ქუთაისის ზეიმები ფელეტონშიაც „ქუთათური ფელეტონი“ (№50) ვინმე „ნაცნობის“ ხელმოწერით; „თეატრმა და ცხოვრებამ“ მოათავსა ორი პორტრეტი და ეკატ. მესხის წერილი. იუბილეს გამოეხმაურნენ აგრეთვე სხვა ჟურნალ-გაზეთებიც. 14 (27) თებერვალს თბილისში ანასტასიას თანამშრომლებმა და პატივისმცემლებმა გამართეს საბავშვო წარმოდგენა ქართული თეატრის შენობაში: ბავშვებმა ითამაშეს ვოდევილი „მდგმური“ და წაიკითხეს კრილოვის არაკები შესაფერად ჩაცმულებ-

მა; მუსიკალურ განყოფილებაში ოცი ბავშვისაგან შემდგარმა გუნდმა, ნატრაძის ლოტბარობით, შეასრულა ქართული სიმღერები, ბავშვები უკრავდნენ როიალსა და ვიოლინოს. დასასრულ საზოგადოებას აჩვენეს ცოცხალი სურათი—„ჯეჯილის“ გარეკანის ნახატის ინსცენირება—დედა, ბავშვებით გარსშემოხვეული, ხოლო კულისებში მღეროდნენ „იზარდე, მწვანე ჯეჯილო!“ (ეპიგრაფი იოსებ დავითაშვილის ლექსიდან „ჯეჯილის“ გარეკანზე). მრავალი ორგანიზაცია მიესალმა ანასტასიას სცენიდან[108], ხოლო ერთმა მოსწავლემ უთხრა: „დეიდა, შენ მოხუცდები, ჩვენ ვიმუშავებთ და შენს „ჯეჯილს“ ყანად ვაქცევთ“ საღამოს დასასრულს ანასტასიას დიდი ოვაცია გაუმართეს. თეატრი გაჭედილი იყო და ზეიმმა ძალიან გულხმიერად ჩაიარა.

26 თებერვალს (11 მარტს) ანასტასიას პატივი სცეს ზეიმით ქუთათურებმა ქალაქის თეატრში. თითონ იგი იქ არ ყოფილა—მისალმებანი, სიტყვები, ლექსები წარმოითქვა მისი პორტრეტის წინაშე. აკაკიმ გულაღმძვრელი სიტყვა წარმოთქვა პარტერიდან, ხორომ და ორკესტრმა დაამთავრეს ზეიმი. ხონში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, დიდი მოხსენებით გამოვიდა ალექსი ჭიჭინაძე, რომელმაც განსაკუთრებით აღნიშნა ანასტასიას და მისი „ჯეჯილის“ როლი ქართველი ბავშვების მიერ დედა-ენის შესწავლის საქმეში.

ანასტასიას ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ დიდია. გარდა აუარებელი თარგმნებისა ფრანგული და რუსული ენიდან (ამასთანავე, ფრანგულიდან იგი თარგმნიდა ბევრ ინგლისურ ნაწარმოებსაც, ვინაიდან მან ინგლისური არ იცოდა), ანასტასიამ სცადა მოთხრობებისა და ნარკვევების წერა მოზრდილთათვის და ეს ნაწერები დაიბეჭდა „დროებასა“ და სხვა გაზეთებში[119]. ხოლო მეტწილად მას იტაცებდა და ემარჯვებოდა კიდეც, მოთხრობები პატარა მკითხველებისათვის. მისი ნაწერები გაფანტულია „ჯეჯილის“ მრავალ ნომერში. იმ 35-40 წიგნის რიცხვში, რომლებიც მან გამოსცა, იყო აგრეთვე მისი ცალკეული მოთხრობებიცა და კრებულებიც, რამდენიმე მისი მოთხრობისაგან შედგენილი („ხუთი ამბავი“, „მოლაღური“, „თაიგული**“, „კონა“ „ყვავილზე“). ამ ნაწერების შინაარსი მრავალგვარია, მაგრამ ანასტასიას უსაყვარლესი თემები ღარიბ-ღატაკნი და ობლები არიან, მათი ცხოვრება, დიდი ჭირ-ვარამი და მცირე სიხარული.

იგი ბევრსა წერდა ომზე და ომისაგან გამოწვეულ სხვადასხვა

„ჯეჯილის“ ყდა დახატული იყო მხატვარ გ. ბაშინჯაღიანის მიერ, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ქართული ენა და ქართული ბუნება (სიღნაღელი იყო; ი. გრიშაშვილი.)

** 1922 წლის იანვარში ანასტასიას ძველი ორიგინალური მოთხრობებიდან.

უბედურებაზე. ანასტასია წერილებს ათავსებდა აგრეთვე ცხოველებზე, ცდილობდა გაეღვივებინა ბავშვებში სიყვარული მათ მიმართ. მისი კრიტიკოსის აზრით [110], ანასტასიას ეხერხებოდა თემების მიგნება, მაგრამ „მის შინაარსის საინტერესოდ გაშლას ერიდება, არ უყვარს. დიდი ღირსება ან. წერეთლის მოთხრობებისა არის სიმოკლე, გრძელი მოთხრობა ბავშვისათვის მოსაბეზრებელია". ბევრ მოთხრობაში აწერილია ესათუის შემთხვევა, რომელსაც შთაბეჭდილება მოუხდენია ავტორზე.

ანასტასიას მოთხრობები დაწერილია ცოცხალი ენით, კარგი ლიტერატურული კილოთი, ნათლად და ბავშვებისათვის გასაგებად. ჩვეულებრივ მისი მოთხრობა შეიცავს რაიმე „მორალს", ე. ი. დარიგებას.

ანასტასიას თარგმნებს შორის არის სამმოქმედებიანი ფრანგული კომედია ლაბიშისა „ჯერ თავო და თავო", აგრეთვე კომედია „ბაქიბუქი", ლევ ტოლსტოის ზღაპრები, ტურგენევის მოთხრობები და სხვ.

მაგრამ ქართული კულტურის განვითარების საქმეში ანასტასიას მიერ შეტანილი წვლილის ძალასა და მნიშვნელობას მისი ლიტერატურული შემოქმედება კი არ შეადგენს, არამედ ის მრავალმხრივი პრაქტიკული მოღვაწეობა, რომელიც მართლა მეტისმეტად ნაყოფიერი იყო. ეხება რა ანასტასიას მუშაობას, როგორც საბავშვო მწერლისას, ან. ღვინიაშვილი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს: „მაგრამ ან. წერეთელს ეს მოთხრობებიც რომ არ დაეწერა და წიგნებადაც არ გამოეცა, მისი სახელი საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში ერთი თვალსაჩინოთაგანი იქნებოდა, როგორც ჟურნალის დამაარსებლის, სულის ჩამდგმელის, ბევრი საბავშვო მწერლის გამომზრდელისა „ჯეჯილის" წყალობით და როგორც დიდი მოამაგე ადამიანისა საბავშვო მწერლობის სამსახურში".

ეს თავისი მიზანი „ჯეჯილის" მიმართ ანასტასიამ ბოლომდე შეასრულა, თუმცა მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ და თვით გამოცდილ მოღვაწეთა სკეპტიციზმიც. „ერთხნობად იაკ. გოგებაშვილს უნდოდა ჩამოერთვა ან. წერეთლისათვის რედაქტორ-გამომცემლობა, იმ მოსაზრებით, რომ „ვერ გაუძღვებიო", მაგრამ ანგარიში შეეშალა და ანასტ. წერეთელმა 30 წელიწადი ზურგით ატარა ეს მძიმე ტვირთი",—ამბობს იგივე ბიოგრაფი.

ანასტასია როდი იყო სპეციფიკურად „ქალთა საქმის" მოღვაწე იმ მყვირალა ქალთა ტიპისა, რომელთაც ეკუთვნოდნენ ეგრეთწოდებული ინგლისელი „სუფრაჟისტი" ქალები [111]. თავისი მოკრძალე-

ბული ხასიათის გამო იგი არ შეიძლება ყოფილიყო ამ ყაიდის მოღვაწე. და თუ მან მთელი თავისი ძალღონე მოახმარა ქალის კულტურული დონის ამაღლებას და სოციალური და საყოფაცხოვრებო ბორკილებისაგან განთავისუფლებას, თუ თავისი მუშაობის უდიდესი ნაწილი დაუთმო სწორედ ქალთა განათლებისა და უფლებათა მოპოების საქმეს—მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ხედავდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში სრულ გულგრილობას ქალის ბედ-იღბლისადმი. საზ. „განათლების“ ქალთა სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებული პირველი ქალიშვილების გამოშვების დროს წარმოთქმულ სიტყვაში მან განაცხადა:

„მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოჩენილმა პედაგოგმა, ამოს კომენსკიმ [112], პირველად გამოსთქვა, რომ ქალებზეა დამოკიდებული მომავალი თაობის სწავლა-აღზრდაო“.

კომენსკის სიტყვები, მოძველებული შედარებით რომ ვთქვათ, თითქო გზის მანათობელი ვარსკვლავი იყო ანასტასიასათვის ხანგრძლივ, მგზნებარე და საინტერესო ცხოვრებაში.

როდესაც მთავრობის დაწესებულებასა თუ თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში, გაზეთის რედაქციასა თუ სათავადაზნაურო ბანკში გამოჩნდებოდა ხოლმე ანასტასიას მკვრივი ფიგურა—ყველა იქ მყოფმა იცოდა, რომ იგი მოსულია ქალთა ინტერესების სამზრუნველოდ და დასაცავად. მისი სიმტკიცე და სიმედგრე იქ, სადაც ლაპარაკი საზოგადოებრივ საკითხზე იყო ხოლმე, სრულიადაც არ შეესაბამებოდა იმ მორიდებულებას და თითქმის მორცხვობასაც კი, რითაც იგი განსხვავდებოდა პირად საქმეში. ამიტომაც „ეგებისობის“ პასუხით მას თავს ვერ დაახწევდით ან სიტყვას ბანზე ვერ აუგდებდით. იგი იქამდე არ მოგასვენებდათ და არც თითონ მოისვენებდა, ვიდრე არ მიიღებდა კატეგორიულ პასუხს—გადაჭრილ „ჰო“-ს ან „არა“-ს—დაეხმარებოდით მის საქმეს თუ არ დაეხმარებოდით. და რაც უნდა ფანტასტიკური სჩვენებოდა ადამიანს, ერთის შეხედვით, მისი პროექტი, იგი მაინც მიაღწევდა ხოლმე მის განხორციელებას, დასძლევდა რა ყოველგვარ დაბრკოლებას.

მას მუდამ მეგობრები და თანაშემწეები ეხვივნენ გარშემო. იგი ამხნევებდა სულით დაცემულთ და აღვივებდა მათში რწმენას საკუთარი ძალისა და უნარისადმი. გამოუცდელი, გაუბედავი ქალებისაგან იგი ჰქმნიდა მტკიცე და მედგარ მოღვაწეებს.

ადვილი მისახვედრია, რა უნდა ეგრძნო ასეთი ბუნების ადამიანს, როდესაც მას მძიმე ავადმყოფობამ ხელი დაჰრია! 1926 წელს ანას-

ტასიას სიდამბლე დაემართა მარცხენა მხარისა—წაერთვა მარცხენა ხელი და მარცხენა ფეხი. ეს აგონიის დასაწყისი იყო. ექიმების მეცადინეობამ, საბჭოთა საქართველოს მთავრობის დახმარებამ შეუმსუბუქა მდგომარეობა იმ მხრით, რომ დროგამოშვებით იგი თითქო უკეთ გრძნობდა თავს და დამბლადაცემული ნაწილები სხეულისა იბრუნებდნენ თავიანთი მოძრაობის უნარს; ავადმყოფს შეეძლო ხოლმე საწოლიდან სავარძელში გადამჯდარიყო და ხანდახან კი სხვისი დახმარებით ოთახში ემოძრავა. მაგრამ მალე მდგომარეობა ისევ უარესდებოდა და ავადმყოფობა უძლიერდებოდა, ვიდრე კვლავ არ დადგებოდა ცოტათი გამობრუნების პერიოდი. ოთახების უხერხული განლაგება მის უკანასკნელ ბინაში (1917-18 წლებში ანასტასია გადავიდა სხვა, პატარა ბინაზე იმავე სახლში) იწვევდა ხშირხშირად გაციებას, რაც ძალიან ართულებდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. მაგრამ ყველაზე სამძიმო და მტანჯველი ის იყო, რომ დროგამოშვებით იგი თითქმის მთლად ჰკარგავდა მეტყველების უნარს—ენა ერთმეოდა.

თავის იძულებითს უსაქმურობას ანასტასია დიდის მოთმინებით იტანდა და ამ მოთმინებაში ზოგჯერ თავისთავისა და თავის მდგომარეობისადმი ირონიაც კი გამოსჭვიოდა. ხანგრძლივი და განმტანჯველი ავადმყოფობის ყველა სტადიაში ანასტასიას გონება მუშაობდა თითქმის წინანდელებრ საღად და ნათლად და მთელი მისი დრო გადიოდა საუბარში წარსულსა და აწმყოზე—ამოდენა თავისუფალი დრო ხომ არასოდეს არა ჰქონია ანასტასიას! ძველი მისი მეგობრები, რომელთაც ახალგაზრდობიდან მასთან ერთად განვლეს ცხოვრების გზა—ეკატერინე გაბაშვილი და ეკატერინე მესხი—ცდილობდნენ ენუგეშებინათ და გაერთოთ თავიანთი სიყრმისა და სიბერის თანამგზავრი. უფრო ახალგაზრდა, ერთგული ამხანაგნი საზ. „განათლებიდან“ მორიგეობით დარაჯობდნენ ანასტასიას სარეცელთან ექვსი წლის განმავლობაში, ამხნევებდნენ ავადმყოფს, ასრულებდნენ ექიმების განკარგულებას და საოჯახო საქმეს. რამდენჯერმე ანასტასია ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ აღსასრული თითქო ბეწვზე კიდებულა, მაგრამ მოულოდნელად, და მეგობრებისა და თვით ანასტასიას განსაცვიფრებლად, მის ღონიერ ორგანიზმს გაუმარჯვნია, ანასტასია გამოცოცხლებულა და გახუმრებია კიდეც იქ მყოფთ—კვლავ დავბრუნდი იმა სოფლიდანაო.

ანასტასიას აგონია ხანგრძლივი და მძიმე იყო. დაბოლოს, 1932 წლის 7 თებერვალს, ანასტასია გარდაიცვალა [113]. ის 11 თებერვალს სახელმწიფო ხარჯზე დაასაფლავეს შთაწმიხდის პანთეონში..

ანასტასიას ერთერთ ავტობიოგრაფიულ შენიშვნაში [114], რომელიც 1875-76 წლებს ეკუთვნის, გვხვდება შემდეგი აზრი, გამოთქმული მის სულიერ განცდათა გამო ევროპაში მოგზაურობის დროს:

„რაც უფრო ძნელი ასასრულებელია წადილი, სურვილი— ადამიანი უფრო მიილტვის მის განსახორციელებლათ. თვით ბრძოლა შემდეგ დროის მოსაგონებელია, გულის გადასაყოლათ. მძლავრი აგებულების კაცი, მტკიცე ხასიათით, არ კმაყოფილდება ერთი მიზნით—სულ წინ-წინ მიილტვის, სანამ არ დაიღუპება. სუსტი ხასიათის ადამიანები კი დუნდებიან, ჩლუნგდებიან და ბოლომდის ვეღარ უძლებენ ბრძოლას“.

რვეულის კიდეზე ამ ფიქრების გასწვრივ ანასტასიას ხელითვე წარწერილია „ასე იყო ჩემი ამბავიც“. მართლაც, ასეთი იყო თვით ანასტასიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

თ ა ვ ი I

1. შემდგომ ბარიათინსკისა, ახლა ჯორჯიაშვილის ქუჩა. ალექსანდრეს ბაღი—ახლანდელი კომუნართა ბაღი.

2. იხ. „პროვინციული პანსიონი ვ. ნ. კარპოვის მოგონებების მიხედვით“ („Провинц. пансион по воспоминаниям В. Н. Карпова)“—ქრესტომატია პედაგოგიკის ისტორიისათვის“ („Хрестоматия по истории педагогики“—ტ. IV, 1938 წ.)

ეკატერინე გაბაშვილის მოგონებებში, რომლებიც ჩაუწერია დავით კასრაძეს 1927 წელს (ნაწილობრივ დაბეჭდილია იმავე წელს „ქართულ მწერლობაში) საინტერესო ცნობებია ამ პანსიონზე. ეს ცნობები ეხება იმ პერიოდს, როდესაც ამ პანსიონში სწავლობდა ეკატერინე გაბაშვილი, ე. ი. რამდენიმე წლის შემდეგ, რაც ამავე პანსიონში ანასტასია იმყოფებოდა. „ჩვენ გვასწავლიდა (ფავრი) ჰაეროვან სილფიდას დავმსგავსებულიყავით“—ამბობს ეკატერინე. მასწავლებელი სელიტრენკო, „ნიჰილისტი“, ასე თურმე მიმართავდა მოსწავლე ქალებს „так-с, матушки мои“; იგი გამოაძევეს პანსიონიდან, რის შემდეგაც სელიტრენკომ მასხარად აიგდო ფავრი გაზ.„ კავკაზის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ფელეტონში. მაინც ეკატერინე აღნიშნავს, ჩემ იქ ყოფნის დროს ფავრი ცდილობდა მიეზიდა პანსიონში კარგი მასწავლებლებიო.

3. გაზ. „დროებაში“ 1881 წელს (№№ 65 და 66) დაბეჭდილი იყო „ინსტიტუტკას დღიური“, რომელიც ანასტასიას კალამს ეკუთვნის, თუმცა ხელმოწერილია XX. დღიური აღნიშნულია 187... წლით და ავტორი—ინსტიტუტკა—ამბობს, ინსტიტუტის კურსი გავათავე „ამ ოთხი წლის წინადაო“. მიუხედავად ფაქტიური ცნობების ზოგიერთი უმნიშვნელო ცვლილებებისა, დღიური უეჭველად ავტობიოგრაფიული მასალაა.

4. ინსტიტუტის ყოფ. შენობა, ისაკ თუმანიშვილის მიერ აგებული, შიო ჩიტაძისა და ძერჟინსკის ქუჩების კუთხეშია. ამ სახლში შემდგომ მოთავსებული იყო ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია, ხო-

ლო ჩვენ დროს კარგახანს მოთავსებული იყო ა/კ. და საქ. მთავ. პოლიტსამმართველო.

თუმანიშვილის სახლიდან ინსტიტუტი გადავიდა თავის საკუთარ ახალ შენობაში, რომელიც ძველზე უფრო ცოტა მაღლაა. ამჟამად აქ მოთავსებულია საბჭოთა-პარტიული სკოლა, ხოლო წინათ იყო— ა/კ კომ. უნივერსიტეტი.

5. ენგელსისა და მახარაძის ახლანდელი ქუჩების კუთხეში.

6. 1875 წელს ინტიტუტის უფროსად იყო ქვრივი მარიამ ვასილის ასული **კოლუბიაკინა** (იხ. კავკ. კალენდ. 1875 და 1876 წლისა).

7. იმპერატორი **ჰენრიც** IV (XI საუკ.) ამხედრდა ყოვლადშემძლე რომის პაპის **გრიგოლ** VII სურვილის წინააღმდეგ და ლამობდა კიდეც მის მაგიერად სხვა პაპი დაეყენებინა. გრიგოლმა გამოიყენა თავისი გავლენა რომის იმპერიის მმართველ კლასებზე და მიაღწია იმას, რომ ჰენრიხი იძულებული გახდა ხლებოდა ქალ. კანოსაში პაპს თაყვანსაცემლად. ქუდმოხდილი, ფეხშიშველი, უბრალო მქისე ტანსაცმელში იმპერატორი თოვლში იდგა, ვიდრე პაპმა არ შეიწყალა.

8. დ. ი. პისარევის სიტყვები მის ნაშრომში „ვირხოვის აზრები ქალთა აღზრდაზე“ („Мысли Вирхова о воспитании женщин“— 1865 წ.)

9. „დროება“, 1881 წ. №№ 65-66, „ინსტიტუტკას დღიური“

10. იხ. ანასტასიას რვეული ავტობიოგრაფიული ჩანაწერებით— საქართვ. მუზ. ხელნაწერთა განყ. №№—452.

11. „დროება“—„ინსტიტუტკას დღიური“

12. იქვე.

თ ა ვ ი II

13. იხ. რვ.—ხელნაწ. № Q—452.

14. იქვე.

15. იხ. „ან. წერეთლისა (ავტობიოგრაფიული ცნობები)“—ჟურნ. „ერი“, 1910 წ., № 2.

16. „ხალხში გასვლის“ სახელწოდებით ცნობილი იყო მიმდინარეობა, რომელიც იზიდავდა თავის მომხრეებს სოფლად გლეხთა შორის მუშაობისათვის. ახალგაზრდა ნაროდნიკები (ხალხოსნები) სტოვებდნენ სასწავლებლებს ან სამუშაოს ქალაქად და მიდიოდნენ სოფლად ექიმებად, მასწავლებლებად და სხვა მისთ., იცვამდნენ გლეხურად და ავრცელებდნენ თავიანთ იდეებს.

17. ეს იხ. სიმონ ხუნდაძის ნაშრომში „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“, 1927 წ.

18. იხ. გ. წერეთლის მოგონებანი „კვალში“, 1895 წ. № 12.

19. „სანკტპეტერბურგსკიე ვედომოსტი“, „ნედელია“ და „სოვრემენნიე ზაპისკი“ იმ დროის საუკეთესო პროგრესიული ორგანოები იყო ბეჭდვითი სიტყვისა (პირველი—გაზეთი, ხოლო დანარჩენი ორი ჟურნალები). გაზ. „დროების“ (დაარსდა 1866 წ.) პირველი რედაქტორი გ. წერეთელი იყო. 70-იან წლებში მან თავი დაანება ამ გაზეთს და დაიწყო ჟურნ. „კრებულის“ გამოცემა (1871-1874)

20. **ვეტნერი** გერმანი (1821-1882)—ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიკოსი.

21. 70-იან წლებში მიმოსვლა ოდესამდე და ოდესიდან ზღვით იყო ფოთიდან.

22. "დროება“, 1881 წ., №№ 65-66.

23. იქვე.

24. **ესკიროსი** ჰანრი-ალფონსი (1812-1876) ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, ავტორი წიგნებისა „მონტანიარების ისტორია“, „ხალხის სახარება“, „მომავალი ცხოვრება სოციალისტური თვალსაზრისით“ და სხვ.

25. **ცებრიკოვა** მარიამ კონსტ. ასული—იღებდა აქტიურ მონაწილეობას 60-იანი წლების ლიტერატურულ მოძრაობაში, პუბლიცისტი და კრიტიკოსი. 1871 წლიდან 1880 წლამდე სცემდა ჟურნალს „Детский сад“ („საბავშვო ბაღი“).

26. **სპენსერი** გერბერტი—შესანიშნავი ინგლისელი ფილოსოფოსი, ევოლუციური თეორიის მომხრე.

27. **რუსო** ჟან-ჟაკ (1712-1778)—ერთი უდიდესი ფრანგ მწერალთა და ფილოსოფოსთაგან. პედაგოგიკურ რომანში „ემილ“ რუსო ავითარებს ბუნების შესაბამისად აღზრდის სისტემას, რომელსაც ძლიერი გავლენა ჰქონდა იმ საუკუნის იდეებზე. რუსოს სამღვდელოება სდევნიდა.

28. იხ. ცებრიკოვას წინასიტყვაობა ესკიროსის „XIX საუკუნის ემილის“ რუსული თარგმნისა.

29. **დარვინი** ჩარლზ (1809-1882)—შესანიშნავი ინგლისელი ნატურალისტი, ავტორი სახეთა წარმოშობის თეორიისა, რომელიც მიღებულია თანამედროვე ბიოლოგიურ მეცნიერებათა საფუძვლად.

30. **გურამიშვილი**, ოლლა ალექსანდრეს ასული, დაიბადა 1855 წ., კურსი დაამთავრა თბილისის ქალთა ინსტიტუტში; წავიდა შვეიცარიაში ლექციების მოსასმენად, ნაროდნიკთა იდეების გავლენის

ქვეშ იყო. შემდგომ ნიკო ნიკოლაძის მეუღლე. გარდ. 1940 წ.

31. იხ. რვ.—ხელნაწ. კონა № Q—452.

32. ჟურნ. „ერი“, 1910 წ., № 2 „ანასტასია წერეთლისა—ავტობიოგრაფიული ცნობები“ ავტობიოგრაფიაშივე, რომელიც დაწერილია მწერალი ქალისა და საზოგადო მოღვაწის ნინო ყიფიანის თხოვნით (ინახება ამ უკანასკნელის არქივში) ანასტასია ამბობს ჟენევაში ჩასვლასთან დაკავშირებით: „ვიგრძენი, რომ საქმეს ვერ გავიტან, მიზანს ბოლომდე ვერ მივაღწევ, ვშიშობდი, ვაი თუ ვერ შევძლო უმაღლესი სწავლის მიღება და სხვებივით დაუმთავრებელი სწავლით გავბრუნდე. ნაღვლიანი და მწუხარე დედის მიტოვებაც რამდენიმე წლობით ცოდვათ მივიჩნიე და ოთხი თვის მოგზაურობის შემდეგ №—877 წ. ოჯახს დავუბრუნდი, თბილისში ჩამოვედი და მაშინ გამოირკვა ჩემი ცხოვრების მიზანი: მუშაობა, შეუწყვეტლივ მუშაობა ხალხისათვის...

თ ა ვ ი III

33. **ყიფიანი** დიმიტრი ივანეს-ძე (1814-1887) ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, წერა-კითხვის საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

34. **მელიქიშვილი** ეკატერინე გრიგოლის ასული (1854-1928) შემდგომ „დროების“ რედაქტორის სერგი მესხის მეუღლე, საზოგადო მოღვაწე, ერთერთი საუკეთესო მთარგმნელი, ფრანგულიდან, ქართული პრესის თანამშრომელი.

35. **გაბაშვილი** ეკატერინე რევაზის ასული (1851-1938), წარმოშობით თარხან-მოურავი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მრავალ მოთხრობათა, ამბავთა და ნარკვევთა ავტორი.

ეკატერინეს და ანასტასიას ნაცნობობის ცნობები ნაწილობრივ ამოღებულია ეკ. გაბაშვილის წერილიდან „ანასტასია წერეთელი“, რომელიც დაბეჭდილია „დროშის“ 3-4 №-ში (1932 წ.) ანასტასიას გარდაცვალების გამო; ციტატები—იქიდანვე.

მთარგმნელ ქალთა წრეზე იხ. აგრეთვე ბარბარე თუმანიშვილის წერილი ძმისადმი (გიორგისადმი) 1872 წლის 5(17) მარტის თარიღით (ხელნაწ. კონა № Q—442) ეკ. გაბაშვილის ბიოგრაფია იხ. „მნათობში“, 1938. № 8 (წერილი ალ. მიქაბერიძისა).

36. ხელნაწ. კონა № Q—468. ჟურნ. „ქართული ბიბლიოთეკა“ დიდხანს არ გამოდიოდა უსახსრობის გამო. ცენზორმა აცნობა ელენე ლორთქიფანიძეს, რომ ჟურნალის გამოუსვლელობა ერთი წლის

განმავლობაში მექანიკურად იწვევს მის დახურვას. ელენე ლორთქიფანიძის მიწერმოწერიდან ანასტასიასთან და ეკატერინე მესხთან შეიძლება დაისკვნას, რომ ლორთქიფანიძისას მოლაპარაკება ჰქონია მათთან, რათა მათ ეკისრათ ჟურნალის გამოცემა დახურვის თავიდან ასაცილებლად.

ელენე ლორთქიფანიძისა და ანასტასიას წერილებს შორის (ხელნ. კონა № Q-389) შენახულა ერთი წერილი, რომელიც ახასიათებს „ქართ. ბიბლ" გამომცემელთა სულიერ განწყობილებას როგორ მოეწონათ ჩვენი ჟურნალი?—ეკითხება ელენე ანასტასიას 1883 წლის 13 აპრილს,—ვაი თუ ვერაფრათ, ჰა, ტასოჯან? მანდ როგორ მოსწონთ საზოგადოთ? აკაკი [წერეთელი] დაგვცინის „Ваш труд называют детским трудом в Тифлисе"-ო. მართალია თუ არა, რასაც ეს ამბობს?"

37. საუბრული მოგონებანი იმ პირებისა, რომელთაც კავშირი ჰქონდათ მუდმივ ქართულ დასთან 1878-1879 წლებში, სხვათა შორის მარიამ საფაროვ-აბაშიძესთან.

38. ლაპარაკია თეკლე ქაიხოსროს ასულ დაკითაშვილზე, რომელიც მონაწილეობას იღებდა ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელების" დადგმაში 1878 წელს პეტერბურგში.

ნ. ერისთავის წერილი ანასტასიასადმი იხ. ხელნაწ. კონ. № Q—468.

39. მაგა თბილისში ცნობილი ექიმის (ქალთა სნეულ.) იოსებ თუმანიშვილისა.

40. ნიკ. დიასამიძეზე იხ. ამ წიგნის V თავი.

41. ცნობები ხელთუბნის სკოლის დაარსებასა და შენობის აგებაზე, აგრეთვე ციტატები ამოღებულია ანასტასიას ხელნაწერიდან. „ხელთუბნის სკოლის ამბავი"—ხელნაწ. კონა № Q—451.

42. **რაზიკაშვილი** თედო (1869-1922) აბავშვო მწერალი, „ჯეჯილის" თანამშრომელი, ხელთუბნის სკოლის მასწავლებელი 1890 წლიდან 1905 წლამდე (ცნობები ყუბანეიშვილისა ქვევით ციტირებული ნაშრომიდან). ციტატები ანასტასიას წერილებიდან რაზიკაშვილისადმი და წერილებზე მითითება ყველა შემთხვევაში, გარდა ცალკე აღნიშნულებისა, მოყვანილია სოლ. ყუბანეიშვილის პუბლიკაციიდან—„წერილები თედო რაზიკაშვილისადმი", „კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები". წ. III თბ. 1937, გვ. 142-198. სოლ. ყუბანეიშვილმა გამოაქვეყნა ანასტასიას 18 წერილი თედოსადმი.

43. იხ. ავტობიოგრაფ. ნარკვევი ჟურნ. „ერში", 1910 წ. № 2.

44. საუბრული მოგონებანი მასწავლებელ ქალთა საზოგადოების მუშაკების ა.

თ ა ვ ი IV

45. ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის არქივიდან.

46. აი დოკუმენტი, რომელიც თითქო მეტრიკული მოწმობა იყოს „ჯეჯილის" დაბადებისა (ინახება საქართველოს მუზეუმის ხელნაწ. განყოფ.):

М. В. Д.

Главное Управление
По
делам печати
Канцелярия
3 октября 1889 г.
№ 4404,

ამასთანავე გებრუნებათ მთხოვნელის დოკუმენტები: დაბადების მეტრიკული მოწმობა 30/VI 1852 წ., № 80 და მეცნიერებათა კურსის გათავების ატესტატი 1/VI 1865 წ.

ქალ. თბილისში, ბარიათინსკის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, № 8, მცხოვრებმა კნიაჟნა ანასტასია მიხეილის ასულმა თუმანოვამ მიმართა ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს შუამდგომლობით ნება დაერთვას მას გამოსცეს ამ ქალაქში, წინასწარი ცენზურის ნებართვით, მისი ხელმძღვანელობით, წელიწადში ექვსჯერ, ილუსტრირებული საბავშვო ჟურნალი ქართულ ენაზე, სახელწოდებით „ჯეჯილი".

ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს კანცელარია, ამ სამმართველოს ბ-ნ უფროსის ბრძანებით, ამით უცხადებს კნიაჟნა ანასტასია მიხეილის ასულ თუმანოვას, რომ მას ნება დაერთვა გამოსცეს აღნიშნული ჟურნალი, რის გამოც ამასთანავე ერთად იგზავნება ჟურნალის დამტკიცებული პროგრამის ასლი და დაწესებული მოწმობა მისი ბეჭდვის უფლებაზე—ორ ცალად. საბაჟო გამოსაღები გადახდილია.

ხელმონაწერები

47. იხ. ალექსი ჭიჭინაძის სიტყვა („დროება", № 1910 წ. № 40).

48. ამ პირთა სია ამოღებულია ან. ღვინიაშვილის წიგნიდან („ქარ-

თული საბავშვო ლიტერატურა", 1934). ღვინიაშვილი მიგვითითებს ანასტასიას მიერ მისთვის დაწერილ ავტობიოგრაფიაზე.

49. ი. მანსვეტაშვილი—„მემუარები", ლ. ასათიანის რედაქციით, წინანიტყვაობით და შენიშვნებით, თბ. 1936, გვ. 114

50. იხ. „ჯეჯილი", 1910 წ., № 1, მიმართვა მკითხველებისადმი. ზოგი რამ დაზუსტებულია იქ დამსწრე ალ. ნიკ. დიასამიძის სიტყვების მიხედვით.

51. გულვეშა გოგებაშვილზე ეკუთვნის ან. ღვინიაშვილის ციტირებულ წიგნში.

52. **ციციშვილი** სოფიო ირაკლის ასული. დაიბადა გორის მაზრის სოფ. კახიჯვარში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო შინ. შემდეგ გაგზავნეს ქუთაისში დეიდასთან—ეფროსინე კლდიაშვილთან, რომელიც თავის დროს საკმაოდ ცნობილი მოღვაწე იყო. ეფროსინესას თავს იყრიდა მთელი ადგილობრივი ქართველი ინტელიგენცია და ამ გარემოებამ თვალსაჩინო გავლენა მოახდინა ციციშვილის გონებრივ განვითარებაზე. შინ დაბრუნებისას სოფიომ მოაწყო ქართლში სცენის მოყვარულთა წრე; თავგანწირვით მუშაობდა სოფლად ხორველობის დროს და მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმეში. თბილისში გადმოსვლისას სოფიო მუშაობდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში და იმავე დროს საუკეთესო სცენისმოყვარე იყო სახალხო თეატრისა. წერდა აგრეთვე ჯერ „კვალში" (გიორგი წერეთლის დროს) და „ივერიაში", შემდეგ „ჯეჯილში". ამ ჟურნალში დაბეჭდილი იყო მისი „გულადი", „მეფეს სძინავს", „შობის ხე ტყეში", „ბუს თავგადასავალი", „პატარა დედოფალი", „საშობაო კოჭი", „ვასოს საიდუმლო", „ჭრელი სტვირი", „ოჯახის დარაჯი" და მრავ. სხვა ნათარგმნი თუ გადმოკეთებული მოთხრობა.

ციციშვილი გარდაიცვალა 1905 წლის 18 ივნისს (I/VII) კიბოს ავადმყოფობით და დასაფლავებულია თავის სოფელში. „ცნობის ფურცელში" დაბეჭდილი იყო (1905 წ., № 2852) მისი ნეკროლოგი (ალ. ნათაძისა). „ჯეჯილში" იმავე წლის № 9-ში მოთავსებული იყო აკაკის ლექსი მისადმი მიძღვნილი, № 7—8-ში—გ. ძამუკოვის აკროსტიხი, № 6-ში—პორტრეტი და ნეკროლოგი, რომელიც ეკ. გაბაშვილის კალამს ეკუთვნოდა.

სოფიოს წერილები თედო რაზიკაშვილისადმი აქ ციტირებულია ზემოაღნიშნული პუბლიკაციის მიხედვით.

53. იხ. ან. ღვინიაშვილის ციტირებული წიგნი.

54. ხელნაწ. კონა № Q—443. სტუდენტების მასალა დაბეჭდილი იყო „ჯეჯილის" თორმეტ ნომერში 1896 წლის მანძილზე მათ

მიერ ანასტასიასათვის გამოგზავნილი პროგრამის კვალობაზე. ისინი დაპირებული იყვნენ კლიშეებიც გამოეგზავნათ და სთხოვდნენ ანასტასიას ეზრუნა მხოლოდ ორიგინალურ ნაწარმოებებზე, ხალხურ ლექსებზე, გამოცანებზე და შარადებზე. წერილს ხელს აწერდნენ სტუდენტები კ. თუმანიშვილი, ნოე გეგელაშვილი, კ. ელიოზიშვილი, ვახ. ღამბაშიძე, დ. დიასამიძე, ალ. ჯავახიშვილი, გ. ბურჯანაძე, სანდრო დიასამიძე, ვ. გომართელი, პორფ. დგებუაძე, ევგენი კრინიშვილი.

55. იხ. ან. ღვინიაშვილის ციტირებული წიგნი.

56. იხ. ცალკეული ავტობიოგრაფიული შენიშვნები ანასტასიას არქივში (საქ. მუზ. ხელნაწ. განყ.).

57. იხ. ან. ღვინიაშვილის ციტირებული წიგნი.

58. ხელნაწ. კონა № Q—451 შავად ნაწერი წერილისა გაზ. (?) რედაქციაში. ანასტასიას თხოვნით ჯაბადარმა გამოუგზავნა მას იმ წრეში შემავალ პირთა სია, რომელსაც სურდა ხელში ჩაეგდო „ჯეჯილი". ანასტასიას სიტყვით, წრეს შეადგენდნენ „დიდათ პატივცემულნი" ხუთი-ექვსი „კნეინა, ქ-ი დემურიასი, ნ. ზურაბოვისა, ორნი დანი ჭიჭინაძენი, ორნი დანი ჯიჯავაძენი, კნ. აკაკი, ალ. ჯაბადარი, ბ-ნი გალაჯევი, თავ. თაქთაქიშვილი და შ. დედაბრიშვილი". მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ანა ამილახვარისა, სოფრომ მგალობლიშვილი და მ. თაქთაქიშვილი.

59. „დროება", 1910 წ., № 35 „ჯეჯილის" დღესასწაული".

60. „ერი", 1910 წ., № 2 „ჯეჯილის" ოცი წლის იუბილე. „ერი" უწოდებს „ჯეჯილის" რედაქციას უანგარობისა და საზოგადოებისადმი ღრმა სიყვარულის „ადამანტს" და აღნიშნავს, რომ ჟურნალი იცემოდა 20 წლის განმავლობაში უძნელეს პირობათა შორის.

61. ჩარლზ დიკენსი, გარიბალდი და სხვ.

თ ა ვ ი V

62. ხელნაწ. კონა № Q—451. შავად ნაწერი წერილები.

ნინო ყიფიანისათვის დაწერილი ბიოგრაფიით ანასტასიამ პირველი ბიბლიოთეკა დააარსა წერაკითხვის საზოგადოების დახმარებით 1894 წელს, ხოლო მეორე—1895 წელს.

63. „საიდუმლო სერობა"—ეპიზოდი სახარებიდან—მოგვითხრობს ქრისტეს მოწაფეთა (მახარობელთა) კრების ამბავს მისივე მონაწილეობით.

64. „მაგდანას ლურჯა"—ეკ. გაბაშვილის მოთხრობა. სესე შიო მღვიმელის ერთ-ერთი ლექსის პერსონაჟია.

65. ლაპარაკია გიორგი წერეთელზე.

66. **ინგოროყვა** ეგნატე (ნინოშვილი, 1859—1894)—თავის დროს პოპულარული ბელეტრისტი, ახლო იდგა იმ მოღვაწეებთან, რომელთაც შემდგომ „მესამე დასი“ შეადგინეს.

67. „ბანკოვიადა“-ს („ბანკობანა“, „ბანკობია“) სახელწოდებით იგულისხმება ბრძოლა ივანე მაჩაბლის მომხრეებისა ილია ჭავჭავაძის მომხრეებთან. ბრძოლას უფრო პირადული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე პოლიტიკურ იდეათა შეჯახებისა. ილია ჭავჭავაძე მრავალი წლის განმავლობაში სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე იყო და ბრძოლის ასპარეზი ჩვეულებრივ საბანკო კრებები იყო, აქედან წარმოდგა „ბანკოვიადა“.

68. **სოფრომ მგალობლიშვილი.** „მოგონებანი“, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ. 1938, გვ. 123.

69. იხ. საქართველოს მწერალთა მუზეუმის ხვეული № 203/204.

70. იხ. გიორგი წერეთლის წერილები ანასტასიასადმი 1892 წელს. წერილები გამოქვეყნებულია მ. დუდუჩავას მიერ 1935 წელს „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“.

71. იქვე.

72. თედო რაზიკაშვილის არქივიდან, რომელიც ინახება კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

73. ანასტასიას არქივიდან (საქართ. მუზეუმში).

74. ხელნაწ. კონა № Q—451. შავად ნაწერი წერილები „ქალთათვის „სასწავლებელი“ და ხელნაწერი „ქალების საქმიანობა“ (მოგონება) საზ. „განათლებას“ საქმეებში.

თ ა ვ ი VI

75. გაზ. „კომუნისტი“ 1932 წლის 11 თებერვლისა—„ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ხსოვნას“, ცნობები ირაკლის ფონდზე და ზეპირსიტყვაობის ფონდზე იხ. ანასტასიას ხელნაწერ შენიშვნებში—ხელნაწ. კონა № Q—451.

76. ს. მგალობლიშვილის ციტირ. წიგნი, გვ. 126.

77. „პ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება“—პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის შესავალი ნარკვევით, თბ. 1938, გვ. XL—XLI.

თუ რა გულხმიერებით ეკიდებოდა პ. უმიკაშვილი „კვალის“ ინტერესებს, განსაკუთრებით ამ გაზეთის არსებობის პირველ წლებში, გვიჩვენებს იოსებ გრიშაშვილის მიერ „ლიტ. საქ.“ 1937 წლის № 27-ში გამოქვეყნებული წერილი პეტრე უმიკაშვილისა 1893 წ. 25 დეკემბრის თარიღით ანასტასიასადმი („პეტრე უმიკაშვილის წერი-

ლი"). „კვალის" მეგობრულ კრიტიკასთან ერთად, იგი დაწვრილებით აღნიშნავს, თუ როგორ უნდა იქნეს, მისი აზრით, გამოცემის საქმე დაყენებული, ვინ უნდა მიიწვიონ თანამშრომლად, როგორ უნდა განასხვაფერონ პროგრამა. „არაფერს არ დააშავებს „კვალი", თუ რუსულ „ნივას" „წაჰბაძავს"—ამბობს იგი.

78. „თუმცა პ. უმიკაშვილის ნათქვამში—დასძენს ფ. გოგიჩაიშვილი—როგორც ხედავთ, საიმისო მაინცა და მაინც არა ყოფილა რა, მაგრამ ქალის გული იმას მაინც ვერ მოითმენდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ანასტასია, როდესაც გიორგი წერეთელმა შეირთო, საკმაოდ შესული იყო ასაკსა შინა. 1895 წელს, როდესაც ის ინციდენტი მოხდა, ის სულ რაღაც სამოოდე წლის გათხოვილი იყო და ამ დროს პ. უმიკაშვილმა კბილების ჩაცვენაზე გადაუკრა. გასაგებია ანასტასიას აღშფოთება. მაგრამ აპატია და ადვილად შერიგდნენ".

79. ამ ჯგუფში შედიოდნენ ნაწილობრივ მარქსისტები, ნამეტნავად კი ის პირნი, ქართველი მენშევიკების პლატფორმაზე რომ იდგნენ.

80. იხ. ჯგუფის წერილი გიორგი თუმანიშვილის სახელზე, როგორც შუამავალზე ჯგუფსა და ანასტასიას შორის—ხელნაწ. კონა № Q—464.

81. იხ. პაატა გუგუშვილის „ქართული წიგნი", გვ. 252.

ანასტასიას არქივში ხელნ. კონა № Q—389 შენახულა ანასტასიას წერილის შავი უთარიღო—კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარისადმი. ამ წერილიდან ჩანს, რომ კომიტეტის თავმჯდომარეს მოეხერხებინა თურმე მისთვის ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოში ნებართვის გამოთხოვნა, რომლითაც ნება ეძლეოდა მას მოეთავსებინა „კვალში" პოლიტიკური ცხოვრების ქრონიკა. მასვე განუცხადებია ანასტასიასათვის, რომ შეიძლება „კვალში" პოლიტიკური მიმოხილვების ბეჭდვა „ნივის" („კეთილგანზრახული" მიმართულების პოპულარული ჟურნ.) ამგვარი მიმოხილვების ყაიდაზეო. რათა გამოეცადა ცენზორი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა „კვალისათვის" ყურისდევნება, ანასტასიას გადაუთარგმნია „ნივის" № 36-ის მეთაური წერილი და წარუდგენია წყაროს დაუსახელებლად, როგორც ორიგინალური წერილი. ცენზორმა თურმე ეს წერილი **არ გაუშვა.** ამ გარემოებამ საბაბი მისცა ანასტასიას მიეწერა კომიტეტის თავმჯდომარისათვის ირონიული წერილი, რომელშიაც აცხადებდა, სიტყვა-სიტყვით გადავთარგმნე „ნივის" წერილი, „чтобы привыкнуть составлять в таком именно духе—"ო.

82. „ისტორიჩესკი ვესტნიკ", 1905 წ., ივლისი.

83. იხ. შავად ნაწერი ანასტასიას განცხადებისა „ჯეჯილის“ დახურვის წინააღმდეგ მიმართული პროტესტით, შავად ნაწერი დაწერილია გიორგი თუმანიშვილის ხელით და ამჟამად ანასტასიას არქივშია (საქართვ. მუზ.).

თ ა ვ ი VII

84. იხ. ანასტასიას წერილი თედო რაზიკაშვილისადმი 1904 წლის 16(29) სექტემბრისა ს. ყუბანეიშვილის პუბლიკაციის მიხედვით.

85. იხ. იგივე წერილი.

86. იხ. იგივე წერილი.

87. „ნაკადული“—საბავშვო ჟურნალი, „ჯეჯილის“ „კონკურენტი“, დაარსდა 1905 წელს (რედაქტორები—დრამატ. დავით ერისთავის ქალიშვილი—ელ. ერისთავი და ნ. ზურაბიშვილისა, გამომცემელი—ნინო ელიზბარის ასული ქობულიშვილი; 1906 წლიდან გამომცემელი — პავლე იოს.-ძე თუმანიშვილი, რედ.—მარიამ დემურია; 1910 წლიდან—რედ.—ნინო ნაკაშიძე). „ნაკადული“ არსებობდა 1923 წლამდე ჩათვლით.

88. ს. ყუბანეიშვილის პუბლიკაციიდან.

89. **დემურია** მარიამ ივანეს ასული (გარდ. 1910 წლის იანვარში). საზოგადო მოღვაწე. ბევრი საბავშვო მოთხრობის მთარგმნელი. ჟურნ. „ნაკადულის“ დამაარსებელი, აქტიური მონაწილე სახალხო წარმოდგენებისა. ბიოგრ. ნარკვევი იხ. „თეატრსა და ცხოვრებაში“, 1916 წ., № 2.

90. ამხ. „სხივის“ საერთო კრებაზე 1912 წლის 11(24) დეკემბერს წაკითხული ანგარიშიდან ჩანს, რომ ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ იყო ანასტასია, წევრებად ეკ. მესხი, ს. მგალობლიშვილი (ხაზინადარი), სარედ. კოლეგიის წევრებად—ს. გორგაძე, გიორგი მაჩაბელი, გრ. ბურჭულაძე, გერასიმ იმნაიშვილი, იოს. მჭედლიშვილი და გამგეობის სამი წევრი. სარევიზიო კომისიაში—გ. მაჩაბელი, ივ. ავალიშვილი; გამგეობის მდივანი—იულია იაშვილი.

91. ანასტასიას არქივიდან (საქართ. მუზ.)

92. იხ. ა. ღვინიაშვილის ციტირ. წიგნი.

93. საზ. „განათლება“-ს წესდება დამტკიცებულია თბილისის გუბერნატორის მიერ 1908 წლის 16 (29) ივნისს. წესდების § 1 ითვალისწინებს, რომ „საზოგადოების მიზანია სწავლა განათლების გავრცელება ქართველთა შორის თბილისის გუბერნიაში და მათთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა“. საზოგადოებას უფლება ჰქონდა გაეხსნა ქალთა დაწყებითი და საშუალო სასწავლებლები, გაეწია

სწავლა-განათლების საქმეში დახმარება ღარიბ მოწაფეთათვის, რომელნიც საზოგადოების სკოლებში სწავლობდნენ; გაეხსნა იმავე სკოლებში მუზეუმები, ბიბლიოთეკები და საკითხველოები. ცნობები საზ. „განათლებას'' საქმიანობაზე ამოღებულია უპირატესად წლიური ანგარიშებიდან, ხოლო ამბავი კიპრიზოვის თაობაზე — სამხ.-სახელოსნო სასწ. ყოფ. გამგის მ. მაჩაბლის ნაამბობიდან.

94. **კიპრიზოვი** სოლომონ ქრისტეფორეს-ძე. მის მიერ საზ. „განათლებისათვის'' გადაცემული სახლი იდგა ყოფ. სურფ.-სარქისის ქუჩაზე № 48 სახლის ღირებულება რამდენსამე ათიათას მანეთს უდრიდა. სამხატვრო-სახელოსნო სკოლა მოთავსდა ამ სახლში 1915 წელს. იმავე წლის ივნისში კიპრიზოვი არჩეულ იქნა „განათლების" საპატიო წევრად. იგი მოკლეს 1915 წლის 13 (26) ივლისს, 67 წლისა.

თ ა ვ ი VIII

95. ოცდაათი წლის თავთან დაკავშირებით ქართულ პრესაში გამოქვეყნდა მთელი რიგი წერილები და შენიშვნები. კერძოდ, ჟურნ. „განათლებაში" (1919 წ. № 2) ვ. ობჩელი თავის ვრცელ წერილში მოაგონებდა მკითხველს, რომ „ჯეჯილმა" ძაძინ იწყო გამოსვლა, როდესაც ვაბატონებული იყო რეაქცია და როდესაც გამარუსებელ პოლიტიკას ახორციელებდნენ განსაკუთრებული სიმკვეთრითაო: „ჟურნალ „ჯეჯილის'' დამაარსებელ-ხელმძღვანელს დიდ გმირობად უნდა ჩაეთვალოს სწორედ ასეთ საშინელ პირობებში სახალხო განათლების ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოსვლა და სამშობლო ენაზე საბავშვო ჟურნალის გამოცემის საშუალებით ბნელ რეაქციასთან და გამარუსებელ პოლიტიკასთან ბრძოლა!''

ნინო ყიფიანი, თავისი მხრით, ერთერთ გაზეთში 1920 წლის 11 იანვარს წერდა, რომ „წვეთ-წვეთად შრება სისხლი საზოგადო მოღვაწისა". მას მხედველობაში ჰყავდა ანასტასია.

96. ფაქტიური ცნობები „ჯეჯილის'' გამოცემაზე რევოლუციის დროს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, აგრეთვე ციტატები ამოღებულია ავტობიოგრაფიული ჩანაწერების რვეულიდან (ხელნაწ. კონა № Q—452).

97. იხ. ანასტასიას ავტობიოგრაფიული შენიშვნები ან. ღვინიაშვილის ციტირ. წიგნში. მოგონებანი „აკვანზე''—იქვე.

ცნობები „აკვნის'' პროგრამაზე და განათლების სახალხო კომისარიატში ანასტასიას მიერ შეტანილ განცხადებაზე ამოღებულია ანასტასიას არქივიდან (საქართვ. მუზ.).

98. იხ. ხელნაწ. კონა № Q—451.

99. რვეული—ხელნაწ. კონა № Q—452.
100. იქვე.
101. ხელნაწ. კონა № Q—451.
102. იხ. ,,ქართველ მწერალ ქალთა ალმანახი'' 1926 წ., № 2.
103. ციტირებ. მოგონებანი გაზ. ,,კომუნისტში''.
104. ხელნაწ. კონა № Q—451.
105. იქვე.
106. ხელნაწ. კონა № Q—468.
107. იქვე.
108. იხ. ,,დროება'', 1910 წ. № 36.
109. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, უკანასკნელ წლებში, ანასტასიამ მოათავსა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ოთხი ფელეტონი: ,,სინამდვილესთან დაახლოვება'' (,,თეატრი და ცხოვრება'', 1918 წ. № 14), ,,კანდიდატები ვართ'' (სახალხო საქმე'', 1919 წ. № 543), ,,წამართვეს'' და ,,ესეც ჩვენი სპეკულიანტები'' (საქართველო", 1919 წ. № 157 და 215).
110. იხ. ან. ღვინიაშვილის ციტირ. წიგნი.
111. აქტივისტი ქალები ქალთა მოძრაობისა ინგლისში რომელნიც ჩვენი საუკუნის დასაწყისს აწარმოებდნენ ხმაურიან პროპაგანდას ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭების თაობაზე.
112. **კომენსკი** ამოს (1592—1670) ჩეხი პედაგოგი. მოახდინა სკოლაში სწავლების რეფორმა, დაამყარა რა იგი თვალსაჩინოების პრინციპზე. მისი შეხედულებანი პედაგოგიკაზე მოთხრობილია ,,დიადი დიდაქტიკა''-ს წიგნში.
113. ანასტასიას ცხედარი, მთავრობის კომისიის დადგენილებით, გადასვენებულ იქნა განათლების მუშაკთა სახლში. დაკრძალვა მოხდა 11 თებერვალს.
114. რვეული—ხელნაწ. კონა № Q—452.

ს ა რ ჩ ე ვ ი

			გვ.
		ავტორისაგან	3
თავი	I	ბავშვობისა და ყრმობის წლები	5
თავი	II	თვითგანათლება	15
თავი	III	საზოგადოებრივი მუშაობის დასაწყისი	28
თავი	IV	„ჯეჯილი“	38
თავი	V	ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი	58
თავი	VI	„კვალი“	70
თავი	VII	„ჯეჯილის“ აღდგენა და საზოგადოება „განათლება“	81
თავი	VIII	ომი და რევოლუცია	90
თავი	IX	ადამიანი და მოღვაწე	97
		შენიშვნები	109

МИХ. ХЕЛТУБНЕЛИ

ДЕЯТЕЛЬНИЦА ДЕТСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
(Жизнь и деятельность Анастасии Туманишвили-Церетели).

Детюниздат ЦК ЛКСМ Гр.
Тбилиси — 1941

რედაქტორი ა. ა. მ ე რ ც ხ უ ლ ა ვ ა

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 3/II-41 წ. უე (УЭ) 6369. ქაღ. ფორმატი 60 × 92. სასტამბო ფორმა $7^3/_4$ ფ. საავტორო-სააღრიცხვო 7,56 ფ. საბეჭდ ფორმაში 39.040 სასტამბო ნიშანია. შეკვეთის (Заказ) № 974. ტირაჟი (Тираж) 5000.

ლ. ბ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28
Полиграфкомбинат „Комунисти“ им. Л. П. Берия. Тбилиси, ул. Ленина № 28

ფასი 6 ფან.

894.63.09
ბ 401